პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
6 თებერვალი ოთხშაბათი 2013
№029 (13 945) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოდი, მოვუგოთ!

## ლორია საეჭვოა, რეპორტაჟი იქნება!



დღეს 22:00, ტირანა. „ქემალ სტაფა“ ამხანაგური მატჩი

2,4

**ალბანეთი VS საქართველო**

Live პირველ არხზე



# ახალი სკანდალის დეტალები

## სინგაპურელი მაფიოზი და ხუთი ჩაწყობილი თამაში ცნობილია



9

## ლევან კობიაშვილი

# თემურ ქეცბაიაზე კომპეტენტური და ძლიერი სპეციალისტი საქართველოს ნაკრებში უკეთეს შედეგს მიაღწევდა!



**ლევან კობიაშვილი** www.sportall.ge -ს რუბრიკის, „ინტერნეტკონფერენციის“ მორიგი სტუმარი გახლდათ - ლევანმა ჩვენი გაზეთისა და ვებგვერდის მკითხველთა შეკითხვებს უპასუხა. დღეს ინტერვიუდან საინტერესო ამონარიდებს შემოგთავაზებთ, სრულ ვერსიას კი „ლელოს“ ხვალინდელ ნომერში გაეცნობით.

„არის იმის საშუალება, რომ საქართველოს ნაკრებმა უკეთესი ფეხბურთი ითამაშოს. ჩემი აზრით, ნაკრებს წინა ხაზში პრობლემა აქვს და ეს მწვრთნელის ბრალია თუ სხვა ვინმესი, არ ვიცი.“

„ახალგაზრდა ფეხბურთელმა ჯერ საქართველოს ჩემპიონატში უნდა დაამტკიცოს საკუთარი შესაძლებლობები და თავის კლუბში უნდა იყოს ლიდერი. საზღვარგარეთ უკეთესია, მაგრამ იქ ორმაგი და სამმაგი დატვირთვაცაა“

„ყველა მწვრთნელი შედეგით ფასდება. ახლა იმაზე საუბარი, რომ ქეცბაიას 5-წლიანი პროგრამა აქვს, ნაკრებში გაახალგაზრდავების პროცესი მიმდინარეობს და ამიტომ მას ყველანაირი შედეგი ეპატიება, მგონი, არ იქნება სწორი.“

„ეროვნული ნაკრები არის გუნდი, რომელშიც საუკეთესოებმა უნდა ითამაშონ. გაახალგაზრდავების პროცესი შეიძლება იყოს კლუბში, ეროვნულ ნაკრებში კი უძლიერესი ფეხბურთელი თამაშობს - ასაკს მნიშვნელობა არ აქვს.“

„არ მგონია, რომ ეროვნული ნაკრების გამოსვლა ბოლო პერიოდში დადებითად უნდა შეფასდეს. ჩემი აზრით, ქეცბაიაზე გაცილებით კომპეტენტური და უფრო ძლიერი სპეციალისტი უკეთეს შედეგს მიაღწევდა.“

*ინტერვიუს სრული ვერსია იხილეთ „ლელოს“ ხვალინდელ ნომერში ან ვებგვერდზე www.sportall.ge*

# ბორჯღალოსნების კაპიტანი მაჩხანელია!

## ნაკრები პორტუგალიასთან მატჩისთვის ემზადება



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

13

● ეროვნული ნაკრები.
ალბანეთი-საქართველოს წინ



ნაკრების ვარჯიში ქემალ სტაფაზე ფოტო: www.gff.ge

# ლორიას საეჭვოა, რეპორტაჟი იქნება

დღეს, თბილისის დროით 22 საათზე ტირანას "ქემალ სტაფაზე" ალბანეთისა და საქართველოს ეროვნული ნაკრებების ამხანაგური მატჩი დაიწყება. სანამ ჩვენი ნაკრების სიახლეებს გაგაცნობდეთ, გეტყვით, რომ დღევანდელი შეხვედრის პირდაპირი ტელერეპორტაჟის საკითხი დადებითად გადაწყდა და მატჩს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ტელეეთერით ვიხილავთ.

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **თემურ ქეცბაიას** განკარგულებაში 21 ფეხბურთელილა დარჩა. ნაკრებს გამოაკლდა გასული წლის საუკეთესო ბომბარდირი **ალექსანდრე ამისულაშვილი.** "კრასნოდარიდან" "კრილია სოვეტოვში" გადასული მცველი ტირანაში ტრავმის გამო ვერ ჩავიდა. შეგახსენებთ, მანამდე ჩვენს ეროვნულ გუნდს გამოაკლდნენ **ჯანო ანანიძე, ნუკრი რევიშვილი** და **მურთაზ დაუშვილი.** ქეცბაიამ სანაკრებო სიას **ნიკოლოზ გელაშვილი** და მეკარე **გიორგი მაკარიძე** დაამატა.

საბოლოოდ, საქართველოს ნაკრების საალბანეთო სიამ ასეთი სახე მიიღო:

მეკარეები: **გიორგი ლორია** (დინამო, თბილისი), **როინ კვასხვაძე** (ზესტაფონი), **გიორგი მაკარიძე** (ლე მანი, საფრანგეთი);

მცველები: **გურამ კაშია** (ვიტესი, ჰოლანდია), **ზურაბ ხიზანიშვილი** (ქაისერისფორი, თურქეთი), **უჩა ლობჟანიძე** (კრივბასი, უკრაინა), **გია გრიგალავა** (ვოლგა, რუსეთი), **გულვერდ თომაშვილი, დავით კვირკველია** (ორივე - დილა, გორი) **ილია კანდელაკი** (ინტერი, აზერბაიჯანი), **მამუკა კობახიძე** (ალანია, რუსეთი);

ნახევარმცველები: **ლევან ყენია** (კარპატი, უკრაინა), **ალექსანდრე კობახიძე, ჯაბა კანკავა** (ორივე - დნიპრო, უკრაინა), **დავით თარგამაძე, თორნიკე ოქრიაშვილი** (ორივე - ილიჩევეცი, უკრაინა), **ნიკა ძალამიძე** (იაგელონია, პოლონეთი), **ირაკლი ძარია** (დინამო, თბილისი);

თავდამსხმელები: **ლევან მჭედლიძე** (ემპოლი, იტალია), **მათე ვაწაძე** (ორჰუსი, დანია), **ნიკოლოზ გელაშვილი** (ბოხუმი, გერმანია).

საქართველოს ნაკრებმა "ქემალ სტაფაზე" ივარჯიშა. წვრთნამ დაახლოებით ერთ საათს გასტანა. ჩვენი გუნდი დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად, სასტუმრო "ტირანა ინტერნეიშენელშია" დაბინავებული.

სფფ-ის ოფიციალური ვებგვერდისთვის მცირე კომენტარი გააკეთა ნაკრების ერთ-ერთმა ყველაზე გამოცდილმა ფეხბურთელმა ზურაბ ხიზანიშვილმა, რომელიც ეროვნულ გუნდს რამდენიმემატჩიანი პაუზის შემდეგ უბრუნდება.

"ალბანეთთის წინაალმდეგ არაერთხელ მითამაშია, როგორც ამხანაგურ, ისე - ოფიციალურ შეხვედრებში. შემიძლია ვთქვა, რომ მათ ადრე უფრო გამორჩეული და ცნობილი ფეხბურთელები ჰყავდათ. მართალია, ჩვენ მათ ბოლო თამაში თბილისში მოვუგეთ, მაგრამ ეს მატჩი რადიკალურად განსხვავებული იქნება. ცუდია, რომ რამდენიმე ფეხბურთელი გამოგვაკლდა, რადგან კარგი იქნებოდა, ყველა ვყოფილიყავით და ამ თამაშშიც ყველას მიელო მონაწილეობა. მოგეხსენებათ, მარტში რა სერიოზული გასვლითი მატჩი გველის საფრანგეთთან და მთავარი მწვრთნელისთვის მნიშვნელოვანია, საქმეში ყველა ენახა", - განაცხადა ხიზანიშვილმა.

ალბანელთა მთავარმა მწვრთნელმა, იტალიელმა ჯანი დე ბიაზიმ დღევანდელი შეხვედრისთვის შემდეგ ფეხბურთელებს უხმო:

მეკარეები: **სამირ უიკანი** (კიევო, იტალია), **ეტრიტ ბერიშა** (კალმარი, შვედეთი);

მცველები: **ანდი ლილა** (იანინა, საბერძნეთი), **კრისტი ვანგიელი** (ჩერნომორეცი, უკრაინა), **ლორიკ კანა** (ლაციო, იტალია), **დებატიკ ცური** (გენჩლერბირლიგი, თურქეთი), **მერგიმ მავრაი** (ფიურტი, გერმანია), **ანსი აგოლი** (ყარაბაღი, აზერბაიჯანი), **ელსეიდ ჰუსაი** (ემპოლი, იტალია);

ნახევარმცველები: **ემელიანო ვილა** (იანინა, საბერძნეთი), **იამირ ჰუკა, ბურიმ კუკელი** (ორივე - ლუცერნი, შვეიცარია), **არმანდო ვაიუში** (ლიტექსი, ბულგარეთი), **ალბან მეჰა** (პადერბორნი, გერმანია), **ელის ბაქაი** (ჩერნომორეცი, უკრაინა), **ოდისე როში** (ფრანკფურტი, გერმანია);

თავდამსხმელები: **ედგარ ჩანი** (კატანია", იტალია), **ბექიმ ბალაი** (სპარტა, ჩეხეთი), **ბრესარტ ბერიშა** (ბრისბენი, ავსტრალია), **არმანდო სადიკუ** (ლუგანო, შვეიცარია), **ერიონ ბოგდანი** (სიენა, იტალია).

**ლევან ჯანეზაშვილი**

P.S *გუშინ გვიან ღამით სფფ-ის პრესსამსახურისგან შევიტყვეთ, რომ გიორგი ლორიამ, რომელსაც ინციდენტის გამო გუშინდელი ვარჯიში გააცდა, შესაძლოა, ლოდინდელი მატჩისთვის მომზადება ვერ მოასწროს.*

● დილა

# ფრე რუსებთან

თურქულ შეკრებაზე მყოფმა გორის „დილამ“ გუშინ მორიგი საკონტროლო მატჩი ითამაშა, **ვალდას ივანაუსკასის** გაწვრთნილი გუნდის მეტოქე რუსეთის პირველი ლიგის ბინადარი, ბელგოროდის „სალუტი“ იყო, შეხვედრა 1:1 დასრულდა.

„დილას“ სასტარტო შემადგენლობა: **იკსტენსი, ალადაშვილი, თოთაძე, კვახაძე, ჯიშკარიანი, გვალია, მაისურაძე, არზიანი, კახელიშვილი, ლეონარდო, ჟუნიორი.**

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **აბურჯანია, მოდებაძე, ილურიძე, ლობე და არაბული.**

როგორც „დილას“ ვებგვერდი იუწყება, პირველ ტაიმში **გიორგი კახელიშვილის** შორეული დარტყმა ძელმა აისხლიტა, დამატებაზე კი **ლეონარდომ** ვერ გაისწორა მიზანი.

რუსები 54-ე წუთზე დაწინაურდნენ, კახელიშვილმა კი ანგარიში 70-ე წუთზე გაათანაბრა.

„სალუტი“ ჩვიდმეტგუნდა პირველ ლიგაში მე-15 ადგილზეა, თუმცა რუსეთის რანგით მეორე დივიზიონი ურიგო ლიგა არ უნდა იყოს, იქ ხომ ბევრი ისეთი ფეხბურთელია, პრემიერლიგაში რომ აქვს ნათამაშევი.

ორი ფრე, ერთი მოგება - ამ დროისთვის ასეთია „დილას“ მონაგარი თურქულ შეკრებაზე.

**დავით თავართქილაძე**

● ზესტაფონი

# მეორე ფრე მესამე სპარინგში

**ზესტაფონი-ვორსკლა 1:1**

1:0 ღონღაძე (39), 1:1 ჩიციკოვი (54)

ზესტაფონი: მეშველიანი, თორ. გრიგალაშვილი, ლოსანო, კაჭკაჭიშვილი, ღონღაძე, ბაბუნაშვილი, გორგიაშვილი, სამუშია, აფციაური, რაყამაშვილი, კუტალია.

შეცვლაზე შევიდნენ: ენდელაძე, შარიქაძე, რეკრუკი, ჭანკოტაძე, გაგოშიძე, ჭანტურიშვილი

ვორსკლა: ტიმოფეევი, კუნევი, კურელეხი, მატვეევი, ჩებოტაევი, ლუპაშკო, რიაბუშკო, ბაცულა, კრივოშენკო, ბუდკინი, ბარანიკი.

შეცვლაზე შევიდნენ: დოლგანსკი, პერდუტა, ლაგოსი, ტკაჩუკი, ჩესნოკოვი, მარკოსკი, სელიუკი, კუსტენკო, ჩიჩიკოვი, რებინოკი, გრომოვი.



ანთალიაში შეკრებაზე მყოფმა "ზესტაფონმა" მესამე სპარინგ-მატჩი უკრაინული პრემიერლიგის ბინადარ "ვორსკლასთან" ჩაატარა. გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა.

ფეროელებმა ანგარიში მრავალსვლიანი კომბინაციის შედეგად გახსნეს – 39-ე წუთზე **თემურ ღონღაძემ** ეფექტური გოლი გაიტანა. უკრაინელებმა წონასწორობა მეორე ტაიმის დასაწყისში აღადგინეს, მატჩის დასკვნითი ნაწილი კი ქართველთა უპირატესობით წარიმართა, თუმცა ამას გამარჯვების გოლი ვერ მოჰყვა.

"ზესტაფონს" მეკარე **როინ კვასხვაძე** აკლდა, რომელიც ტირანაში საქართველოს ეროვნული ნაკრების განკარგულებაშია. ვარჯიში განაახლეს **თორნიკე** და **თედორე გრიგალაშვილებმა**, ასევე **მიხეილ სარდალიშვილმა** და **ავთო ენდელაძემ**, თუმცა, როგორც ხედავთ, "ვორსკლასთან" მათგან მხოლოდ თორნიკემ და ენდელაძემ ითამაშეს.

ცუდი ამბავი კი **რატი წინამძღვრიშვილის** ტრავმაა – იმერელთა თავდამსხმელის ჯანმრთელობის მდგომარეობა უახლოეს დღეებში დაზუსტდება.

შეგახსენებთ, ანთალიაში გამართულ პირველ სპარინგში "ზესტაფონი" აზერბაიჯანულ "ყარაბახთან" 0:2 დამარცხდა, მეორეში კი პოლონურ "რუხს" უგოლოდ დაუზავდა.

"ზესტაფონი" ბოლოსწინა, მეოთხე სპარინგს ანთალიაში შაბათს, 9 თებერვალს გამართავს და მისი მეტოქე პოლონური "ლეხია" იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ზუგდიდი

# ნულოვანი, მაგრამ საინტერესო

**ზუგდიდი-გურია 0:0**

ზუგდიდი. ბაიას ბაზა

ზუგდიდი: ძაგანია, აფაქიძე, აქუბარდია, აკობია, რ. ონიანი, ტყემალაძე, სიხარულია, შ. ლომია, ეხვაია, გუგუჩია, ქობალია

შეცვლაზე: მაქაცარია, ხუბუა, ხუხია, ფარჯიკია, წურწუმია, გაბედავა, ქვარცხავა, გამრეკლიძე, ქანთარია, კანკია, მალანია

გურია: ძაძამია, ჩუენსუ, მაისაშვილი, ჯანგიძე, სალარიძე, ვართაგავა, გოგობერიშვილი, კუკულაძე, დარჩიძე, ჩალაძე, კვერენჩხილაძე

შეცვლა: მაჩაიძე, შენგელია, გოგიბერიძე, ჭეიშვილი



ზუგდიდში, "ბაიას" ბაზაზე, ერთმანეთს ამხანაგურად უმაღლესლიგელი "ზუგდიდი" და პირველლიგელი ლანჩხუთის "გურია" დაუპირისპირდნენ. იმის მიუხედავად, რომ შეხვედრა ნულოვანი ფრით დასრულდა, თამაში არცთუ უინტერესო სანახავი გამოდგა.

"ზუგდიდის" შემადგენლობიდან **ქობალია, ეხვაია** და **ლომია** აქტიურობდნენ, სტუმართაგან კი **ჩალაძე** გამოირჩეოდა. გამარჯვების გოლის გატანასთან ყველაზე ახლოს მაინც ირაკლი ქობალია იყო, რომელმაც მატჩის მეორე ტაიმში თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა.

შესვენებისას "ზუგდიდის" თავკაცმა **ელგუჯა ქომეთიანმა** ძირითად შემადგენლობაში გამწესებული ყველა ფეხბურთელი შეცვალა.

როგორც იცით, რამდენიმე დღეში ზუგდიდელები შეკრებაზე ანთალიაში მიემგზავრებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ტორპედო

# გეგუჩაძის ცვლილებები

## რუმინელებს ტექნიკური ტულუში მოეწონათ



გია გეგუჩაძე

"ლელოს" მკითხველმა უკვე იცის, რომ 4 თებერვალს ქუთაისის "ტორპედომ" ესპანეთში "მარბელას თასის" პირველ შეხვედრაში რუმინულ "რაპიდთან" პენალტების სერიით გაიმარჯვა - 4:3 (ძირითადი დრო 1:1).

"სან პედროს" სტადიონზე გამართული შეხვედრის ოპერატიულ მასალაში რამდენიმე საინტერესო ამბავი არ აგვისახავს, მაგალითად, გუნდში მომხდარი გადაადგილებები. **გია გეგუჩაძემ ზაზა ჭელიძე** ნახევარდაცვაში "საყრდენად" დააყენა. 25 წლის მოთამაშე ქართველმა გულშემატკივარმა სწორედ ამ ამპლუაში გაიცნო, მაგრამ "ტორპედოში" ცენტრალურ მცველად ათამაშებდნენ.

ახლა კი "ტორპედოს" დაცვის ცენტრი შეიცვალა: ამ ამპლუაში ახალწვეულები, **ბიძინა ცინცაძე** და **გიორგი ონიანი** ასპარეზობენ.

ქართულ-რუმინულ დაპირისპირებაში "რაპიდის" გოლი მთლიანად მთავარი არბიტრის სინდისზეა: მატჩს რუმინული არხი გადასცემდა და კომენტატორმა სიცილი ვერ შეიკავა, როდესაც **ჰო იანგ მაემ** 24-ე წუთზე კურიოზული ჯარიმა დანიშნა. რუმინელთა ფორვარდმა ქუთაისელთა მეკარე **ომარ მიგინეიშვილი** საჯარიმოში მოცელა, მაგრამ არბიტრმა "ტორპედო" დააჯარიმა და **ნიკოლაე გრიგორემ** ბურთი ამ თავისუფალი დარტყმის შედეგად გაიტანა.

ძალიან კარგი მატჩი ჩაატარა თავდამსხმელმა **ბექა ტულუშმა**. მისი მშვენიერი ფლანგური გარღვევის შემდეგ გაიტანა გოლი **გიორგი ფანცულაიამ** და საერთოდაც, მთელი შეხვედრის განმავლობაში რუმინელ მცველებს პრობლემებს უქმნიდა. ტულუშის ტექნიკაზე რუმინელი კომენტატორი მაშინ ლაპარაკობდა, როდესაც პენალტის შესასრულებლად მოემზადა – ეს დარტყმაც თავდაჯერებულად და ეფექტურადად შეასრულა და მორიგი კომპლიმენტიც დაიმსახურა.

ქუთაისელთაგან ტულუშის გარდა პენალტები ზუსტად შეასრულეს **ნიკა ფირცხალავამ, გიორგი გურულმა** და მეკარე **ომარ მიგინეიშვილმა**, რუმინელთა მეკარეს მხოლოდ **ვახტანგ კვარაცხელიამ** ვერ აჯობა.

ბუქარესტის "რაპიდი" რუმინეთის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია, იყო უეფას თასის ჯგუფური ეტაპის მონაწილე, ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის საკლუბო რეიტინგში 77-ე ადგილზეა, ქუთაისელებთან დაპირისპირებამდე კი ყაზანის "რუბინს" 1:0 მოუგო. იმედია, თუნდაც არაოფიაციალურ შეხვედრაში მასთან გამარჯვება ქართული გუნდისა და თითოეული მოთამაშის მენტალურ ზრდას ხელს შეუწყობს.

დაბოლოს: ნახევარფინალურ შეხვედრას ქუთაისის „ტორპედო“ 7 თებერვალს კიდევ ერთ ბუქარესტულ კლუბთან, "დინამოსთან" გამართავს. რუმინელებმა მეოთხედფინალში პოზნანის "ლეხს" **ალექსანდრუ დანდეას, მირჩა აქსენტესა** და **ალექსანდრ კურტიანუს** გოლებით 3:1 სძლიეს

**მერაბ მამულაშვილი**

● თვალსაზრისი



გიორგი ჭანტურია

# ცას რუსეთიც ვერ გამოეკერება

## ჭანტურიას ალანიასთვის უკვე გააქვს

**გიორგი ჭანტურია** საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის სტრატეგიულად ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელი უნდა იყოს და ამიტომაც ყურადღებას იქცევს მისი ტრანსფერი ვლადიკავკაზის „ალანიაში".

ჭანტურიას იმიტომ მივიჩნევ ნაკრებისთვის სტრატეგიულ მოთამაშედ, რომ ჯერ არ ჩანს სხვა ისეთი გარემარბი, ფლანგზე თავგზას რომ აუბნევს რამდენიმე მეტოქეს და "სოლოს" ძლიერი და ზუსტი დარტყმით დააგვირგვინებს.

ჭანტურიას ჯერ არ იძახებენ ეროვნულ ნაკრებში და საამისო არგუმენტიც არსებობს - ბოლო დროს არნემის „ვიტესის" ძირითადში ჭანტურია არ თამაშობდა. ვლადიკავკაზის „ალანიამ" კი სხვანაირად მიმოიხილა ჭანტურიას სიტუაცია და „ვიტესისგან" იჯარით წაიყვანა. „ალანიამ" ახლახან საკონტროლო მატჩი ითამაშა ერთ-ერთ სერბულ გუნდთან და ჭანტურიამაც ლამაზი გოლით გამოიჩინა თავი.

„ალანიას" ტრანსფერებზე **ვლადიმერ გუცაევი** მუშაობს და ნიჭიერი ფეხბურთელის ყადრი ამ კაცმა ძალიან კარგად იცის. საკუთარი კავშირებით მან არაერთი ქართველი ფეხბურთელი მიიყვანა ოსურ კლუბში და მისი უკმაყოფილო მგონი, არავინ დარჩენილა.

გუცაევს მანამდე საქართველოდან მიჰყავდა ფეხბურთელები რუსეთში, ახლა კი ჰოლანდიიდან ჩაიყვანა ქართველი ვლადიკავკაზში. ჭანტურიას ამ დღეებში რუსული „სპორტ-ექსპრესი" ესაუბრა და ჩვენებურმა განაცხადა, იტალიურ „ჯენოას", გერმანულ „ჰამბურგსა" და მოსკოვის „სპარტაკს" ვუნდოდი, მაგრამ...**მერაბ ჟორდანიასთან** ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა, თუმცა ბოლო ხანს არც კი მელაპარაკებაო.

იმ გუნდებს, რომლებიც ჭანტურიამ ჩამოთვალა, წესითა და რიგით, არ უნდა ეშლებოდეთ ურთიერთობა სხვა კლუბთან და სასურველ ფეხბურთელთან. რაც შეეხება „ვიტესის" პრეზიდენტ ჟორდანიას, მის წარმატებებს მნიშვნელოვნად განაპირობებს პირადი კონტაქტები, ჟორდანიას აქვს იმის უნარი, რომ ადამიანებთან ურთიერთობა დაალაგოს, მას ეს ყოველთვის კარგად არ გამოსდიოდა, თუმცა როგორც მენეჯერს, ადამიანებთან ურთიერთობის ალღო არ უნდა დაეწუნებოდეს.

მოკლედ, ნიჭიერი ჭანტურია ჯერ 20 წლისაც არ არის და უკვე ჰოლანდიიდან რუსეთში წავიდა. ამბობენ, ცვლილებები რუსეთშიც ხდებაო, იქ ისე აღარ არის, როგორც ადრე იყოო. ფაქტია, რუსული საკლუბო ფეხბურთი წინ მიდის, უფრო და უფრო მეტი ფული ჩნდება რუსულ კლუბებში, ფული კი ძალიან ბევრ რამეს აცამტვერებს, თუნდაც იმ მახინჯ ფორმებს, მენეჯერები რომ ხლართავენ ფეხბურთელის იქ მოსაწყობად.

ერთი შეხედვით, დასანანია, როცა ქართველი ტალანტი ჰოლანდიის ერთ-ერთი მოწინავე კლუბიდან ისეთ რუსულ გუნდში მიდის, არგავარდნისთვის რომ იბრძვის, თუმცა ისიცაა, რომ ჭანტურიას იჯარა სულ რამდენიმე თვეს ითვლის და „ალანია" ჩვენებურს თავისთან ვერ დააკავებს. ჭანტურიას ახლა ყველაზე უფრო სათამაშო პრაქტიკა სჭირდება და მერე მის ეროვნულ ნაკრებში გამოძახებას წინ ალბათ ვერაფერი დაუდგება.

აქეთ „ჯენოა", „ჰამბურგი" და „სპარტაკი", იქით კიდევ „ალანია" - ალბათობის თეორიით, ჭანტურიას ყველაზე ხშირად „ალანიაში" მოუწევს თერთმეტეულში ყოფნა. თუ გიორგი ნაკრებშიც მოიკიდებს ფეხს, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მოთამაშე გახდება ნებისმიერი ევროპული გუნდისთვის.

სწორი გადაწყვეტილება - ნიჭიერ ფეხბურთელს ამის უნარიც თუ აღმოაჩნდა, მისი ტალანტის ბოლომდე წარმოჩენას წინ ველარაფერი დაუდგება.

მე მაინც მგონია, რომ „ალანია" არ არის ურიგო ვარიანტი ჭანტურიასთვის. მერე რა, რომ ვლადიკავკაზია? ფეხბურთში ბევრი რამ სწრაფად იცვლება და ბოლოს და ბოლოს, ვერც ეს რუსეთი გამოეკერება ცას.

ქართველი ფეხბურთელებისგან გამიგონია, რომ „ალანიას" მთავარი მწვრთნელი **ვლადიმერ გაზაევი** „საჩუქარი" ნამდვილად არ არის, ერთხელ ისეც მოხდა, რომ მატჩის შემდეგ გასახდელში ერთ-ერთი ქართველის თამაშით უკმაყოფილომ მის ჩანთას გამეტებით ამოარტყა ფეხიო.

ჭანტურიას ფეხბურთის თამაშზე უფრო სხვა რამე რომ აინტერესებდეს, ალბათ არ წავიდოდა ჰოლანდიიდან ოსურ კლუბში. „ალანიაში" კარგი ქართველის ფასი იციან და ჭანტურიამ ეს შანსი უნდა გამოიყენოს.

რუსული პრემიერლიგა 9 მარტს განახლდება...

**დავით თავართქილაძე**

● დინამო

# რობერტინიო: დ[illegible] დასრულდა, კარგად!

## საქართველო ვოსკობოინიკოვმაც დატოვა

გუშინ თურქეთში თბილისის "დინამო" მეორე შეკრებაზე გაემგზავრა. თბილისელები სეზონის მეორე ნახევრისთვის სამზადისს ისევ ანთალიაში განაგრძობენ.

თბილისელთა მთავარმა მწვრთნელმა დუშან უჰრინმა შეკრებაზე 24 ფეხბურთელი წაიყვანა და მათ შორის კვლავ არ აღმოჩნდნენ მეკარე კოკა სეფიაშვილი, ცენტრალური ნახევარმცველი ლაშა პარუნაშვილი, გარემარბი რობერტინიო და თავდამსხმელი ვლადიმირ ვოსკობოინიკოვი.

ბრაზილიელმა რობერტინიომ მიმდინარე სეზონში 14 მატჩი ჩაატარა, მაგრამ 14-ივე შეცვლაზე, და ცხადი იყო, რომ 24 წლის გარემარბს წასვლა სურდა.

გუშინ რობერტინიომ საკუთარ "ფეისბუკის" გვერდზე დაწერა: *"მე მსურს მადლობა ვუთხრა თბილისის "დინამოს" ფანებს იმ ზრუნვისა და სიყვარულისთვის, რასაც მათგან გუნდში ყოფნის სამი წლის განმავლობაში ვგრძნობდი. მადლობა "დინამოს", რომელმაც სიყვარულით გამიღო კარი. ჩემთვის ეს პერიოდი დასრულდა, კარგად!"*

ჩვენ მოვახერხეთ რობერტინიოსთან დაკავშირება, რომელიც ახლა ბრაზილიაშია და მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით.

**- "დინამოდან" რატომ წახვედი?**

- აღარ მინდოდა დარჩენა.

**- კონტრაქტი დაგიმთავრდა თუ გაწყვიტე?**

- არა, დამიმთავრდა და კონტრაქტის გაგრძელებაც არ მსურდა.

**- "დინამოზე" განაწყენებული ხარ?**

- არა, მართლა არა. არ ვთამაშობდი, მაგრამ ასეც ხდება. "დინამოში" 3 ლამაზი სეზონი გავატარე, საქართველოში ძალიან ბევრი მეგობარი დამრჩა და მათთან დაშორებაზე გული მწყდება.

**- რომელ გუნდში გადადიხარ?**

- არსად გადავსულვარ და ჯერ ამაზე არც ვფიქრობ.

**- რატომ?!**

- იმიტომ, რომ ოჯახთან ერთად ყოფნა მომენატრა ახლა მხოლოდ ერთზე ვფიქრობ – რაც შეიძლება დიდხანს დავყო ჩემს საყვარელ ადამიანებთან.

**- ნუთუ არანაირი წინადადება არ გაქვს?**

- დავისვენებ და კარიერის გაგრძელებაზე ამის შემდეგ ვიფიქრებ. ბრაზილიაში ოჯახთან ერთად ყოფნა და აქვე თამაში მსურს.

■ ■ ■

ახალი კლუბის ძიება წარუმატებლად დაასრულა **ვლადიმერ ვოსკობოინიკოვმა**. ის არც პირველ შეკრებაზე ყოფილა და საერთოდაც, იანვრიდან "დინამოს" დუბლშემადგენლობაში ვარჯიშობდა. ესტონეთის ნაკრების თავდამსხმელმა თბილისურ გუნდთან დამშვიდობება, ახალ გუნდში სინჯებზე წასვლა და იქიდან გამობრუნებაც მოასწრო: ვოსკობოინიკოვი რუსეთის პირველი დივიზიონის ნოვოკუზნეცკის "მეტალურგ-კუზბასში" ისინჯებოდა. ამ კლუბში ჩვენებური **გიორგი ნავალოვსკი** თამაშობს, მცირე ხნის წინ კი ლიტვის ჩემპიონატის უმაღლესლიგელი "ბანგას" ყოფილი თავდამსხმელი **გიორგი ნიქაბაძე** გასინჯეს, მაგრამ გაუშვეს და ახლა ასევე რუსეთის პირველი დივიზიონის "ხიმკიში" გამოცდიან.

ვოსკობოინიკოვმა "მეტალურგ-კუზბასში" ყაზახურ "ასტანასთან" ფრედ (2:2) დასრულებულ შეხვედრაში გამოიჩინა თავი, მაგრამ მაინც არ დატოვეს. კლუბის სპორტულმა დირექტორმა **იური ბაგრიიმ** კი განაცხადა, არაფრით არის უკეთესი იმ თავდამსხმელებზე, რომლებიც გუნდში გვყავს. მერე, ასაკოვანია და ტრავმას ხშირად იღებსო.



რობერტინიო

დაზუსტებული ინფორმაციით, ბოლნისის "სიონსა" და ბათუმი "დინამოში" **ლაშა პარუნაშვილს** ინვევდნენ. მაგრამ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების 19 წლის ნახევარმცველი სეზონისთვის დღემდე "დინამო 2"-ში ემზადება. ჯერ უცნობია, სად ითამაშებს პარუნაშვილი მეორე წრეში.

იგივე შევიტყვეთ **კოკა სეფიაშვილზეც** - მეკარეს, რომელიც "გაგრაში" საუცხოოდ გამოიყურებოდა, "დინამოში" იშვიათად ათამაშებდნენ. იყო ინფორმაცია, რომ მისი გადაბირებით საჩხერის "ჩიხურა" დაინტერესდა, მაგრამ ეს ვარიანტი გამოირიცხა. პარუნაშვილის არ იყოს, სეფიაშვილიც დღემდე "დინამო 2"-ში ცდილობს ფორმის შენარჩუნებას.

**მერაბ მამულაშვილი**

● ტრანსფერი

# ალანიამ დაადასტურა: კობახიძეს ვიტოვებთ

**მამუკა კობახიძემ** "ლელოსთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ ვლადიკავკაზის "ალანიასთან" კონტრაქტი გააფორმა, რომლის პირობები უკვე შეთანხმებულია.

"ზესტაფონის" 20 წლის ცენტრალური მცველი რუსეთის პრემიერლიგის კლუბში ექვსთვიანი საიჯარო ხელშეკრულებით ივლისამდე ითამაშებს.

გუშინ ვლადიკავკაზური კლუბის პრესსამსახურმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ კობახიძე კლუბში რჩება. მასთან ერთად ხელშეკრულებები გაუფორმეს სალვადორელ თავდამსხმელ **როდოლფო ზელაიასა** და **დმიტრი ტიხიის**.

ამჟამად კობახიძე უკვე ტირანაშია და საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში დღეს ალბანეთის ნაკრებთან გასამართი ამხანაგური მატჩისთვის ემზადებოდა.

**მერაბ მამულაშვილი**

● ბენდელიას თასი

# გადამწყვეტი მატჩები

26 იანვარს დაიწყო აფხაზეთში გმირის, **ზაზა ბენდელიანის** სახელობის თასის XXII გათამაშება პროფესიულ გუნდებს შორის.

ტურნირში უმაღლესი და პირველი ლიგის 12 გუნდი მონაწილეობს. ჯგუფური ეტაპი უკვე დასასრულს მიუახლოვდა.

| II ტური | |
|---|---|
| ტორპედო-ზესტაფონი | 1:1 (პენ. 5:6) |
| საქ. უნივერს-სპარტაკი (ცხინვალი) | 0:5 |
| დინამო 2 (თბ)- მეტალურგი 2 (რუსთავი) | 2:1 |
| ზოოვეტი- გაგრა 2 | 1:1 (პენ. 4:3) |

| III ტური | |
|---|---|
| იმერეთი (ხონი)-ტორპედო | 1:7 |
| სპარტაკი-დინამო 2 | 2:5 |
| ქართლი-2011 (გორი)-უნივერსიტეტი | 0:1 |
| გაგრა 2-ვიტ ჯორჯია 2 | 0:7 |
| იუსი ბესტი (თბ)-ზოოვეტი | 0:0 (პენ.3:5) |

** ფრედ დასრულებული მატჩების შემდეგ, პირდაპირ ინიშნება პენალტების სერია, გუნდებს ერიცხებათ 1-1 ქულა, პენალტებში გამარჯვებულს კი- დამატებითი ქულა.*

6 და 7 თებერვალს მორიგი ტურის მატჩები გაიმართება. აქვე ვიტყვით, რომ "ბ" ჯგუფში მხოლოდ სამი გუნდია ("ტორპედო", "ზესტაფონი", "იმერეთი") და გუნდებს მეტი თამაში რომ ჰქონოდათ, ამიტომ გამონაკლისი დაუშვეს და თამაშები ორ წრედ ჩატარდება.

**IV ტური. 6 თებერვალი**

ტორპედო-იმერეთი
მეტალურგი 2-უნივერსიტეტი

**7 თებერვალი**

სპარტაკი-ქართლი-2011
გაგრა-იუსი ბესტი

მეოთხედფინალური შეხვედრები 12 და 13 თებერვალს გაიმართება, ნახევარფინალები - 16 თებერვალს, ფინალი კი – 21 თებერვალს.

**მერაბ მამულაშვილი**

DINAMO TBILISI 1925

დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლა იწყებს მიღებას!

დინამოს საფეხბურთო სკოლა იფუნქციონირებს კლუბის საფეხბურთო აკადემიის ბაზაზე.

დინამოს საფეხბურთო სკოლაში საწვრთნელი პროცესი 1მარტიდან დაიწყება.
დინამოს საფეხბურთო სკოლაში ფეხბურთელის მიღება იწარმოებს 6-დან 14 წლის ჩათვლით
დინამოს საფეხბურთო სკოლაში, სწავლების ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 100 ლარს.

დინამოს საფეხბურთო სკოლაში მიღების წესი

გთხოვთ ანკეტის ელექტრონული ვერსია შეავსოთ და გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: info@fcdinamo.ge
ანკეტის მიღება, შევსება და ჩაბარება ასევე შესაძლებელია დინამოს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე. მისამართი: თბილისი, დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, ბორის პაიჭაძის ქუჩა.
დინამო არენა. მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი N2
რეგისტრაციის მიღების პირველი ეტაპის ბოლო ვადაა 15 თებერვალი.
მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ დინამოს ოფიციალურ ვებგვერდს: http://fcdinamo.ge/

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოგვეხმარონ, უარს არ ვიტყვით...

მნიშვნელობა არა აქვს, მატჩი ოფიციალურია თუ ამხანაგური - საქართველოს ნაკრების ყოველი შეხვედრის წინ ოპტიმისტური განწყობა გვაქვს; მით უფრო, როცა ლაპარაკია ისეთ მეტოქეზე, რომელთანაც, დადებითი ბალანსით მოვიწონებთ თავს! თავად განსაჯეთ: დღემდე საქართველოსა და ალბანეთის ნაკრებებს ერთმანეთში 12 მატჩი ჩაუტარებიათ, სადაც 7 შეხვედრა ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა, 2-ჯერ ფრედ ვითამაშეთ და 3-ჯერაც წავაგეთ (ბურთების სხვაობაშიც უპირატესობა ჩვენს მხარესაა - 19-10). ეგ კი არა, დღიდან დაარსებისა, საქართველოს ნაკრებს ყველაზე მეტი მატჩი სწორედ ალბანელებთან აქვს გამართული (ოფიციალურიც და ამხანაგურიც); არც ის დაგვავიწყდეს, რომ ალბანელებს ხუთჯერ ვუმასპინძლეთ და ხუთივეჯერ ვაჯობეთ! ეგ კი არა, შარშანდლამდე თბილისში გოლიც არ ჰქონდათ გატანილი...

...ჩვენმა ნაკრებმა შარშანდელი საფეხბურთო წელიწადიც სწორედ ალბანელებთან ამხანაგური მატჩით დაიწყო და, ცოტა არ იყოს, უცნაური სცენარით განვითარებულ შეხვედრაში 2:1 მოვიგეთ. გეხსომებათ, ალბათ, რომ იმ შეხვედრაში ჩვენებმა ორი პენალტი გააცუდეს და ორივე შემთხვევაში ალბანელთა მეკარემ, იმ დროისათვის „პალერმოში" მოასპარეზე **სამირ უიკანმა** იყოჩაღა. საერთოდაც, ჩვენები პირველ ტაიმში პასიურად გამოიყურებოდნენ, სამაგიეროდ, მეორეში გაილაღეს და ეს, უპირველეს ყოვლისა, შემტევი ნახევარმცველების, **სანდრო კობახიძის, ჯანო ანანიძისა** და **დავით თარგამაძის** აქტიურობით იყო განპირობებული. ერთი წლისწინანდელი მატჩის არბიტრიც უნდა გვეხსენებინა: მოლდოველ მსაჯთა ბრიგადას ჩვენების მიმართ სიმპათია ჰქონდაო, კიდევ რბილად ნათქვამი იქნება თუმცა, გულახდილად ვიტყვით, რომ სულაც არ ვართ წინააღმდეგი მსგავსი სიმპათიები არბიტრებს სხვა შეხვედრებშიც გამოეჩინოთ. ბოლოს და ბოლოს ჩვენს ნაკრებს რამდენი მატჩი წაუგია მართლაც მიკერძოებული მსაჯობის გამო?..

## გამორჩეული ფაქტები

ქართულ-ალბანურ დაპირისპირებებზე მართლაც ბევრი თქმულა და დღეს, მხოლოდ, სტატისტიკურ მონაცემებს შემოგთავაზებთ. უბრალოდ, მხოლოდ იმას დავძენთ, რომ სულ პირველი დაპირისპირება, 1994 წლის 14 დეკემბერს რომ შედგა ტირანაში და ჩვენების გამარჯვებით რომ დამთავრდა, მართლაც განსაკუთრებული იყო: ეს იყო საქართველოს ნაკრების პირველი საგარეო მოგება ოფიციალურ შეხვედრაში! გამარჯვების მომტანი ის ერთადერთი ბურთი **შოთა არველაძემ** გაიტანა, რომელიც შემდეგშიც ალბანელთა მცველ-მეკარეთა რისხვა გახლდათ: ჩვენი დღევანდელი მეტოქის კარში სხვადასხვა დროს 6 გოლი აქვს გატანილი! არცთუ ურიგო ინდივიდუალური მიღწევა აქვს ჩვენი ნაკრების დღევანდელ თავკაცსაც: **თემურ ქეცბაიამ** ფეხბურთელობის დროს ალბანელთა წინააღმდეგ ოთხჯერ ითამაშა და ის ოთხივე მატჩი საქართველოს ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა!

ამას გარდა, ქეცბაიას 2 გოლი აქვს გატანილი ალბანელთა კარში, ისე როგორც **ალექსანდრე იაშვილს**. შოთა არველაძის, თემურ ქეცბაიასა და ალექსანდრე იაშვილის გარდა, ალბანეთის ნაკრების კარში თითო-თითო გოლი აქვთ გატანილი: **არჩილ არველაძეს, მიხეილ ყაველაშვილს, მიხეილ აშვეთიას, ლევან კობიაშვილს, გიორგი დემეტრაძეს, ლადო ბურდულს, ლადო დვალიშვილს, სანდრო კობახიძესა** და **ალექსანდრე ამისულაშვილს.**

...მწვრთნელებს შორის კი ასეთი „სურათია": **ალექსანდრე ჩივაძესა** და **ვლადიმერ გუცაევს** ალბანელების წინააღმდეგ ორ-ორჯერ გაუყვანიათ ჩვენი ნაკრები და ოთხივე შემთხვევაში გავიმარჯვეთ: ჩვენი ნაკრების სხვა მწვრთნელების მონაგარი კი ასეთია: **მერაბ ჟორდანია** - 1 მოგება და 1 წაგება, **ალენ ჟირესი** - 1 მოგება და 1 წაგება, **თემურ ქეცბაია** - 1 მოგება, **კლაუს ტოპმიოლერი** - 1 ფრე, **ექტორ რაულ კუპერი** - 1 ფრე, **იოჰან ბოსკამპი** - 1 წაგება.

გვერდი მოამზადა **გია ტუხაშვილმა**



2012 წლის 29 თებერვალი. საქართველო-ალბანეთი 2:1. ამ მატჩში არბიტრმა სიდენკომ პენალტის ნიშნულისკენ ხელი ორჯერ გაიშვირა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## ყველა დაპირისპირება

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

14. 12. 1994. ტირანა. „ქემალ სტაფა". 20000 მაყურებელი

**ალბანეთი - საქართველო 0:1**

0:1 შ. არველაძე (18).

საქართველო: **ა. დევაძე - ზ. რევიშვილი, დ. კუდინოვი, მ. შელია, გ. ჩიხრაძე - კ. გოგიჩაიშვილი (65. მ. ჯიშკარიანი), გ. ინალიშვილი, გ. ქინქლაძე, თ. ქეცბაია - გ. გოგრიჭიანი, შ. არველაძე (75. გ. ჯამარაული).**

კაპიტანი: მურთაზ შელია

მთავარი მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

გაფრთხილება: გ. ქინქლაძე, თ. ქეცბაია

არბიტრი: ლ. მოლნარი (უნგრეთი)

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

26. 04. 1995. თბილისი. „ეროვნული". 25000 მაყურებელი

**საქართველო - ალბანეთი 2:0**

1:0 შ. არველაძე (2), 2:0 თ. ქეცბაია (42)

საქართველო: ა. დევაძე - გ. ლუდუშაური, მ. შელია (75. ნ. ლობჟანიძე), გ. ინალიშვილი, დ. კუდინოვი - კ. გოგიჩაიშვილი, გ. ჯამარაული, გ. ქინქლაძე, თ. ქეცბაია - დ. ყიზილაშვილი (59. ა. არველაძე), შ. არველაძე

კაპიტანი: მურთაზ შელია

მთავარი მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

არბიტრი: რ. ლუნგი (ჰოლანდია)

### საერთაშორისო ტურნირი

08. 02. 1998. ლ ვალეტა. „ტაქალი" 750 მაყურებელი

**საქართველო - ალბანეთი 3:0**

**1:0 თ. ქეცბაია (19), 2:0 მ. ყაველაშვილი (29), 3:0 ა. იაშვილი (70)**

საქართველო: **დ. გვარამაძე - ლ. სილაგაძე, მ. შელია, კ. კალაძე, გ. ჩიხრაძე - თ. ქეცბაია, გ. შეყილაძე, გ. ნემსაძე, გ. ჯამარაული (74. გ. კიკნაძე) - მ. ყაველაშვილი, ა. იაშვილი**

კაპიტანი: გიორგი ნემსაძე

მთავარი მწვრთნელი: ვლადიმერ გუცაევი

გაფრთხილება: ა. იაშვილი, მ. შელია

არბიტრი: ჩ. აგიუსი (მალტა)

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

05. 09. 1998. თბილისი. „ეროვნული". 45000 მაყურებელი

**საქართველო - ალბანეთი 1:0**

1:0 ა. არველაძე (65)

საქართველო: დ. გვარამაძე - ლ. სილაგაძე (43. გ. კიკნაძე), კ. კალაძე, მ. წერეთელი, ლ. კობიაშვილი - თ. ქეცბაია (54. ზ. ჯანაშია), გ. ნემსაძე, გ. ჯამარაული, ლ. ცქიტიშვილი - გ. ქინქლაძე - ა. იაშვილი (62. ა არველაძე)

კაპიტანი: გიორგი ნემსაძე

მთავარი მწვრთნელი: ვლადიმერ გუცაევი

გაფრთხილება: ლ. კობიაშვილი, მ. წერეთელი, ზ. ჯანაშია, გ. კიკნაძე

გაძევება: ზ. ჯანაშია

არბიტრი: კ. დეტრუჩი (შვეიცარია)

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

09. 10. 1999. ტირანა. „ქემალ სტაფა". 6000 მაყურებელი

**ალბანეთი - საქართველო 2:1**

1:0 რაკლი (30), 2:0 კოლა (36), 2:1 შ. არველაძე (52)

საქართველო: გრ. ჭანტურია - გ. შეყილაძე, დ. ჭიჭველიშვილი, გ. დიდავა, კ. კალაძე - ლ. კობიაშვილი, გ. ნემსაძე - ა. არველაძე (83. დ. ჯანაშია), გ. ჯამარაული, გ. გახოკიძე - შ. არველაძე

კაპიტანი: გიორგი ნემსაძე

მთავარი მწვრთნელი: იოჰან ბოსკამპი

გაფრთხილება: დ. ჭიჭველიშვილი. კ. კალაძე, გ. შეყილაძე

არბიტრი: ა. მიკალეფი (მალტა)

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

06. 09. 2003. თბილისი. „ეროვნული". 15000 მაყურებელი

**საქართველო - ალბანეთი 3:0**

1:0 შ. არველაძე (8), 2:0 მ. აშვეთია (17), 3:0 შ. არველაძე (43)

საქართველო: გ. ლომაია - რ. ქემოკლიძე, ზ. ხიზანიშვილი, გ. ნემსაძე, დ. კვირკველია - ლ. ბურდული (68. ა. რეხვიაშვილი), გ. ჯამარაული (59. მ. ასათიანი), ლ. კობიაშვილი, ა. იაშვილი - შ. არველაძე (60. გ. დემეტრაძე), მ. აშვეთია

კაპიტანი: გიორგი ნემსაძე

მთავარი მწვრთნელი: მერაბ ჟორდანია

გაფრთხილება: ა. რეხვიაშვილი

არბიტრი: ნ. ვოლკარცი (დანია)

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

10. 09. 2003. ტირანა. „ქემალ სტაფა". 15000 მაყურებელი

**ალბანეთი-საქართველო 3:1**

1:0 ჰასი (52), 2:0 ტარე (54), 2:1 შ. არველაძე (63), 3:1 ბუში (80)

საქართველო: გ. ლომაია - რ. ქემოკლიძე (38. ა. რეხვიაშვილი), ზ. ხიზანიშვილი, გ. დიდავა (65. გ. დემეტრაძე), დ. კვირკველია - გ. ნემსაძე, ლ. კობიაშვილი - ა. არველაძე (56. გ. ქინქლაძე), გ. ჯამარაული. მ. აშვეთია - შ. არველაძე

კაპიტანი: გიორგი ნემსაძე

მთავარი მწვრთნელი: მერაბ ჟორდანია

გაფრთხილება: გ. დემეტრაძე, ა. რეხვიაშვილი

გაძევება: გ. გახოკიძე (სათადარიგოთა სკამიდან)

არბიტრი: მ. სალომირი (რუმინეთი)

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

08. 09. 2004. თბილისი. „ლოკომოტივი". 25000 მაყურებელი

**საქართველო - ალბანეთი 2:0**

1:0 ა. იაშვილი (15), 2:0 გ. დემეტრაძე (90)

საქართველო: ა. დევაძე - კ. მჟავანაძე, ო. ხიზანეიშვილი, ლ. სალუქვაძე, კ. კალაძე - ლ. ცქიტიშვილი, მ. ასათიანი (58. ჯ. კანკავა) - ა. იაშვილი, გ. ჯამარაული (77. დ. კვირკველია), ლ. კობიაშვილი - შ. არველაძე (89. გ. დემეტრაძე)

კაპიტანი: კახა კალაძე

მთავარი მწვრთნელი: ალენ ჟირესი

გაფრთხილება: კ. კალაძე, ჯ. კანკავა, გ. დემეტრაძე

არბიტრი: მ. კორტნი (ჩრ. ირლანდია)

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

04. 06. 2005. ტირანა. „ქემალ სტაფა".

**ალბანეთი - საქართველო 3:2**

1:0 ტარე (6), 2:0 შკელა (33), 3:0 ტარე (55), 3:1 ლ. ბურდული (85), 3:2 ლ. კობიაშვილი (90)

საქართველო: ზ. სტურუა - ზ. ხიზანიშვილი, კ. კალაძე, ლ. სალუქვაძე, დ. კვირკველია - ლ. მაღრაძე (64. ლ. ბურდული), ა. რეხვიაშვილი, მ. ასათიანი (58. ვ. დარასელია), ლ. კობიაშვილი - გ. ჯაკობია, გ. დემეტრაძე (76. მ. ბობოხიძე)

კაპიტანი: კახა კალაძე

მთავარი მწვრთნელი: ალენ ჟირესი

გაფრთხილება: ა. რეხვიაშვილი, ვ. დარასელია

არბიტრი: ა. ტუდორი (რუმინეთი)

### ამხანაგური მატჩი

22. 03. 2006. ტირანა. „ქემალ სტაფა". 2000 მაყურებელი

**ალბანეთი - საქართველო 0:0**

საქართველო: გ. ლომაია (46. გრ. ჭანტურია) - ლ. მაღრაძე, მ. ღვინიანიძე, გ. შაშიაშვილი, ზ. ელიავა - კ. ალადაშვილი (88. გ. სეთურიძე), ზ. მენთეშაშვილი (35. გ. განუგრავა), ჯ. კანკავა (46. გ. ფოფხაძე), გ. გოგუა - ლ. ჯაკობია, ვ. გიგიაძე

კაპიტანი: ლაშა ჯაკობია

მთავარი მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

გაფრთხილება: გ. გოგუა, გ. განუგრავა

გაძევება: გ. გოგუა

არბიტრი: პ. დონდარინი (იტალია)

### ამხანაგური მატჩი

10. 06. 2009. ტირანა. „ქემალ სტაფა". 2000 მაყურებელი

**ალბანეთი - საქართველო 1:1**

0:1 ლ. დვალიშვილი (2), 1:1 აგოლი (59)

საქართველო: გ. ბედიაშვილი - უ. ლობჟანიძე, ზ. ხიზანიშვილი, გ. კაშია, გ. ფოფხაძე - ლ. რაზმაძე, ლ. კობიაშვილი (83. ი. კლიმიაშვილი) - გ. სეთურიძე, გ. მერებაშვილი (59. ო. მარცვალაძე), ა. იაშვილი (76. ბ. დაუშვილი) - ლ. დვალიშვილი (65. რ. ალექსიძე)

კაპიტანი: ლ. კობიაშვილი

მთავარი მწვრთნელი: ექტორ კუპერი

არბიტრი: ა. სტავრევი (მაკედონია)

### ამხანაგური მატჩი

29. 02. 2012. თბილისი. „მ. მესხი". 20 000 მაყურებელი

**საქართველო - ალბანეთი 2:1**

0:1 კანი (3), 1:1 ს. კობახიძე (48), 2:1 ა. ამისულაშვილი (88)

საქართველო: ნ. რევიშვილი - გ. კაშია, ზ. ხიზანიშვილი, ა. ამისულაშვილი, გ. გრიგალავა (46. დ. კვირკველია) - ჯ. კანკავა (90. ი. ძარია), ბ. დაუშვილი (46. ნ. გელაშვილი) - დ. თარგამაძე (89. შ. გრიგალაშვილი), ჯ. ანანიძე (74. ლ. ყენია), ს. კობახიძე - ლ. დვალიშვილი (60. ო. მარცვალაძე)

კაპიტანი: ზურაბ ხიზანიშვილი

მთავარი მწვრთნელი: თემურ ქეცბაია

გაფრთხილება: ჯ. კანკავა

არბიტრი: გ. სიდენკო (მოლდოვა)

● მოსალოდნელი ტრანსფერი


რობერტ ლევანდოვსკიზე დიდი მოთხოვნაა

# ლევანდოვსკი ბაიერნს შეუთანხმდა?

## გვარდიოლას მერე „სკაი იტალიას“ ყველაფერი დაეჯერება!

ადრეცარაერთხელ გავრცელებულა ცნობები იმის შესახებ, რომ დორტმუნდის „ბორუსიას“ პოლონელი თავდამსხმელი **რობერტ ლევანდოვსკი** შეიძლება მიუნხენის „ბაიერნში“ გადავიდეს, მაგრამ ახლა ასეთ ინფორმაციას სანდო წყაროზე დაყრდნობით „სკაი იტალია“ ავრცელებს, რომელმაც ამას წინათ საფეხბურთო სამყაროს ყველაზე ადრე შეატყობინა, რომ **ხოსეპ გვარდიოლა** „ბაიერნის“ მთავარ მწვრთნელად ინიშნებოდა. შესაბამისად, ეს ახალი ინფორმაციაც მინიმუმ სპეკულაციაზე მეტია.

„სკაი იტალიას“ ცნობით, 24 წლის ლევანდოვსკი მიუნხენური კლუბის ხელმძღვანელებს უკვე ყველაფერზე შეუთანხმდა და ზაფხულიდან კარიერას ბავარიულ გრანდში გააგრძელებს. „ბაიერნის“ ბოსებმა გუშინ ამ თემაზე კომენტარის გაკეთება არ ისურვეს, მანამდე კი, კერძოდ კვირას, „ბორუსიას“ ხელმძღვანელებმა პოლონელ გოლეადორთან ახალი კონტრაქტის გაფორმების სურვილი კიდევ ერთხელ გამოთქვეს.

სამაგიეროდ, გუშინ კომენტარი გააკეთა „დორტმუნდის“ სპორტულმა დირექტორმა **მიხაელ ცორკმა**: *„ამ ინფორმაციაზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან არაფერი ვიცი. თუ ჩვენი ფეხბურთელი ჩვენგან დამოუკიდებლად ვინმეს ელაპარაკება, ვერაფერს შევცვლით, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცით და იმედი გვაქვს, რომ ლევანდოვსკი „დორტმუნდის“ ზურგს უკან არავის ელაპარაკება!“*

ლევანდოვსკის „დორტმუნდთან“ კონტრაქტი 2014 წლის ზაფხულამდე აკავშირებს და ახალი ხელშეკრულება ჯერაც არ გაუფორმებია, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ კონტრაქტს არ გააგრძელებს, ზაფხულში „დორტმუნდის“ ბოსებს მისი გაყიდვა მოუწევთ, რათა გაისად უფასოდ არ დაკარგონ. ცნობილია ისიც, რომ რობერტის გადაბირება ძალიან უნდა „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაც სერ ალექს ფერგიუსონსაც.

„ბაიერნს“ ამჟამად სამი მაღალი კლასის ცენტრფორვარდი ჰყავს: **მარიო გომესი, მარიო მანჯუკიჩი** და **კლაუდიო პისარო.** თუმცა ამ უკანასკნელს რეკორდმაისტერთან ხელშეკრულება ამ სეზონის ბოლომდე აქვს გაფორმებული. შეგახსენებთ, რომ რობერტ ლევანდოვსკი „დორტმუნდში“ 2010 წლიდან თამაშობს და მას მერე ბუნდესლიგის 86 შეხვედრაში 43 გოლი გაიტანა.

**გოტფრიდ ლენცი**

● მალიორკა

# მე-6 ცვლილება ლა ლიგაში: გრეგორიო მანსანო მალიორკას მწვრთნელი მესამედ გახდა

ლა ლიგის ბოლოსწინა ადგილზე მყოფმა (22 ტურში მხოლოდ 17 ქულა) „მალიორკამ“ **ხოაკინ კაპაროსის** ნაცვლად მთავარ მწვრთნელად **გრეგორიო მანსანო** დანიშნა.

კლუბის პრეზიდენტმა **სერა ფერერმა** მადლობა გადაუხადა ბასკ სპეციალისტს გაწეული მუშაობისთვის: *„ძალიან უხერხული სიტუაცია იყო ჩემთვისაც და მწვრთნელისთვისაც. მაგრამ ცვლილება, რომელიც იხსნის „მალიორკას“ გავარდნისგან აუცილებელი იყო. მადლობა ხოაკინ კაპაროსს გაწეული შრომისათვის“.*

გრეგორიო მანსანო კარიერაში მესამედ (!) გახდა „მალიორკას“ თავკაცი. 56 წლი ა სპეციალისტს ამ კლუბში 2002-03 წლებში და 2006-10 წლებში უმუშავია. მანსანოს პუბლიკას სამშაბათს წარუდგენენ.

შეგახსენებთ, რომ „მალიორკა“ მე-6 გუნდია ლა ლიგაში, რომელმაც მწვრთნელი შეიცვალა: „ესპანიოლის“, „ვალენსიას“, „დეპორტივოს“, „სევილიასა“ და „გრანადას“ შემდეგ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


გრეგორიო მანსანოზე კარგად მალიორკაში სიტუაცია არც ერთმა მწვრთნელმა არ იცის

● ვარსკვლავი


კრიშტიანო აიჭრა

# მესი, მესი... ავტოგრაფზე უარისთვის

**კრიშტიანო რონალდოს**, რომელიც სამშობლოში ეროვნული ნაკრების შეკრებაზე ჩავიდა, უსიამოვნო სიურპრიზი ელოდა - ერთმა განაწყენებულმა ფანმა ლამის ვარჯიში ჩაშალა, *„მესი, მესის“* ძახილით. არ იტყვით, რა იყო მავანი ფანის განაწყენების მიზეზი? „რეალის“ 28 წლის ფორვარდმა (სხვათა შორის, ეს ინციდენტი რონალდოს დაბადების დღეს მოხდა) მას ავტოგრაფი არ მისცა!

პორტუგალიელი ჟურნალისტების თქმით, კრიშტიანო ძალიან გალიზიანდა, სამშობლოშიც რომ ასე მიმართეს (პორტუგალიელს ამ ფორმით აღიზიანებენ ხოლმე „რეალის“ მეტოქე გუნდების ფანები ესპანეთში), თუმცა შემდეგ რეპორტიორებთან დალაგებულად ილაპარაკა:

*„ასეთ სიტუაციაში თითქმის ყველგან ვხვდები ხოლმე, ამიტომ მზად უნდა ვიყო. სიმართლე გითხრათ, ჩემი მოწინააღმდეგეების გამონათქვამებს დიდ ყურადღებას არ ვაქცევ“.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



## უცხოური ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

# იანვრის ყველა ტრანსფერი

იანვრის სატრანსფერო ბაზარი გაიხსნა თუ არა, პრემიერლიგური კლუბები მაშინვე დაფაცურდნენ. ყველაზე აქტიურები ბაზარზე „ნიუკასლი“ და „ქუინზ პარკი“ აღმოჩნდნენ. პასიურთა შორის პასიური კი „ევერტონი“ იყო. მერსისაიდულმა კლუბმა მხოლოდ ერთი ფეხბურთელი გადაიბირა და არავინ გაუშვია. ყველაზე ხმაურიანი „მანჩესტერ სიტის“ 22 წლის იტალიელი მარიო ბალოტელის „მილანში“ გადასვლა აღმოჩნდა. სრულად სატრანსფერო სიახლეებს ქვემოთ გაეცნობით.

### მანჩესტერ იუნაიტედი

**მოვიდნენ**

**დინ სანტანჯელო** (მეკ, 2 მლნ ფუნტი, „აუგსბურგი“), **უილფრიდ ზაჰა** (ნახ, 12 მლნ ფუნტი, „კრისტალ პალასი“)

**წავიდნენ**

**ბებე** (თავ, იჯარა, „რიუ ავე“), **ანხელო ენრიკესი** (თავ, იჯარა, „უიგანი“), **ჯონ კინგი** (თავ, „ბლექბერნი“), **სკოტ ვუტონი** (მცვ, იჯარა, „პიტერბორო“), **რობი ბრეიდი** (ნახ, 2,5 მლნ ფუნტი, „ჰალ სიტი“), **დავიდე პეტრუჩი** (ნახ, იჯარა, „პიტერბორო“), **მაიკლ კინი** (მცვ, იჯარა, „ლესტერი“), **ფედერიკო მაკედა** (თავ, იჯარა, „შტუტგარტი“), **უილფრიდ ზაჰა** (ნახ, იჯარა, „კრისტალ პალასი“)

### მანჩესტერ სიტი

**მოვიდნენ**

არავინ

**წავიდნენ**

**ალექს მინელი** (თავ, იჯარა, „კრისტალ პალასი“), **მარიო ბალოტელი** (თავ, 19 მლნ ფუნტი, „მილანი“), **რაიან მაკგივერნი** (მცვ, იჯარა, „ჰიბერნიანი“)

### ჩელსი

**მოვიდნენ**

**დემბა ბა** (თავ, 7 მლნ ფუნტი, „ნიუკასლი“), **უოლას ოლივეირა დოს სანტოსი** (ნახ, 5,4 მლნ ფუნტი, „ფლუმინენსე“)

**წავიდნენ**

**დენიელ სტარიჯი** (თავ, 12 მლნ ფუნტი, „ლივერპული“), **ლუკას პიაზონი** (ნახ, იჯარა, „მალაგა“), **ბილი კლიფორდი** (მცვ, იჯარა, „კოლჩესტერი“), **სემ უოკერი** (მეკ, იჯარა, „კოლჩესტერი“), **პატრიკ ბემფორდი** (თავ, იჯარა, „დონსი“)

### ტოტენჰემი

**მოვიდნენ**

**ზაკ ფრაიერსი** (მცვ, 3,5 მლნ ფუნტი, „სტანდარდი“), **ლუის ჰოლტბი** (ნახ, 1,5 მლნ ფუნტი, „შალკე“)

**წავიდნენ**

**კარლო კუდიჩინი** (მეკ, უფასოდ, „ლოს ანჯელეს გალაქსი“), **საიმონ დოუკინსი** (თავ, ასტონ ვილა, „კოლჩესტერი“), **იაგო ფალკე** (ნახ, იჯარა, „ალმერია“), **ეურელიო გომესი** (მეკ, იჯარა, „ჰოფენჰაიმი“), **ჯერმეინ ჯენასი** (ნახ, უფასოდ, „ქუინზ პარკი“), **რაიან მეისონი** (ნახ, იჯარა, „ლორიენი“), **ალექს პრიტჩარდი** (ნახ, იჯარა, „პიტერბორო“), **ანდროს თაუსენდი** (ნახ, იჯარა, „ქუინზ პარკი“)

### ევერტონი

**მოვიდნენ**

**ჯონ სტოუნსი** (მცვ, 3,5 მლნ ფუნტი, „ბარნსლი“)

**წავიდნენ**

არავინ

### არსენალი

**მოვიდნენ**

**ნაჩო მონრეალი** (მცვ, 8,5 მლნ, „მალაგა“)

**წავიდნენ**

**მარუან შამახი** (თავ, იჯარა, „ვესტ ჰემი“), **იოან ჯურუ** (მცვ, იჯარა, „ჰანოვერი“), **ემანუელ ფრიმპონგი** (ნახ, იჯარა, „ფულჰემი“)

### ლივერპული

**მოვიდნენ**

**დენიელ სტარიჯი** (თავ, 12 მლნ ფუნტი, „ჩელსი“), **ფელიპე კოუტინიო** (ნახ, 8,5 მლნ ფუნტი, „ინტერი“)

**წავიდნენ**

**ჯო კოული** (ნახ, უფასოდ, „ვესტ ჰემი“), **ადამ მორგანი** (თავ, იჯარა, „როტერჰემი“), **ნური შაჰინი** (ნახ, იჯარიდან გათავისუფლდა, „დორტმუნდი“), **დენი უილსონი** (მცვ, იჯარა, „ჰართსი“), **ალეშანდრე დონი** (მეკ, უფასოდ, „ბოტაფოგო“), **დანი პაჩეკო** (თავ, იჯარა, „უესკა“)

### სუონსი

**მოვიდნენ**

**როლანდ ლამა** (თავ, იჯარა, „ოსასუნა“), **გვიონ ედვარდსი** (ნახ, იჯარა, „სენტ ჯონსტონი“)

**წავიდნენ**

**ჯეიმი პროქტორი** (თავ, იჯარა, „ქროული“), **ლეროი ლიტა** (თავ, იჯარა, „შეფილდ უენსდი“), **დენი გრემი** (თავ, 5 მლნ ფუნტი, „სანდერლენდი“), **ჯეს რიჩარდსი** (ნახ, იჯარა, „კრისტალ პალასი“)

### ვესტ ბრომვიჩი

**მოვიდნენ**

არავინ

**წავიდნენ**

**გონსალო ხარა** (მცვ, იჯარა, „ნოტინგემ ფორესტი“), **კრის ვუდი** (თავ, 1,25 მლნ ფუნტი, „ლესტერი“), **სემ მენტომი** (ნახ, იჯარა, „უოლსოლი“)

### სტოკ სიტი

**მოვიდნენ**

**ჯეკ ბატლენდი** (მეკ, 5 მლნ ფუნტი, „ბირმინგემი“), **ბრეკ ში** (ნახ, 3 მლნ ფუნტი, „დალასი“)

**წავიდნენ**

**დენი ჰიგინბოთემი** (მცვ, უფასოდ, „შეფილდ იუნაიტედი“), **მორის ედუ** (ნახ, იჯარა, „ბურსასპორი“), **მაიკლ ტონგი** (ნახ, „ლიდსი“), **რაიან ბრანტი** (თავ, „ბრისტოლ როვერსი“), **ჯეკ ბატლენდი** (მეკ, იჯარა, „ბირმინგემი“), **რორი დელაპი** (მცვ, იჯარა, „ბარნსლი“), **მეტიუ აპსონი** (მცვ, იჯარა, „ბრაიტონი“)



მარიო ბალოტელის ინგლისური კარიერა ულიმლამოდ დასრულდა

### სანდერლენდი

**მოვიდნენ**

**ალფრედ ნდიაიე** (ნახ, 4,7 მლნ ფუნტი, „ბურსასპორი“), **კადერ მანგანე** (მცვ, იჯარა, „ალ ჰილალი“), **დენი გრემი** (თავ, 5 მლნ ფუნტი, „სუონსი“)

**წავიდნენ**

**დონ ვონ ჩი** (თავ, იჯარა, „აუგსბურგი“), **დევიდ მეილერი** (ნახ, 1,8 მილიონი ფუნტი, „ჰალ სიტი“), **ფრეიზერ კემპბელი** (თავ, 0,75 მილნ ფუნტი, „კარდიფ სიტი“), **ლუის საა** (თავ, უფასოდ, ?), **აჰმედ ელმოჰამადი** (ნახ, იჯარა, „ჰალ სიტი“), **ბლერ ადამსი** (მცვ, „ქოვენთრი“)

### ფულჰემი

**მოვიდნენ**

**კრის დევისი** (თავ, „ტვენტე“), **ურბი ემანუელსონი** (ნახ, იჯარა, „მილანი“), **ეიონგ ენო** (ნახ, იჯარა, „აიაქსი“), **ემანუელ ფრიმპონგი** (ნახ, იჯარა, „არსენალი“), **სტანისლავ მანოლევი** (მცვ, იჯარა, „ეინდჰოვენი“)

**წავიდნენ**

**სტივენ კელი** (მცვ, 1,5 მლნ ფუნტი, „რედინგი“), **დევიდ სტოკდეილი** (მეკ, იჯარა, „ჰალ სიტი“)

### ვესტ ჰემი

**მოვიდნენ**

**მარუან შამახი** (თავ, იჯარა, „არსენალი“), **ჯო კოული** (ნახ, უფასოდ, „ლივერპული“), **შონ მაგუაიარი** (თავ, „უოტერფორდ იუნაიტედი“), **ველინგტონ პაულისტა** (თავ, იჯარა, „კრუზეირო“), **ემანუელ პოგატეტცი** (მცვ, იჯარა, „ვოლფსბურგი“)

**წავიდნენ**

**იოსი ბენაიუნი** (ნახ, იჯარა დაუმთავრდა, „ჩელსი“), **სტივენ ჰენდერსონი** (მეკ, იჯარა, „იპსვიჩი“), **ალუ დიარა** (ნახ, იჯარა, „რენი“)

### ნორვიჩი

**მოვიდნენ**

**კეი კამარა** (თავ, იჯარა, „კანზასი“), **ლუსიანო ბეკიო** (თავ, 230 ათასი ფუნტი, „ლიდსი“)

**წავიდნენ**

**ელიოტ ვორდი** (მცვ, იჯარა, „ნოტინგემ ფორესტი“), **ჯეიკობ ბატეფილდი** (ნახ, იჯარა, „კრისტალ პალასი“), **საიმონ ლაპინი** (ნახ, თ.ა), **სტივ მორისონი** (თავ, უფასოდ, „ლიდსი“)

### ნიუკასლი

**მოვიდნენ**

**მატიე დებუში** (მცვ, 5 მლნ ფუნტი, „ლილი“), **მაპუ იანგა-მბივა** (მცვ, 8 მლნ ფუნტი, „მონპელიე“), **იოან გუფრანი** (თავ, 2 მლნ ფუნტი, „ბორდო“), **მასიმო აიდარა** (მცვ, 2,5 მლნ ფუნტი, „ნანსი“), **კევინ მბაბუ** (მცვ, 1 მლნ ფუნტი, „სერვეტი“), **მუსა სისოკო** (ნახ, 2,5 მლნ ფუნტი, „ტულუზი“)

**წავიდნენ**

**დემბა ბა** (თავ, 7 მლნ ფუნტი, „ჩელსი“), **კონორ ნიუტონი** (ნახ, იჯარა, „სენტ მირენი“), **ჩისკო** (თავ, უფასოდ, „კორდობა“)

### საუთჰემპტონი

**მოვიდნენ**

**ვეგარდ ფორენი** (მცვ, 4,75 მლნ ფუნტი, „მიოლდე“), **რაიან დიქსონი** (მცვ, იჯარა, „ბრედფორდი“)

**წავიდნენ**

**სემ ჰოსკინსი** (თავ, იჯარა, „სტივენეიჯი“), **ლი ბერნარდი** (თავ, იჯარა, „ბორნმუთი“), **სტივენ დე რიდერი** (თავ, იჯარა, „ბოლტონი“), **ჯონათან ფორტე** (თავ, იჯარა, „შეფილდ იუნაიტედი“), **ბენ რივსი** (მცვ, იჯარა, „საუთენდი“), **დენ სიბორნი** (მცვ, იჯარა, „ბორნმუთი“)

### რედინგი

**მოვიდნენ**

**დანიელ კარისუ** (მცვ, 610 ათასი ფუნტი, „სპორტინგი“), **სტივენ კელი** (მცვ, 1,5 მლნ ფუნტი, „ფულჰემი“), **ჰოუპ აკპანი** (ნახ, 370 ათასი ფუნტი, „ქროული“), **ნიკ ბლეკმენი** (თავ, 1,4 მლნ ფუნტი, „შეფილდ იუნაიტედი“)

**წავიდნენ**

**დომინიკ სემუელი** (თავ, იჯარა, „კოლჩესტერი“), **გოზი უგვუ** (თავ, იჯარა, „პლიმუთი“), **ჯორდან ობიტა** (ნახ, იჯარა, „ოლდჰემი“)

### უიგანი

**მოვიდნენ**

**როხერ ესპინოსა** (ნახ, უფასოდ, „კანზას სიტი“), **ანხელო ენრიკესი** (თავ, იჯარა, „მანჩესტერ იუნაიტედი“), **ხოელ რობლეს ვასკესი** (მეკ, იჯარა, „ატლეტიკო“), **პაულ შარნერი** (მცვ, იჯარა, „ჰამბურგი“)

**წავიდნენ**

**რობერტ კერნანი** (მცვ, იჯარა, „ბრენტფორდი“), **მაურო ბოსელი** (თავ, იჯარა, „პალერმო“)

### ასტონ ვილა

**მოვიდნენ**

**საიმონ დოუკინსი** (თავ, იჯარა, „ტოტენჰემი“), **იაკუბა სილა** (ნახ, 2 მლნ ფუნტი, „კლერმონი“)

**წავიდნენ**

**ალან ჰატონი** (მცვ, იჯარა, „მალიორკა“), **სტივენ უორნოკი** (მცვ, „ლიდსი“)

### ქუინზ პარკი

**მოვიდნენ**

**ტალ ბენ ჰაიმი** (მცვ, თავისუფალი აგენტი), **ლოიკ რემი** (თავ, 10,5 მლნ ფუნტი, „მარსელი“), **ჯერმეინ ჯენასი** (ნახ, უაფასოდ, „ტოტენჰემი“), **კრისტოფერ სამბა** (მცვ, 12,5 მლნ ფუნტი, „ანჟი“), **იუნ სონ იონი** (მცვ, „ჩუნამ დრაგონსი“), **ანდროს თაუსენდი** (ნახ, იჯარა, „ტოტენჰემი“)

**წავიდნენ**

**მაიკლ ჰარიმანი** (მცვ, იჯარა, „უიკომბი“), **ტომ ჰიჩკოკი** (თავ, იჯარა, „ბრისტოლ სიტი“), **ჯიბრილ სისე** (თავ, იჯარა, „ალ გარაფე“), **კირონ დაიერი** (ნახ, თ.ა), **მაიკლ დოტი** (ნახ, იჯარა, „სენტ ჯონსტონი“), **ალეხანდრო ფორლინი** (ნახ, იჯარა, „პალერმო“), **ანტონ ფერდინანდი** (მცვ, იჯარა, „ბურსასპორი“), **ჯორდან გიბსონი** (ნახ, იჯარა, „ინვერნესი“), **რობ ჰალსი** (თავ, იჯარა, „მილუოლი“)

ლევან ბიბილაშვილი

საფრანგეთი. ლიგა 1. XXIII ტურის სტატისტიკური მაჩვენებლები

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მეკარეები ყურადღების ცენტრში

**ლიგა 1-ის მეკარეები შესანიშნავ ფორმაში არიან; „პარი სენ ჟერმენმა“ ძველი რეკორდი გაიმეორა; ადრიან მუტუმ კი გოლების გემო გაიხსენა...**

**მთავარი:**

29% - საფრანგეთის მიმდინარე ჩემპიონატში, მეკარეები შესრულებული პენალტების თითქმის მესამედს იგერიებენ. ბოლო ოთხი 11-მეტრიანი, რომელიც ლიგა 1-ში შესრულდა, მეკარეების ნადავლი გახდა. 23-ე ტურში თავი **სიმონ პუპლენმა** (სოშო) და **გილერმო ოჩოამ** (აიაჩო) გამოიჩინეს. ახლა, იმ კიპერთა რიცხვი, ვინც თუნდაც ერთი 11-მეტრიანის მოგერიება მოახერხა, ათამდე გაიზარდა. ამ კომპონენტში, ერთპიროვნული ლიდერი **იოან ტურამულიენი** (ტრუა) გახლავთ, რომელმაც მის კარში დანიშნული ოთხი 11-მეტრიანიდან სამი მოიგერია.

**გუნდური მიღწევები:**

8 - თამაში წაგების (7 მოგება და 1 ფრე) და გაშვებული გოლის გარეშე. „პარი სენ ჟერმენმა“ საკლუბო რეკორდი გაიმეორა, რომელიც პარიზელებმა 1996/97 წლების სეზონში დაამყარეს. გარდა ამისა, 23-ე ტურში პსჟ-მ „ტულუზს“ 4:0 მოუგო და ამ გუნდს, საკუთარ ისტორიაში სამ გოლზე მეტი პირველად გაუტანა.

4 - „ლიონთან“ მოპოვებული გამარჯვების შემდეგ (3:1), „აიაჩომ“ წაუგებელი სერია 4 მატჩამდე გაზარდა. ასევე, კორსიკელებს სამი გოლი ერთ შეხვედრაში 2011 წლის 10 სექტემბრის შემდეგ არ გაეტანათ – მაშინ „აიაჩომ“ „ვალანსიენს“ მოუგო (3:1).

731 - „ბორდოს“ ფეხბურთელებმა, „ვალანსიენსთან“ შეხვედრაში 731 პასი გააკეთეს, რაც ამ გუნდისთვის სეზონის საუკეთესო მაჩვენებელია. „ბორდოს“ უკვე ექვსი მატჩია, არ წაუგია (3 მოგება და 3 ფრე), რის გამოც უკვე მეოთხე ადგილზე იმყოფება.

**ინდივიდუალური მიღწევები:**

1 - „ლიონთან“ შეხვედრაში, **ადრიან მუტუმ** ლიგა 1-ში პირველი დუბლი შეასრულა. ბოლო 7 შეხვედრაში რუმინელის ანგარიშზე 5 გოლია.

მეხუთე – „ნიცას“ ცენტრალურმა მცველმა, **ნემანია პეიჩინოვიჩმა**, საფრანგეთის ჩემპიონატში მეხუთე გოლი გაიტანა. ამ სეზონში პეიჩინოვიჩის ანგარიშზე უკვე სამი ბურთია. მის გარდა, მსგავსი შედეგი მხოლოდ სამ მცველს აქვს.

32 - **პიერ-ემერიკ ობამეიანმა**, ლიგა 1-ში 32-ე გოლი გაიტანა. ამ სეზონში, გაბონელმა თავის გამოჩენა 10-ჯერ შეძლო. აღსანიშნავია, რომ „სენტ ეტიენის“ ფორვარდს, 32-ივე ბურთი თამაშიდან აქვს გატანილი.

ტატო ბაციკაძე

ტრანსფერი

# კაზემირო რეალის ძირითადში მოხვედრას იმედოვნებს

„სანპაულოს“ 20 წლის ნახევარმცველი **კაზემირო**, რომელიც ყველასთვის მოულოდნელად, მადრიდის „რეალში“, ოღონდ „კასტილიაში“ აღმოჩნდა, იმედოვნებს, რომ თავს კარგად წარმოაჩენს და „სამეფო კლუბის“ ძირიდად გუნდში მოხვდება.

2011 წელს, კაზემირო, მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის მომგები ბრაზილიის 20-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი იყო. „სან პაულოში“ მასზე უდიდეს იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ ბოლო პერიოდში წონასთან და დისციპლინასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა და ძირითად გუნდში იშვიათად ხვდებოდა.

*„ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს ვტოვებ და მეორე გამორჩეულ გუნდში მივდივარ. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ „კასტილიას“ მიზნის მიღწევაში დავეხმარო და იმედი მაქვს, რომ თავის გამოჩენის საშუალება მთავარ გუნდშიც მომეცემა,“* - განაცხადა კაზემირომ.

**კარლოს ენრიკე კაზიმირომ**, ან უბრალოდ კაზემირომ, „სან პაულოს“ რიგებში ბოლო თამაში 31 იანვარს, „ბოლივარის“ წინააღმდეგ ჩაატარა. ახალგაზრდა ბრაზილიელს, „რეალ კასტილიაში“ დებიუტი შესაძლოა უკვე ამ შაბათს ჰქონდეს, როდესაც „სამეფო კლუბის“ B გუნდი, სტუმრად სეგუნდა დივიზიონის ერთ-ერთ აუტსაიდერ „ხერესს“ დაუპირისპირდება.

ტატო ბაციკაძე

ტრავმა

# ცვიტანიჩი ორ-სამ კვირას გამოტოვებს

„ბრესტთან“ მე-11 წუთზე შეცვლილი **დარიო ცვიტანიჩი**, დაახლოებით სამი კვირა ვერ ითამაშებს. სამედიცინო შემოწმების შემდეგ დადგინდა, რომ არგენტინელს მყესი აქვს დაჭიმული. მიუხედავად ერთ-ერთი ლიდერის გამოკლებისა, „ნიცამ“ ის მატჩი მაინც მოიგო (2:0). შეგახსენებთ, რომ 28 წლის ფორვარდმა ამ სეზონში 12 გოლი გაიტანა და ბომბარდირთა დავაში ის მხოლოდ **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** ჩამორჩება.

ცვიტანიჩის გარდა, იმ შეხვედრაში ტრავმა, მის ნაცვლად ცვლილებაზე შემოსულმა **შავიერ პენტეკოტმაც** მიიღო, რომელმაც მოედანი მეორე ტაიმში დატოვა. ექიმების განცხადებით, ზუსტი დიაგნოზის დასასმელად, 26 წლის ფეხბურთელს დამატებითი გამოკვლევა ესაჭიროება, მაგრამ დამამშვიდებელია ის გარემოება, რომ მყესები გაწყვეტილი არ არის.

ასევე მუხლი დაიზიანა 16 წლის **ნილ მოპეიმ**, რომელმაც ტრავმა საფრანგეთის 17-წლამდელთა ნაკრებში თამაშის დროს მიიღო. ახალგაზრდა ფეხბურთელმა ამ სეზონში უკვე 2 გოლი გაიტანა.

როგორც ხედავთ, **კლოდ პუელის** გუნდს საკმაოდ სერიოზული პრობლემები შეექმნა. ახლა, „ლიონის“ ყოფილი მწვრთნელის განკარგულებაში მხოლოდ ორი ჯანმრთელი ფორვარდია: **ერიკ ბოტეაკი** (22 თამაში, 5 გოლი) და **ალექსი ბოსეტი** (17 თამაში, 0 გოლი).

ტატო ბაციკაძე

ეროვნული

იტალია. სერია A

# იანვრის ყველა ტრანსფერი

**თუ იმას** გავითვალისწინებთ, რომ იტალიურ ფეხბურთში ფინანსური კრიზისი მძვინვარებს, ზამთრის სატრანსფერო პერიოდი მოსალოდნელზე უფრო ხმაურიანი და საინტერესო გამოდგა. „იუვენტუსმა" ნიკოლას ანელკა გადაიბირა, ზაფხულში კი ფერნანდო ლორენტეს დაიმატებს; „ფიორენტინამ" ჯუზეპე როსისთან გააფორმა ხელშეკრულება, „მილანში" კი თვით მარიო ბალოტელი გადაბარგდა. ზამთრის ყველა ტრანსფერის შესახებ ქვემოთ შეიტყობთ...

## ატალანტა

**მიიღნენ**

კანინი (ჯენოა), ჯორჯი (ნოვარა), ბუდანი (პალერმო), ლივაია (ინტერი), დელ გროსო (სიენა), სკალონი (ლაციო), ბრიენცა (პალერმო).

**წავიდნენ**

პელუზო (იუვენტუსი), მატელი (ფოლინო), მანფრედინი (ჯენოა), სკოცარელა (ტერნანა), მატეუ (სიენა), სკელოტო (ინტერი), პერეირა პინტუ (ვარეზე).

## ბოლონია

**მიიღნენ**

ნალდო (გრანადა, ესპანეთი), ხრისტოდუპულოსი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), მოსკარდელი (კიევო).

**წავიდნენ**

პიზანო (მონრეალი, ავსტრალია), პორტანოვა (ჯენოა), აკვაფრესკა (ლევანტე, ესპანეთი), ხიმენესი (გროსეტო).

## ჯენოა

**მიიღნენ**

ფლორო ფლორესი (უდინეზე), მათუზალემი (ლაციო), პიზანო (პალერმო), მანფრედინი (ატალანტა), ოლივერა (ფიორენტინა), ნადარევიჩი (ვარეზე), პორტანოვა (ბოლონია), კასანი (ფიორენტინა).

**წავიდნენ**

მერკელი, ალჰასანი (ორივე უდინეზე), ანსელიმო (პალერმო), კანინი (ატალანტა), პიშიტელა (მოდენა), სეიმური (კიევო), სამპირიზი (ჯენოა).

## ინტერი

**მიიღნენ**

როკი (ლაციო), სკელოტო (ატალანტა), კუზმანოვიჩი (შტუტგარტი, გერმანია), კოვაჩიჩი (დინამო, ხორვატია), კარისო (ლაციო).

**წავიდნენ**

სნეიდერი (გალათასარაი, თურქეთი), რომანო (პრატო), ბიანკეტი (ვერონა), დუნკანი (ლივორნო), ლივაია (ატალანტა), კოუტინიო (ლივერპული), მარიგა (პარმა), ბესა (ვიჩენცა).

## კალიარი

**მიიღნენ**

კაბრერა (ნასიონალი, ურუგვაი).

**წავიდნენ**

ლარივეი (ატალანტა), რუი სამპაიო (ბეირა მარი, პორტუგალია), საპელინი (ლუმეცანე), კამილერი (რეჯინა).

## კატანია

**მიიღნენ**

ჩანი (პოლონია, პოლონეთი), გომბერი (დუკლა, ჩეხეთი).

**წავიდნენ**

პალიალუნგა (ერკულესი, ესპანეთი).

## კიევო

**მიიღნენ**

სეიმური (ჯენოა), სამპირიზი (ჯენოა), უიკანი (პალერმო), სპიროპულოსი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), აულე (რასინგი, ესპანეთი), აჩერბი (მილანი), ტოშკიჩი (ბარი).

**წავიდნენ**

ვიოტი (კრემონეზე), დი მიკელე (რეჯინა), სორენტინო (პალერმო), დეტორი (პერუჯა), მოსკარდელი (ბოლონია).

## ლაციო

**მიიღნენ**

პერეირინია (სპორტინგი, პორტუგალია).

**წავიდნენ**

როკი (ინტერი), მათუზალემი (ჯენოა), მენდიჩინო (კომო), სკალონი (ატალანტა), ძაური (სპეცია), კარისო (ინტერი), სკული (პესკარა).

## მილანი

**მიიღნენ**

ძაკარდო (პარმა), ბალოტელი (მან. სიტი, ინგლისი), სალამონი (ბრეშა), საპონარა (ემპოლი).

**წავიდნენ**

ტო (კორინთიანსი, ბრაზილია), ბალოტი (ალბინოლეფე), მესბა (პარმა), შტრასერი (პარმა), აჩერბი (კიევო), ემანუელსონი (ფულჰემი, ინგლისი), კარმონა (სარაგოსა, ესპანეთი), კოპოლა (ტორინო).




ჯუზეპე როსი „ფიორენტინაში" ითამაშებს

## ნაპოლი

**მიიღნენ**

არმერო (უდინეზე), კალაიო (სიენა), რადოშევიჩი (ჰაიდუკი, ხორვატია), როლანდუ (პორტო, პორტუგალია).

**წავიდნენ**

არონიკა (პალერმო), დოსენა (პალერმო), ვარგასი (გრემიო, ბრაზილია), ფერნანდესი (ხეტაფე, ესპანეთი), უვინი (სიენა).

## პალერმო

**მიიღნენ**

არონიკა (ნაპოლი), ანსელიმო (ჯენოა), ლორესი (ბოტევი, ბულგარეთი), დოსენა (ნაპოლი), სორენტინო (კიევო), ფორმიკა (ბლექბერი, ინგლისი), ბოსელი (უიგანი, ინგლისი), ფაბრინი (უდინეზე).

**წავიდნენ**

პიზანო (ჯენოა), მილანოვიჩი (ვიჩენცა), ჯორჯი (ნოვარა), ბუდანი (ატალანტა), ზაჰავი (მაქაბი თელ. ისრაელი), უიკანი (კიევო), სეტო (სან ლორენსო, არგენტინა), ბრიენცა (ატალანტა).

## პარმა

**მიიღნენ**

მესბა (მილანი), შტრასერი (მილანი), კოდა (უდინეზე), მარიგა (ინტერი), ბონიპერტი (ემპოლი).

**წავიდნენ**

მუზაჩი (სპეცია), ძაკარდო (მილანი), ასკუა (ჰოფენჰაიმი, გერმანია), პაბონი (ბეტისი, ესპანეთი), ფიდელეფი (მაქაბი თელ. ისრაელი).

## პესკარა

**მიიღნენ**

არსე (სან ლორენსო, არგენტინა), რიცო (რეჯინა), დაგოსტინო (სიენა), ძაური (ლაციო), სკული (ლაციო), სფორცინი (გროსეტო).

**წავიდნენ**

პეროტა (პაგანეზე), ნიკო (პერუჯა), ბოკეტი (კატანძარო), კოლუჩი (რეჯინა), რომანიოლი (სპეცია), კრეშენცი (ნოვარა), ჯონატასი (ტორინო), ტერლიცი (სიენა), სოდიმო (გროსეტო), ნილსენი (ვერონა).

## რომა

**მიიღდა**

ტოროსიდისი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი).

**წავიდნენ**

ტალო (ბარი), ნეგო (სტანდარდი, ბელგია), ანტეი (სასუოლო).

## სამპდორია

**მიიღნენ**

გავაცი (ვიჩენცა), სანსონე (ტორინო), როდრიგესი (უნივერსიდადი, ჩილე).

**წავიდნენ**

პოცი (სიენა), ტისონე (მალიორკა, ესპანეთი), ხუან ანტონიო (ვარეზე).

## სიენა

**მიიღნენ**

დელა როკა (ფიორენტინა), პოცი (სამპდორია), აგრა (ბეტისი, ესპანეთი), ემეგარა (ლორიანი, საფრანგეთი), კალელიო (დინამო, ხორვატია), მატეუ (ატალანტა), უვინი (ნაპოლი), ტერლიცი (პესკარა), გრილო (ვარეზე), ტეიშეირა (ციურიხი, შვეიცარია).

**წავიდნენ**

მარტინესი (რასინგი, ესპანეთი), კალაიო (ნაპოლი), როდრიგესი (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა), კამპანიოლო (ჩეზენა), კამპოს ტორო (უდინეზე), ლარონდო (ფიორენტინა), დაგოსტინო (პესკარა), კოპოლა (ჩეზენა), კონტინი, დელ გროსო (ორივე ატალანტა).

## ტორინო

**მიიღნენ**

ბარეტო (უდინეზე), ჯონატასი (პესკარა), კოპოლა (მილანი).

**წავიდნენ**

მილორინი (კომო), გორობცოვი (ნოჩერინა), დე ფეუდისი (პადოვა), სგრინია, აგოსტინი (ორივე ვერონა), ვერდი (იუვე სტაბია), სანსონე (სამპდორია), გომისი (ასკოლი), სუჩუ (იუვე სტაბია).

## უდინეზე

**მიიღნენ**

მერკელი, ალ ჰასანი (ორივე ჯენოა), კამპოს ტორო (სიენა).

**წავიდნენ**

ალჰასანი (ნოვარა), ფლორო ფლორესი (ჯენოა), არმერო (ნაპოლი), ბარეტო (ტორინო), კოდა (პარმა), ფაბრინი (პალერმო).

## ფიორენტინა

**მიიღნენ**

როსი (ვილიარეალი, ესპანეთი), ლარონდო (სიენა), ვოლსკი (ლეგია, პოლონეთი), კომპერი (ჰოფენჰაიმი, გერმანია), სისოკო (პსჟ, საფრანგეთი), ვესინო (ნასიონალი, ურუგვაი).

**წავიდნენ**

დელა როკა (სიენა), ოლივერა (ჯენოა), კასანი (ჯენოა), სეფეროვიჩი (ნოვარა).

## იუვენტუსი

**მიიღნენ**

პელუზო (ატალანტა), ანელკა (შანხაი, ჩინეთი).

**წავიდნენ**

ლუსიო (სან პაულო, ბრაზილია).

**ლაშა წიკლაური**

ტრავმა

# ლოტიტო: გოლებს კლოზეს გარეშეც გავიტანთ

**თუ** იტალიის თასის ფინალში გასვლას არ ჩავთვლით, ბოლო პერიოდში „ლაციოს" ნამდვილად არ უმართლებს. სერია A-ში მიჯრით წაგებულ ორ შეხვედრას, ლიდერის, **მიროსლავ კლოზეს** ტრავმა დაემატა. დიახ, 34 წლის ფორვარდი მძიმედ დაშავდა და ექიმთა დიაგნოზით, მინიმუმ ორი თვე მოუწევს უქმობა. „ბიანკოჩელესტესთვის" ეს სერიოზული დარტყმაა, რადგან გუნდს თავდასხმაში ისედაც უჭირს. რომაელთა პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტო** იხტიბარს არ იტეხს და აცხადებს, რომ „ლაციოს" გოლების გატანა კლოზეს გარეშეც შეუძლია:

*„გოლების გატანა კლოზეს გარეშეც შეგვიძლია და ეს არაერთხელ დაგვიმტკიცებია. თანაც, სერჯო ფლოკარი ათამაშდა და შესანიშნავად ირჯება. ჩვენი მიზანი სამეულში მოხვედრაა და საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ. ამასთან, არც ევროპის ლიგა და იტალიის თასი უნდა დავივიწყოთ, სადაც ფინალური მატჩი გველის. კლოზე ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში დაგვიბრუნდება და თავის სიტყვას კიდევ იტყვის".*

**ლაშა წიკლაური**

პალერმო



ალბერტო მალეზანი

# გასპერინი მალეზანიმ შეცვალა

**გუშინდელ** ნომერში ვწერდით, რომ „პალერმოს" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან **ჯამპიერო გასპერინი** გაათავისუფლეს, დღეს კი მისი შემცვლელის შესახებ უნდა გამცნოთ... **მაურიციო ძამპარინიმ** გასპერინის შემცვლელი მალე იპოვა და გუნდი 58 წლის სპეციალისტს **ალბერტო მალეზანის** ჩააბარა. ამ უკანასკნელმა უკვე ჩაატარა ერთი ვარჯიში, დღეს კი პრესის წინაშე წარდგება.

ალბერტო მალეზანი 1997 წლიდან მწვრთნელობს და მას შემდეგ, უამრავ გუნდში უმუშავია. ყველაზე წარმატებულად 1998-2001 წლებში „პარმაში" მუშაობდა, მას შემდეგ კი ერთ სეზონზე მეტი პრაქტიკულად არსად გაჩერებულა. აქვე, ჩამოვთვალოთ ის გუნდები, რომლებიც სენიორ ალბერტოს სხვადასხვა პერიოდში გაუწვრთნია: „კიევო", „ფიორენტინა", „პარმა", „ვერონა", „მოდენა", „პანათინაიკოსი", „უდინეზე", „ემპოლი", „სიენა", „ბოლონია", „ჯენოა".

**ლაშა წიკლაური**

ამბები

## მაკლიში დანიშვნიდან 40 დღეში მოხსნეს

**შოტლანდიის** ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, 54 წლის **ალექს მაკლიში** „ნოტინგემ ფორესტის" ხელმძღვანელობამ დანიშვნიდან 40 დღეში გაუშვა.

ამის შესახებ ინგლისურ ჩემპიონშიპში მოასპარეზე კლუბის ოფიციალურ საიტზე დაიწერა. მაკლიშის გაგდების მიზეზად ცუდი შედეგები დაასახელეს, თუმცა მწვრთნელისთვის მხოლოდ 40 დღის დაცლა მეტისმეტად ცოტაა.

*„ძალიან ვწუხვართ, მეც და ალექსიც, მაგრამ კლუბმა ვერ იმუშავა სწორი მიმართულებით. მწვრთნელს მომავალ საქმიანობაში წარმატებას ვუსურვებ"*, - განაცხადა „ნოტინგემ ფორესტის" პრეზიდენტმა **ფავაზ ალ-ჰასავიმ**.

## პანუჩი რომაში?

**„რომას"** ყოფილმა ფეხბურთელმა **კრისტიან პანუჩიმ** რუს ჟურნალისტებს დაუდასტურა, რომ მას რომაული კლუბიდან შეეხმიანნენ. მოგეხსენებათ, წინა ტურმა **ზდენეკ ზემანის** რომაული კარიერა შეიწირა, ახლა მთავარი მწვრთნელის პოსტი ვაკანტურია:

*„დიახ, „რომადან" დამიკავშირდნენ და მითხრეს, რას ვიტყოდი უკან დაბრუნებაზე. მეტი კონკრეტული არაფერი უთქვამთ, როცა კონკრეტული წინადადებით მომმართავენ, პასუხსაც მაშინ ვიტყვი"*, - განაცხადა პანუჩიმ, რომელიც ახლა **ფაბიო კაპელოს** შტაბშია რუსეთის ეროვნულ ნაკრებში.

ვიტყვით იმასაც, რომ პანუჩის სერია A-ს გუნდის გაწვრთნისთვის საჭირო ლიცენზია არა აქვს.

## ფეხბურთზე დასწრება იტალიაში კატასტროფულად მცირდება

**უეფას** ფინანსურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა ევროპული კლუბების ლიცენზირების ვრცელი ოქმი, სადაც სხვადასხვა საინტერესო სტატისტიკაა მოცემული. საინტერესოა, ცვლილებები ჩემპიონატებში დასწრების მხრივ. მოწინავე ხუთეულის ეროვნულ ჩემპიონატებში (პრემიერლიგა, ლა ლიგა, ბუნდესლიგა, სერია A, ლიგა 1), მხოლოდ ორში გაიზარდა მაყურებელთა დასწრება.

გერმანიაში მატჩებზე დასწრება 5,7%-ით გაიზარდა, ხოლო ესპანეთში 2%-ით. აი, ინგლისში დასწრება 2%-ით შემცირდა. კიდევ უფრო სავალალოა მდგომარეობა საფრანგეთში (4,4%) და იტალიაში (7,6%).

მოწინავე ჩემპიონატებში ყველაზე სწრაფად სტადიონებზე დასწრება უკრაინაში გაიზარდა - 23%-ით. ამის მიზეზი ევრო 2012-ისთვის სტადიონების მოდერნიზებაა. თუმცა უფრო დიდი მატებაა სერბეთში (55%), უნგრეთში (49%) და ალბანეთში (30%). ამ სამ ქვეყანაში დასწრების ზრდის მთავარი მიზეზი უმაღლეს დივიზიონებში ამოსული კლუბებია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## შკრტელი საუკეთესო სლოვაკია

**"ლივერპულის"** მცველი **მარტინ შკრტელი**, სლოვაკეთის 2012 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. 28 წლის ფეხბურთელმა ეს პრიზი ზედიზედ მეორედ, სულ კი მეოთხედ მოიგო, რაც რეკორდი გახლავთ. გამოკითხვაში, რომლის შედეგებიც ორშაბათს გამოქვეყნდა, მეორე ადგილი "ნაპოლის" შემტევმა ნახევარმცველმა **მარეკ ჰამშიკმა** (2009 და 2010 წლების გამარჯვებული) დაიკავა, მესამეზე კი "ტრაბზონსპორის" ფეხბურთელი, **მარეკ საპარა** გავიდა.

## ალექსი გუნდთან ერთად ემზადება

**იანვრის** შუა რიცხვებში დაშავებულმა **ალექსმა**, გუშინ გუნდთან ერთად ივარჯიშა. "პარი სენ-ჟერმენის" 30 წლის მცველმა დაზიანება ბოლომდე მოირჩინა და სათამაშოდ მზად არის, სამაგიეროდ, ჯერ კიდევ ინდივიდუალურად ემზადებიან **ტიაგო სილვა** და **ტიაგო მოტა**, რომელთა დაბრუნების ზუსტი თარიღი უცნობია.

## ალენ ტრაორე 6 კვირა ვერ ითამაშებს

**ბურკინა ფასოს** ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა და აფრიკის თასის ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა (3 გოლით), **ალენ ტრაორემ** აფრიკა დატოვა. "ლორიანის" 24 წლის ფორვარდი, რომელმაც მიმდინარე ლიგა 1-ში 6 გოლი გაიტანა, ზამბიასთან, ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის შეხვედრაში დაშავდა. სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ დადგინდა, რომ ტრაორე მოედანს მარტის დასაწყისში დაუბრუნდება. მისი გამოკლება დიდი დარტყმაა როგორც "ლორიანის", ასევე ბურკინა ფასოს ნაკრებისთვის, რომელსაც დღეს, განის ნაკრებთან 1/2 ფინალური მატჩი ელის.

## ბერტო ნორვეგიაში წავიდა

**"ლიონის"**, "მონაკოს" და "ოსერის" ყოფილი ფეხბურთელი, **ჟერემი ბერტო**, რომელიც ზაფხულის შემდეგ თავისუფალი აგენტი იყო, კარიერას ნორვეგიაში გააგრძელებს. 28 წლის მარცხენა მცველმა, წარმატებით გაიარა ტესტირება და ნორვეგიის უმაღლესი დივიზიონის დებიუტანტ "სარპსბორგ 08"-ში ჩაირიცხა. საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, ახალ კლუბში 69-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეროვნული ნაკრებები. ამხანაგური მატჩები

### 6 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| იაპონია-ლატვია | 14:20 | მალტა-ჩრდ. ირლანდია | 22:30 |
| აზერბაიჯანი-ლიხტენშტეინი | 18:00 | ინგლისი-ბრაზილია | 23:30 |
| ხორვატია-სამხ. კორეა | 18:00 | საბერძნეთი-შვეიცარია | 23:30 |
| მოლდოვა-ყაზახეთი | 19:00 | ისლანდია-რუსეთი | 23:30 |
| ბელარუსი-უნგრეთი | 20:00 | ჰოლანდია-იტალია | 23:30 |
| ჩილე-ეგვიპტე | 21:00 | შვედეთი-არგენტინა | 23:30 |
| კვიპროსი-სერბეთი | 21:00 | ბელგია-სლოვაკეთი | 23:45 |
| ნორვეგია-უკრაინა | 21:00 | ირლანდია-პოლონეთი | 23:45 |
| სლოვენია-ბოსნია | 21:00 | შოტლანდია-ესტონეთი | 23:45 |
| ალბანეთი-საქართველო | 22:00 | უელსი-ავსტრია | 23:45 |
| ისრაელი-ფინეთი | 22:00 | საფრანგეთი-გერმანია | 00:00 |
| ესპანეთი-ურუგვაი | 22:00 | რუმინეთი-ავსტრალია | 00:00 |
| თურქეთი-ჩეხეთი | 22:15 | პორტუგალია-ეკვადორი | 00:45 |
| მაკედონია-დანია | 22:30 | | |

## ესპანეთი-ურუგვაი

# ფურია როხას
# რაულმა უმასპინძლა
## მსოფლიოს ჩემპიონთა რიგებში განხეთქილებაა?



რაულმა თანამემამულეებს სასტუმროში მიაკითხა

დღეს ყატარის დედაქალაქი დოჰა საერთაშორისო ამხანაგურ მატჩს მასპინძლობს ესპანეთისა და ურუგვაის ნაკრებთა მონაწილეობით. „ხალიფა ინტერნეშნლზე“ კონტინენტისა და მსოფლიოს ჩემპიონები ოდნავ შესუსტებული შემადგენლობით წარდგებიან, რადგან **ვისენტე დელ ბოსკეს** გუნდში ტრავმიანობაა: **იკერ კასილიასს** ხელზე თაბაშირი გუშინ მოხსნეს, ნახევარდაცვას კი **ჩაბი ალონსო** და **ჩავი** მოაკლდებიან. მოწინავე ფეხბურთელთა ნაწილი კი თავად მწვრთნელმა არ გამოიძახა (მაგალითად, **ფერნანდო ტორესი**).

ნაკრებში სამი პოტენციური დებიუტანტია: 23 წლის მცველი **სესარ ასპილიკუეტა** (ჩელსი), 25 წლის ნახევარმცველი **მარიო სუარესი** (ატლეტიკო) და 20 წლის პლეიმეიქერი **ისკო** (მალაგა).

ურუგვაის ნაკრებს აკლია „საუთჰემპტონის“ ნახევარმცველი **გასტონ რამირესი**, რომელმაც ტრავმა მიიღო გასულ უქმეებზე. სამაგიეროდ, შეიძლება აღდგეს შეტევის ტრიო: **ფორლანი-კავანი-სუარესი**.

* ესპანეთის ნაკრებს 17 თამაშია, არ წაუგია (13 მოგება, 4 ფრე), 2011 წლის ნოემბრის მერე.

* ურუგვაის ნაკრებთან ბოლო სამი დაპირისპირებიდან 2 ესპანეთის ნაკრებმა მოიგო.

* **კარლეს პუიოლი** გახდება ესპანეთის ნაკრების ისტორიაში მე-7 ფეხბურთელი, ვინც 100-მატჩიან ზღვარს მიაღწევს.

* ურუგვაის ნაკრებმა ბოლო 6 მატჩიდან ერთი მოიგო.

* ურუგვაის ნაკრების ისტორიაში ყველაზე მეტი გოლი დიეგო ფორლანს აქვს გატანილი - 33. ლუის სუარესი მას 4 გოლით ჩამორჩება.

### განხეთქილება?

ესპანური პრესის ცნობით, ესპანეთის ნაკრებში მიკროკლიმატი ძალზე გაუარესდა, რაც ბოლო კლასიკოს ბრალია. პრესის ცნობით, მადრიდელი და ბარსელონელი ფეხბურთელები შეკრებაზე ერთმანეთს საერთოდ არ ეკონტაქტებიან.

ამასობაში არაბულ ქვეყანაში მოთამაშე **რაულ გონსალეს ბლანკომ** დრო იხელთა და ყოფილი თანაგუნდელები სასტუმროში მოინახულა. ლეგენდარული „შვიდიანი“ შვილების და აგენტის, **ხინეს კარვახალის** თანხლებით მივიდა სასტუმროში თანამემამულეების სანახავად.

„რეალის“ 35 წლის ლეგენდა ყატარულ „ალ სადში“ თამაშობს. ესპანეთის ნაკრებში მან 102 მატჩში 44 გოლი გაიტანა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ინგლისის ნაკრები

# რიო მზადაა, ნაკრებში დაბრუნდეს



რიო ფერდინანდი ნაკრებზე ისევ ოცნებობს

„მანჩესტერ იუნაიტედის“ 34 წლის ცენტრალური მცველი **რიო ფერდინანდი** მზადაა, დაბრუნდეს ინგლისის ნაკრებში, თუკი **როი ჰოჯსონს** მისი სამსახური დასჭირდება. შეგახსენებთ, რომ **ფაბიო კაპელოს** გადადგომის შემდეგ რიო ნაკრებში აღარ მიუწვევიათ. უკანასკნელად „სამი ლომის“ ღირსება ვეტერანმა 2011 წლის 4 ივნისს დაიცვა შვეიცარიის წინააღმდეგ. ჰოჯსონმა ის ევრო 2012-ის მილმა დატოვა, მირჩევნია, გუნდში **ფილ ჯონსი** მყავდეს, ვისაც რიოსგან განსხვავებით რამდენიმე პოზიციაზე შეუძლია თამაშიო. თუმცა ფერდინანდზე უარის თქმის ჭეშმარიტი მიზეზი ყველამ ვიცით: კონფლიქტი მასა და **ჯონ ტერის** შორის. თუმცა, ეს უკანასკნელი ნაკრებიდან თავისი ინიციატივით წავიდა. შესაბამისად, რიოს ეროვნულ გუნდში დაბრუნების იმედი მიეცა. ფერდინანდი ბრაზილიის წინააღმდეგ რომ არ იქნება, ისედაც გასაგებია. გაითვალისწინებს თუ არა ჰოჯსონი ვარსკვლავის თხოვნას, მომავალში ვნახავთ. *„სხვების მსგავსად ჩემი ქვეყნის ნაკრებში თამაში მეც მიყვარს. თუკი საშუალება მომეცემა სიამოვნებით ჩავალაგებ ჩანთას და შეკრებაზე გამოვცხადდები,“* – განაცხადა ფეხბურთელმა. კუნძულელებს 2013 წელს „პენტაკამპეონების“ გარდა 11 შეხვედრა ელით, 6 მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში და 5 ამხანაგური.

**ლევან ბიბილაშვილი**

## ბრაზილიის ნაკრები

# ბრაზილიელები ემზადებიან

ინგლისის ნაკრებთან გასამართი ამხანაგური მატჩის წინ, ბრაზილიის ნაკრების დამრიგებელი **ლუიშ ფელიპე სკოლარი** ჟურნალისტებს შეხვდა და განაცხადა, რომ სასტარტო შემადგენლობაში სიურპრიზები იქნება.

*„ნუ გაგიკვირდებათ, თუ სასტარტო შემადგენლობაში იმ ფეხბურთელს ვერ აღმოაჩენთ, ვინც გგონიათ, რომ თამაშს თავიდანვე დაიწყებს. მთავარია, რომ ორივე ტაიმი თანაბრად კარგად ჩავატაროთ, რადგან ინგლისის ნაკრებს 90 წუთის განმავლობაში უმაღლეს დონეზე შეუძლია თამაში,“* - თქვა „ფელიპაომ“.

64 წლის სპეციალისტი, რომელმაც 2002 წელს ბრაზილიას მსოფლიოს ჩემპიონატი მოაგებინა, ნაკრების ფეხბურთელებს პირველად ორშაბათს შეხვდა და ძალიან კმაყოფილი დარჩა. ისევ სკოლარი:

*„მე მჯერა ჩემი ფეხბურთელების და მომწონს მათი თამაშის სტილი. გარდა ამისა, შესანიშნავად გავუგე კარლოს ალბერტო პარეირას, რომელიც ჩემსავით თვლის, რომ ჩვენთვის ამხანაგური თამაში არ არსებობს, რადგან ყველა შეხვედრა მუნდიალისთვის მოსამზადებლად უნდა გამოვიყენოთ“.*

„უემბლიზე“ გასამართი მატჩის წინ, ჟურნალისტებს **რონალდინიოც** გაესაუბრა და მეტოქის ბანაკიდან რამდენიმე ფეხბურთელი გამოარჩია:

*„უეინ რუნი არის ფეხბურთელი, რომელიც მე ძალიან მომწონს. მსოფლიოში არ არსებობს ნაკრები, რომელიც რუნის დამატებით არ გაძლიერდებოდა. ასევე ძალიან მომწონს ეშლი კოული, რომელიც უკვე წლებია ასეთ დონეზე თამაშობს და ვერ ვიხსენებ, რომ ის რომელიმე ვარსკვლავს დაეჩაგროს“.*

ინგლისელი ფეხბურთელების გარდა, რონიმ **ნეიმარზეც** ისაუბრა, რომელსაც გუშინ დაბადების დღე ჰქონდა (21 წლის გახდა). სხვათა შორის, „სანტოსის“ ვარსკვლავმა „სელესაოში“ ჩატარებულ ბოლო 6 შეხვედრაში 8 გოლი გაიტანა.

*„ნეიმარი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ კიდევ ერთხელ მომეცა მასთან ერთად თამაშის საშუალება. ამჟამად მსოფლიო ფეხბურთში მესის და კრიშტიანო რონალდოს ეპოქაა, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ მალე, საუკეთესო ფეხბურთელი სწორედ ნეიმარი გახდება,“* – განაცხადა 32 წლის ფეხბურთელმა.

შეგახსენებთ, რომ რონალდინიო „სელესაოში“ 18-თვიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა. მის გარდა, ლუიშ ფელიპე სკოლარიმ ნაკრებში ასევე **ლუიშ ფაბიანო** და **ჟულიო სეზარი** დააბრუნა.

გამოძახებულ ფეხბურთელთაგან სკოლარის **დავიდ ლუისი** დააკლდება, რომელმაც იანვრის ბოლოს წვივის კუნთი



სკოლარი ასეთი სურათის გადაღებას 2014 წლის ივლისშიც აპირებს

ილრძო და გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო. ასევე არ იქნება **კაკა**, რომელიც საბოლოო განაცხადში მწვრთნელის გადაწყვეტილებით ვერ მოხვდა.

ინგლისის და ბრაზილიის ნაკრები გუნდები ერთმანეთს 23-ჯერ შეხვდნენ და აქედან ინგლისმა მხოლოდ სამი მოიგო (9 ფრე, 11 მატჩი კი ბრაზილიამ მოიგო). ბოლო გამარჯვება ბრიტანელებმა 1990 წელს მოიპოვეს, როდესაც შეხვედრის ერთადერთი გოლი გარი ლინეკერმა გაიტანა. მას შემდეგ, „სელესაოს“ ინგლისთან უკვე 8 მატჩია არ წაუგია.

უკანასკნელად, ინგლისი და ბრაზილია ერთმანეთს 2009 წელს, დოჰაში შეხვდნენ და ის მატჩი ბრაზილიამ, ნილმარის გოლის წყალობით, 1:0 მოიგო.

**ტატო ბაციკაძე**

## გერმანიის ნაკრები

# გერმანიას კლოზეც გამოაკლდა
## ლიოვმა კისლინგი მაინც არ გამოიძახა



მიროსლავ კლოზე საფრანგეთთან ვერ ითამაშებს

**ბასტიან შვაინშტაიგერის** (ბაიერნი), **მარსელ შმელცერის**, **მარკო როისისა** და **მარიო გიოტცეს** (სამივე „დორტმუნდი“) შემდეგ, გერმანიის ნაკრებს საფრანგეთთან დღეს გასამართი ამხანაგური მატჩისთვის ცენტრალური თავდამსხმელი **მიროსლავ კლოზეც** (ლაციო) გამოაკლდა. 34 წლის კლოზე ბუნდესგუნდის მთავარმა ექიმმა **ჰანს-ვილჰელმ მიულერ-ვოლფარტმა** შეამოწმა და მუხლის ტრავმა დაუდგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ მირო არა მარტო დღეს ვერ იასპარეზებს, არამედ რომის „ლაციოსაც“ გარკვეული პერიოდის განმავლობაში დააკლდება. კლოზე „ჯენოასთან“ შეხვედრაში (3:2 გენუელთა სასარგებლოდ) დაშავდა.

„გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, კლოზეს ლაზარეთში ყოფნა მინიმუმ თვე-ნახევარი მოუწევს. აქვე გეტყვით, რომ გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** გუშინ ბუნდესგუნდში დორტმუნდის „ბორუსიას“ საყრდენ ნახევარმცველ **სვენ ბენდერს** უხმო. საფეხბურთო გერმანია კლოზეს ტრავმის გამო ნაკრებში „ლევერკუზენის“ გოლეადორ **შტეფან კისლინგის** გამოძახებას ელოდა, მაგრამ იოგიმ მასზე მაინც უარი თქვა. ეს იმას ნიშნავს, რომ საფრანგეთთან გერმანიის ცენტრალური თავდამსხმელი **მარიო გომესი** იქნება და საჭიროების შემთხვევაში, ამ პოზიციაზე თამაში **ანდრე შიურლეს** (ლევერკუზენი) და **ლუკას პოდოლსკისაც** (არსენალი) შეუძლიათ.

### ადლერი: ნოიერის წყენინება არ მინდოდა!

გუშინდელ ნომერში ვწერდით: ბუნდესგუნდის პირველმა მეკარემ **მანუელ ნოიერმა** უკმაყოფილება ვერ დამალა იმის გამო, რომ ლიოვი საფრანგეთთან კარში კარგ ფორმაში მყოფ **რენე ადლერს** (ჰამბურგი) ჩააყენებს. მართალია, ბუნდესმწვრთნელმა ხაზგასმით აღნიშნა, ეს მანუს დეგრადირებას არ ნიშნავს, უბრალოდ, ადლერმა ასეთი შანსი დაიმსახურაო, მაგრამ ნოიერი მაინც ნაწყენი დარჩა.

*„მიმაჩნია, რომ საფრანგეთთან ტესტ-მატჩი ძალიან მნიშვნელოვანია და ამ შეხვედრაში დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი. ადლერის საწინააღმდეგო, რა თქმა უნდა, არაფერი მაქვს და არც სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მეთაკილება, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს,“* - განუცხადა ნოიერმა სამიოდე დღის წინ ჩვენს გერმანელ კოლეგებს, რითაც ლიოვის გადაწყვეტილება გააპროტესტა.

ამ თემას გუშინ ადლერი გამოეხმაურა: *„ჩემი აზრით, ეს ჩემთვის არა გაპირველების შანსი, არამედ მადლობაა იმისათვის, რომ ამ სეზონში კარგად ვთამაშობ. საფრანგეთთან თამაში ბუნდესგუნდის მეკარეების რეიტინგში არაფერს შეცვლის და მე ნამდვილად არ განვიხილავ ამ შეხვედრას ისე, როგორც გაპირველების შანსს,“* - აღნიშნა ადლერმა ჩვენს გერმანელ კოლეგებთან საუბარში და შეგახსენებთ, რომ დღეს რენე ბუნდესგუნდის კარს ზუსტად 812-დღიანი პაუზის შემდეგ დაიცავს.

*„ეს თამაში ჩემი შრომის დაფასებაა და მე ვამაყობ იმით, რომ იოახიმ ლიოვმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო,* - დასძინა 28 წლის ადლერმა, - *მანუელ ნოიერის განაწყენება ნამდვილად არ მინდოდა და მას აქვს იმის უფლება, რომ თქვას, თამაში მინდაო. მანუელის განცხადებაზე სხვა კომენტარის გაკეთება არ მინდა, რადგან მხოლოდ მომავალ შეხვედრაზე ვფიქრობ.“*

**გოტფრიდ ლენცი**




გერმანიის ნაკრების კარს ამჯერად რენე ადლერი დაიცავს

ჩაწყობილი თამაშები

# ახალი სკანდალის დეტალები

## სინგაპურელი მაფიოზი და კონკრეტული მატჩები...

„ლელოს“ გუშინდელ ნომერში ახალ სკანდალზე ვწერდით, რომელიც ევროკავშირის პოლიციამ, ევროპოლმა გამოააშკარავა. გუშინ ასობით ჩაწყობილი მატჩის შესახებ ახალი დეტალები გახდა ცნობილი. ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა გამოაქვეყნეს სინგაპურელი მაფიოზის ფოტო, რომელიც ევროპოლის გამოძიების ერთ-ერთი უმთავრესი ობიექტი უნდა იყოს, გაზეთმა „ბილდმა“ კი 380 მანიპულირებული მატჩიდან ხუთი შეხვედრა დააკონკრეტა.



ეს კაცი ახალი და როგორც ჩანს, მართლაც ყველაზე მასშტაბური სკანდალის ერთ-ერთი უმთავრესი გმირი უნდა იყოს. სინგაპურში მას „ნათლიას“ უწოდებენ, მისი სახელია **ენგ ტან სეეტი** - მეტსახელად „დან ტანი“. ის 47 წლისაა. ცნობილია, რომ ევროპოლის გამოძიების კვალი პირდაპირ სინგაპურში მიდის - მატჩების აბსოლუტური უმრავლესობის მანიპულირება სწორედ იქიდან ხდებოდა და ხდება. სწორედ სინგაპურიდან კონტროლდებოდა ყველა მანიპულაცია, რომელიც ევროპოლის მიერ გამომზეურებულ სკანდალს ეხება.

გაზეთ „ბილდის“ ინსაიდერების ცნობით, თამაშების ჩაწყობა აზიიდან ყველაზე ადვილია, რადგან იქ არალეგალურ ფსონებზე არც ისე სერიოზული სასჯელია გათვალისწინებული. მატჩების მანიპულირებით აზიაში დღესდღეობით გაცილებით მეტი ფული იშოვება, ვიდრე ნარკობიზნესით ან ადამიანების გაყიდვით.

„დან ტანი“ აზიური ბუკმეკერ-მაფიის ერთ-ერთი მთავარი ბოსია. ცნობილია, რომ ის 2011 წელს იტალიაში გახმაურებულ სკანდალშიც მონაწილეობდა, მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის წინ კი სამხრეთ აფრიკის ნაკრების ამხანაგურ მატჩებს აწყობდა.

ევროპული მედიის ცნობით, „დან ტანს“ ინტერპოლიც ეძებს, მაგრამ მისი დაკავება ვერაფრით ხერხდება - როგორც ჩანს, სინგაპურში მას სერიოზული მფარველები ჰყავს. აღსანიშნავია, რომ ინტერპოლმა „დან ტანის“ კვალი 2011 წლის ბოლოს დაკარგა.

2011 წლის 22 მაისს მას „ლაციოსა“ და „ლეჩეს“ მატჩის მანიპულირება ედება ბრალად. როგორც ირკვევა, სწორედ მან ჩააწყო ეს მატჩი და ერთ-ერთ ტოტალიზატორში 2 მილიონი ევრო დადო იმაზე, რომ ამ შეხვედრაში 4-ზე მეტი გოლი გავიდოდა. თამაში 4:2 დამთავრდა და „დან ტანმა“ 3-მილიონიანი მოგება ნახა.

„დან ტანის“ უპირველესი პარტნიორია **ვილსონ რაი პერუმალი**, რომელიც ასევე სინგაპურელი გახლავთ და რომელიც ახლა ფინეთში იხდის სასჯელს - ის როვანიემის ციხეში ზის. ეს უკანასკნელი 2011 წელს ფინეთში „როვანიემის“ თამაშის მანიპულირებისთვის გაასამართლეს და ორწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. „ბილდის“ ცნობით, პერუმალმა რამდენიმე თამაშზე განათება გამოართვევინა, რათა მატჩის დასრულება რამდენიმე წუთით გაწელილიყო და ამ დროს ის უდიდესი ფსონების დადებას ასწრებდა.

### ესპანეთიც გასვრილია!

გუშინ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ხავიერ ტებასმა** განაცხადა, ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ მატჩების მანიპულირება ჩვენთანაც ხდებაო.

*„ასეთი სახის კორუფცია ესპანეთშიც ხდება და ეჭვი მაქვს, რომ მისი გამოაშკარავება არა მარტო დამნაშავეებს, არამედ გასვრილი კლუბების ხელმძღვანელებსაც არ აძლევთ ხელს. მეტიც, ისინი გამოძიებასთან არ ითანამშრომლებენ, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ თვითონაც გასვრილები არიან,“* - უთხრა მან გაზეთ „მარკას“.



სინგაპურელი „დან ტანი“

როგორც იცით, ევროპოლის დირექტორმა **რობ ვაინრაიტმა** ეჭვმიტანილი კლუბების ან პიროვნებების ვინაობა არ დააკონკრეტა. ამის მიზეზად მან ის დაასახელა, რომ გახმაურებული ცნობები მხოლოდ „აისბერგის მწვერვალია“ და გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დაკონკრეტებას ჯერ არ უნდა ველოდოთ. თუმცა მან თქვა, რომ მანიპულირებული მატჩები იყო ჩემპიონთა ლიგაში, ევროპის ტოპ-ლიგებშიც, ასევე ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევებში. გერმანიიდან ამ სიაში მხოლოდ ქვედალიგების შეხვედრებია, პირველი ბუნდესლიგა კი სუფთა ჩანს. „ბილდის“ ცნობით, 380 მატჩიდან 70 გერმანიის ქვედა ლიგებიდანაა, 151 ეჭვმიტანილი კი გერმანიაში ცხოვრობს.

*„პოლიციასთან ყველამ უნდა ითანამშრომლოს, რადგან მანიპულატორებს მხოლოდ ასე დავამარცხებთ. ჩაწყობილი თამაშები ფეხბურთში ძალიან მომრავლდა და ეს ყველამ იცის. შესაბამისად, ამ უბედურებას ერთად უნდა ვებრძოლოთ,“* - ეს ფიფას პრეზიდენტ **ზეპ ბლატერის** სიტყვებია.

თუმცალა, თავად ბლატერსაც არ აქვს მთლად პატიოსანი ფუნქციონერის იმიჯი...

**გოტფრიდ ლენცი**

### ახალი სკანდალი ციფრებში

ევროპული ფეხბურთისთვის ტრაგიკული ცნობები მთელ მსოფლიოს ძალიან სწრაფად მოედო, თუმცა რაკი ინფორმაცია ოფიციალურად ევროპოლმა გააჟღერა, საუბარი მხოლოდ ჩვენი კონტინენტის პრობლემატიკაზე იყო. თუმცა ევროპოლის ხელმძღვანელებმა ისიც დასძინეს, რომ თუკი ევროპაში 2008-დან 2011 წლამდე 380 მატჩია მანიპულირებული, აფრიკაში, აზიასა და სამხრეთ ამერიკაში მინიმუმ საეჭვოა კიდევ 300-ზე მეტი შეხვედრა. მოდით, კიდევ ერთხელ გადავხედოთ ევროპოლის რიცხვებს.

- 380 მანიპულირებული მატჩი 2008-დან 2011 წლამდე.
- კიდევ 300-ზე მეტი საეჭვო შეხვედრა მთელი მსოფლიოს მასშტაბით
- 425 ეჭვმიტანილი ფეხბურთელი, ფუნქციონერი, მსაჯი და სხვა კრიმინალი
- 8 მილიონი ევროს ოდენობის ოფიციალური მოგება
- 2 მილიონი ევროს ოდენობის მოსასყიდი ფული

#### ჩაწყობილი მატჩები

გუშინ გერმანულმა გაზეთმა „ბილდმა“ 380-დან 5 მატჩი გამოარკვია. აი, ისინიც:

| ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი | |
| --- | --- |
| სტაბეკი-ტირანა | 4:0 (21.07.2009) |

| ევროპალიგის საკვალიფიკაციო ეტაპი | |
| --- | --- |
| რაპიდი-ვლაზნია | 5:0 (16.07.2009) |
| ვლაზნია-რაპიდი | 0:3 (23.07.2009) |
| ფენერბაჰჩე-ჰონვედი | 5:1 (30.07.2009) |
| ლიუბლიანა-მეტალ. (დონ.) | 0:3 (06.08.2009) |

სკანდალი

# ეჭვმიტანილი ლივერპული

გამოცემა Ekstra Bladet–მა ორშაბათს გამოაქვეყნა მასალა, რომელიც წამყვანი ევროპული გაზეთების განსჯის თემად იქცა. დანიელთა მტკიცებით, ბოლო წლებში ევროპის მასშტაბით 680-მდე მატჩი გაიმართა, რომელთა შედეგების სამართლიანობა ეჭვს იწვევს. სიაშია კონტინენტის არა მხოლოდ ელიტური ჩემპიონატებისა და ქვედა ლიგის მატჩები, არამედ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი თამაშებიც კი. Ekstra Bladet–ის ინფორმაციით, ერთ-ერთი გარიგებული თამაშის მონაწილე „ლივერპულია“. ლაპარაკია 2009 წლის 16 სექტემბერს „ენფილდზე“ ჩემპიონთა ლიგაში „დებრეცენთან“ დაპირისპირებაზე (1:0). მასპინძელთა სასარგებლოდ შეხვედრის დასრულებით დაინტერესებული იყო ერთ-ერთი სინგაპურული კრიმინალური სინდიკატი, ვისაც ინგლისის გარდა კიდევ 30-მდე ქვეყანაში ედება ბრალად თამაშებით მანიპულაცია. ერთადერთი ბურთი უნგრელებთან **დირკ კაიტმა** მეკარე **ვუკაშინ პოლეკშიჩის** ფატალური შეცდომის წყალობით გაიტანა. ჩერნოგორიელ ფეხბურთელს 2010 წელს სწორედ გარიგებულ თამაშებში მონაწილეობის გამო მიესაჯა 2-წლიანი დისკვალიფიკაცია. გრანდიოზულ სკანდალს უკვე იძიებს ევროკავშირის საპოლიციო ორგანო ევროპოლი. „ლივერპულის“ პრესსამსახურის ინფორმაციით, ევროპოლისა და უეფას წარმომადგენლები კლუბს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჯერ არ დაკავშირებიან.

**ლევან ბიბილაშვილი**



სკანდალურ შეხვედრაში დირკ კაიტს ერთადერთი გოლი გააქვს

ისტორიის საიდუმლოებებით მოცული ყველაზე საინტერესო ფაქტები!
თვეში ერთხელ
„კვირის პალიტრასთან“ ერთად
წიგნების სერია
10 ტომად




გაიგე, რის შესახებ დუმს ისტორია!
მხოლოდ ის, რაც ბადებს შეკითხვას...



4-დან 11 თებერვლამდე
წიგნის სპეციალური ფასი 9 ლარი
გაზეთთან ერთად 10 ლარი
შემდეგ წიგნში:
კრიმინალური ისტორიები
შეისწავლე კაცობრიობის ისტორიის უდიდესი საიდუმლოებანი!
ტელ.: 2 38 26 73; 2 38 26 74; 2 38 26 76

ქართული სპორტი

მშვილდოსნობა. საქართველოს ჩემპიონატი

# ზამთრის ჩემპიონები



მარცხნიდან: ქრისტინე ესებუა, ხათუნა ნარიმანიძე და ლანა ვერულიძე

**გუშინ „საქართველოს უნივერსიტეტის" სპორტულ დარბაზში დამთავრდა ქვეყნის ზამთრის პირველობა მშვილდოსნობაში, რომელიც შესარჩევი შეჯიბრება იყო თებერვალ-მარტის მიჯნაზე პოლონეთში გასამართი ევროპის ანალოგიური ჩემპიონატისთვის. ამ ფაქტორმა ტურნირს დამატებითი დაძაბულობა შესძინა, საასპარეზოდ კი 64 მშვილდოსანი შეიკრიბა, რაც ქართული რეალობისთვის კარგი მაჩვენებელია. მით უფრო – ამ რანგის შეჯიბრებისთვის, ანუ 18-მეტრიანი დისტანციისთვის, რომელიც არაა ოლიმპიური დისციპლინა.**

## დიდ ბიჭებში გარეული პატარები

წინასწარი შეთანხმებით, პოლონეთში წამსვლელი სამეულები არა საბოლოოდ დაკავებული ადგილების, არამედ საკვალიფიკაციო ეტაპზე ნაჩვენები შედეგებით გამოვლინდნენ. თანაც, უფროსებსა და ახალგაზრდებში დაგროვილი ქულები ერთად ჯამდებოდა, რადგან ევროპაზე მხოლოდ უფროსთა გუნდები მიდიან, ახალგაზრდულ ნაკრებებს კი უსახსრობის გამო ვერ აფინანსებენ. ამ დეტალს ქალებში არანაირი ცვლილება არ გამოუწვევია – იქ ისედაც ძველმა ლიდერებმა გაიმარჯვეს, 20-წლამდელ ვაჟებში კი გადამწყვეტი ფაქტორი გახდა. ქალთაგან შესარჩევ ტურნირში ყველაზე უკეთ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ქრისტინე ესებუა** (კლუბი „გეოგენი") გამოვიდა - 577 ქულა დააგროვა. მასთან ერთად პოლონეთში გამოსვლის უფლება ბათუმელებმა – **ხათუნა ნარიმანიძემ** (559) და **ლანა ვერულიძემ** (558) მოიპოვეს, რადგან, როგორც გითხარით, ახალგაზრდებიდან მათ ჯეროვანი კონკურენცია ვერავინ გაუწია. საპირისპირო მდგომარეობაა ვაჟებში, სადაც საპოლონეთო შემადგენლობაში თბილისელი **ლაშა ფხაკაძე** („მართვე"), ბათუმელი **არჩილ ფარსენაძე** და ასევე დედაქალაქელი **ლევან ჩიტიშვილი** (თსუ) მოხვდნენ. ეს სამეული ჯერ კიდევ ახალგაზრდული ნაკრების წევრია, თუმცა ფხაკაძე უფროსებში გამოდიოდა, ის ორი კი თანატოლების ტურნირში ისროდა. აღსანიშნავია, რომ ჩიტიშვილი ერთი სეზონიც არაა, რაც მშვილდოსნობაში ვარჯიშობს – როცა სტუდენტი გახდა, მას მერე მოჰკიდა ხელი მშვილდს, თუმცა უკვე შევიდა ეროვნულ ნაკრებში.

ვაჟებთან დაკავშირებით, ასაკიდან გამომდინარე, საინტერესო ვითარება იქმნება. როგორც გითხარით, იქ მხოლოდ უფროსებში გამოვდივართ, მაგრამ რაკი სპორტსმენთა ასაკი საშუალებას იძლევა, ფედერაციას გაუჩნდა სურვილი, ისინი ახალგაზრდებში გამოიყვანოს, სადაც წარმატების გარკვეული შანსი აქვთ, უფროსებში კი ეს გამორიცხულია, მხოლოდ გამოცდილებას თუ მიიღებენ. თუმცა ამ საკითხის გადაწყვეტა, გარკვეულწილად, სამინისტროზეცაა დამოკიდებული, როგორც დამფინანსებელზე. იმედია, ისინი უარს არ იტყვიან ფედერაციის შეთავაზებულ წინადადებაზე. ჩვენები პოლონეთში 24 თებერვალს გაემგზავრებიან, ტურნირი კი 26-ში დაიწყება და 2 მარტს დასრულდება.

## საპლეიოფო ამბები

როგორც გითხარით, ქალთა შორის პირად პირველობაში საკვალიფიკაციო ეტაპი ესებუამ, ნარიმანიძემ და ვერულიძემ მოიგეს, მეოთხეზე კი **ასმათ დიასამიძე** გავიდა 553 ქულით. ვაჟებში ფხაკაძეს კვალდაკვალ მიჰყვა ქუთაისელი **ჯაბა მოსეშვილი** – 553 ქულა, რაც რიონისპირელთათვის პირველი წარმატებაა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ. მესამეზე **პოპიაშვილი** აღმოჩნდა 549-ით, მეოთხეზე – 546-იანი **ირაკლი ქვლივიძე** („მართვე").

არჩილ ფარსენაძემ ბიჭებში 561 ქულით გაიმარჯვა. მეორე ჩიტიშვილი აღმოჩნდა 556-ით, მესამე – **თენგიზ ლურსმანაშვილი** („მართვე"; 550), მეოთხე – **აკაკი ლეკვეიშვილი** („მართვე"; 538). ბათუმელმა მედეა აბულაძემ 20-წლამდელ გოგონებში 551 ქულით იმარჯვა, **თეონა კუტალაძემ** („გეოგენი") 535 დააგროვა, ბათუმელმა **ნინო დევაძემ** – 534, მისმა თანაგუნდელმა **ციალა ფუტკარაძემ** – 524 ქულა. ეს ოთხეულები იმიტომ ჩამოვწერეთ, რომ პლეი ოფებშიც ძირითადად ამათ იყოჩაღეს და ნახევარფინალებშიც ესენი გავიდნენ. გამონაკლისი მხოლოდ მამაკაცებში მოხდა - ბიჭებში მერვეზე გასულმა **ზურაბ მესტვირიშვილმა** („გეოგენი"; 508) შეიტანა გვარიანი კორექტივები საბოლოო შედეგებში, ვაჟებში კი მეშვიდეადგილოსანი ბათუმელი **ვლადიმერ ბოლქვაძე** (535 ქულა) გავიდა ნახევარფინალში.

ქალებში პლეი ოფი პირდაპირ ნახევარფინალიდან დაიწყო და ჩემპიონი ნარიმანიძე გახდა. მან ჯერ ვერულიძეს სძლია – 6:2, ფინალში კი დამატებითი გასროლა დასჭირდა ესებუას დასამარცხებლად. ძირითადი სერია ფრედ დასრულდა – 5:5, დამატებითი ისარი კი ორივემ 10-იანში მოარტყა, მაგრამ ნარიმანიძის ისარი უფრო ახლოს იყო შუაგულთან და ოქროც მას დარჩა. ზუსტად ანალოგიურად წარიმართა ბრინჯაოს მედლისთვის შეხვედრაც დიასამიძესა და ვერულიძეს შორის – ძირითადი სერია იქაც 5:5 დასრულდა, დამატებითში ორივემ 10-იანი აჩვენა, მაგრამ ცენტრთან უფრო ახლოს ვერულიძის ისარი აღმოჩნდა და ბრინჯაოც მას დარჩა.

ვაჟთა ტურნირის ნახევარფინალში ფხაკაძემ ქვლივიძეს 7:3 მოუგო, მეორე წყვილში პოპიაშვილმა იმავე ანგარიშით ბათუმელი **ვლადიმერ ბოლქვაძე** დაამარცხა. ფხაკაძე ფინალშიც მოწოდების სიმაღლეზე იყო და დიდად არც პოპიაშვილთან მოგება გასჭირვებია – 6:4. ბრინჯაოსთვის შეხვედრაში ქვლივიძემ კიდევ უფრო იოლად აჯობა ბოლქვაძეს – 6:2.

20-წლამდელ ბიჭებში „მართვეს" წარმომადგენლებმა იყოჩაღეს. მწვრთნელ **გია მაკიევის** გასახარად, აქ ფინალში მისი შეგირდები გავიდნენ - ლურსმანაშვილმა ლეკვეიშვილს მოუგო, თუმცა საამისოდ დამატებითი გასროლა დასჭირდა. სერიების შემდეგ ანგარიში საყაიმო იყო – 5:5, დამატებითი ისარი კი ლურსმანაშვილმა 9-იანში მოარტყა, ხოლო ლეკვეიშვილი ერთი ქულით ჩამორჩა. ნახევარფინალში ლურსმანაშვილმა ჩიტიშვილს აჯობა – 6:2, ლეკვეიშვილმა კი მესტვირიშვილი 6:4 დაჯაბნა. ბრინჯაო სწორედ მესტვირიშვილმა მოიპოვა, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში ჩიტიშვილს 6:4 მოუგო.

მედეა აბულაძე პლეი ოფშიც შეუჩერებელი აღმოჩნდა – ნახევარფინალში ფუტკარაძეს 7:1 მოუგო, ფინალში კი კუტალაძე 6:0-ზე დაამარცხა. კუტალაძემ ნახევარფინალში დევაძეს ასევე 6:0 აჯობა. ეს ანგარიში ბრინჯაოსთვის შეხვედრაშიც დაფიქსირდა - ფუტკარაძემ დევაძე დაამარცხა.

უკვე საბოლოოდ გაირკვა მწვრთნელთა საკითხიც. ფედერაციას სურდა, ჭაბუკები და ახალგაზრდები ცალ-ცალკე გაეყო (ბიჭებიც და გოგონებიც), მაგრამ სამინისტრომ ამდენი შტატი არ დაუშვა და ეს ასაკი ახალგაზრდებთან გააერთიანა. მთავარი მწვრთნელი **სერგო გათიკაევი** გახდა, ქალთა ეროვნული ნაკრების უფროს მწვრთნელად **თამაზ ფუტკარაძე** დააბრუნეს, ვაჟებს კი **ალექსანდრე მეჟევიძე** გაწვრთნის. ახალგაზრდა და ჭაბუკი ასაკის ბიჭებს მაკიევი უხელმძღვანელებს, ამავე ასაკის გოგონებს – **დავით ლეკვეიშვილი**. გათიკაევი კოორდინაციას გაუწევს ყველა გუნდს – მასთან შეათანხმებენ მოსამზადებელ გეგმას, საწვრთნელ პროგრამას, კონკრეტულ ტურნირზე წასაყვან შემადგენლობას. გათიკაევი კოორდინაციას გაუწევს მზადების პროცესსაც, მიდის თუ არა ის გეგმის მიხედვით, უფროსი მწვრთნელები კი პასუხისმგებელნი იქნებიან და ფედერაციასთან და მთავარ მწვრთნელთან შეთანხმებული გეგმების რეალიზებაზე.

**ირაკლი თავაძე**

ავტორის ფოტო

ძიუდო. პარიზის ტურნირი

# შუკვანი პარიზში ბრუნდება

საქართველოს ვაჟ ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ირაკლი უზნაძემ** დაასახელა ის შემადგენლობა, რომელიც მომავალ უქმეებზე – 9-10 თებერვალს პარიზში „დიდ მუზარადზე" იჭიდავებს. **ამირან პაპინაშვილი, ბეთქილ შუკვანი** (ორივე – 60), **ტრისტან ფეიქრიშვილი, თორნიკე თათარაშვილი** (66), **ზებედა რეხვიაშვილი, ნუგზარ ტატალაშვილი** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი** (90), **ლაშა გურული, დავით ლორიაშვილი** (ორივე – 100), **ადამ ოქრუაშვილი, გიორგი ზაქარიაძე** (+100) – აი, ამ ფალავნებზე გააკეთა მწვრთნელმა ამჯერად არჩევანი. გუნდს პარიზში ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილიც** (66) მიჰყვება, ოღონდ ის არ იჭიდავებს, მხოლოდ ერთობლივ ვარჯიშებში მიიღებს მონაწილეობას. ეტყობა, ოპერაციის შემდეგ ჯერ კიდევ ვერ მივიდა იმ კონდიციამდე, სატურნირო დატვირთვას ბოლომდე გაუძლოს და ჭიდაობა შეძლოს. უზნაძემაც ამიტომ არ გარისკა. ალბათ, ოლიმპიური ჩემპიონი ტატამს 23-24 თებერვალს დიუსელდორფში გასამართ „დიდ პრიზზე" დაუბრუნდება.

დაგვეთანხმებით, წარმოდგენილ შემადგენლობაში მთავარი სიახლე ევროპის ვიცე-ჩემპიონ შუკვანის გამოჩენაა, რომელიც ოლიმპიადაზე გადატანილი სკანდალის შემდეგ კვლავ უბრუნდება აქტიურ სპორტს.

**წარმოდგენილ შემადგენლობაში მთავარი სიახლე ევროპის ვიცე-ჩემპიონ შუკვანის გამოჩენაა, რომელიც ოლიმპიადაზე გადატანილი სკანდალის შემდეგ კვლავ უბრუნდება აქტიურ სპორტს**

უზნაძეს პარიზში **ლაშა ტაველურის** (90) წაყვანაც სურდა, რომელმაც კვირას ბრინჯაო მოიპოვა თბილისის „ევროპულ თასზე", მაგრამ მისთვის საბუთების გამზადება ვერ მოესწრო. ჩანს, ისიც დიუსელდორფში იასპარეზებს.

ჩვენი ნაკრები შეჯიბრების დასრულების შემდეგ პარიზში დარჩება და ერთობლივ ვარჯიშებში მიიღებს მონაწილეობას. თბილისში კი 15 თებერვალს დაბრუნდებიან, 16-17-ში ბუდაპეშტში გასამართ „ევროპის ღია თასს" გამოტოვებენ და დიუსელდორფისთვის შინვე მოემზადებიან. უზნაძე გერმანიაში წასაყვან შემადგენლობასაც პარიზიდან დაბრუნების შემდეგ დაასახელებს.

სამწუხაროდ, შეჯიბრებებში ჩართვას ისევ ვერ ახერხებს ქალთა ნაკრები – წინა კვირას ჩვენი ტურნირის პარალელურად სოფიაში გამართულმა ქალთა ევროთასმაც მათ გარეშე ჩაიარა და არც პარიზში გვეყოლება მონაწილე. გვესმის, ჯერ ჩვენი




ბეთქილ შუკვანი

სპორტსმენი ქალები არ არიან ვაჟებივით ძლიერები, მაგრამ შეჯიბრებებზე თუ არ გამოვიყვანეთ, ყოველთვის ამ დონეზე დავრჩებით. არადა, 2-3 წონაში კალენდრის გონივრული დაგეგმვით შეიძლება რეიტინგის გაუმჯობესება, რაც ნელ-ნელა დაგვაყენებს პროგრესის გზაზე.

**ირაკლი თავაძე**

ყინულზე ცოცვა



ნუკრი გველებიანი

# ერთადერთი, ისიც ქართველი...

**ნუკრი გველებიანი** კვლავ ჩემპიონია, ამჯერად მან აზერბაიჯანის ღია ჩემპიონატში გაიმარჯვა ყინულზე ცოცვაში, სადაც მასპინძელი გუნდების გარდა მონაწილეობენ რუსეთის, ირანისა და საქართველოს უძლიერესი ყინულის ოსტატები.

ნუკრისთან ერთად საქართველოდან ასპარეზობაზე იმყოფებოდა **მირზა ლიპარტელიანი,** რომელიც, სამწუხაროდ, წინასასტარტო მოთელვისას დაშავდა და შეჯიბრებას გამოეთიშა.

ნუკრი გველებიანი მეკლდეურობაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია - ყინულზე ცოცვაში დღემდე ჩატარებული საქართველოს სამივე ჩემპიონატის გამარჯვებულია. მისმა გამოსვლამ, რომელმაც საკონტროლო დროში (7 წუთი), ერთადერთმა შეძლო 50-მეტრიანი ყინულის კედლის ბოლომდე დაძლევა, დაამშვენა ჩემპიონატი - ასეთი იყო ორგანიზატორების შეფასება. გამარჯვებულს პრიზთან ერთად ფულადი ჯილდოც გადაეცა.

**ლადო გურჩიანი**

ფედერაციის გენერალური მდივანი

სამთო თხილამურობა

# სტუდენტური სტარტები

**საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციამ ბაკურიანში სამთო თხილამურობაში ტრადიციული სტუდენტური ჩემპიონატის I ეტაპი ჩაატარა. მონაწილეობდა 20 უმაღლესი სასწავლებლის 30 ვაჟი და 20 გოგონა.**

ვაჟებს შორის პირველ ადგილზე გავიდა **კოტე ვახტანგიშვილი** (სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი), მეორე იყო **დავით თედიაშვილი,** მესამე - **ირაკლი კინაძე** (ორივე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი).

გოგონებში ჩემპიონი ზედიზედ მესამედ გახდა საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტი **მანანა წერეთელი.** მეორე ადგილი წილად ხვდა **თეონა მელიქიშვილს** (თსუ), მესამეზე გავიდა **ნინო ნაზლაიძე** (სტუ).

მეორე ეტაპი მარტის დასაწყისში გუდაურში გაიმართება.

**„ლელოს" კორ.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ეილათში ბელარუსით იწყებენ

**ისრაელის ქალაქ ეილათში დღეს დაიწყება და სამ დღეს გასტანს ფედერაციის თასის გათამაშების ევროაფრიკული ზონის პირველი ჯგუფის მატჩები. 16 ქვეყნის წარმომადგენლები უმაღლეს ეშელონში ასაზევებელი ორი საგზურისთვის იბრძოლებენ.**

ნილისყრით შეჯიბრების მონაწილენი ოთხ ქვეჯგუფში განაწილდნენ. საქართველოს ნაკრები (მოთამაშე კაპიტანი **მაკა ჩახნაშვილი, სოფიო შაფათავა, სოფიო ქვაცაბაია, ეკატერინე გორგოძე,** მწვრთნელი **ლალი ზერეკიძე**) A ჯგუფში ბელარუსს, ავსტრიასა და ხორვატიას დაუპირისპირდება.

დანარჩენ ჯგუფებში ითამაშებენ:

**B ჯგუფი.** დიდი ბრიტანეთი, პორტუგალია, უნგრეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა.

**C ჯგუფი.** პოლონეთი, რუმინეთი, ისრაელი, თურქეთი.

**D ჯგუფი.** სლოვენია, ჰოლანდია, ბულგარეთი, ლუქსემბურგი.

- ძალიან ძლიერ ჯგუფში მოვხვდით, - გვითხრა ისრაელში გამგზავრების წინ ლალი ზერეკიძემ. - როგორც შევიტყვე, ბელარუსების გუნდში არა მარტო აზარენკამ, მსოფლიო რეიტინგში 62-ე ადგილზე მყოფმა ოლგა გოვორცოვამაც, შესაძლოა, არ ითამაშოს. მაშინ ჯგუფში მესამე ადგილის შანსი გაჩნდება, რაც პირველ ლიგაში ადგილს შეგვინარჩუნებს. ჯგუფებში პირველ ადგილებზე გასულნი პლეი ოფში უმაღლესი ეშელონის ორი საგზურისთვის იბრძოლებენ, ხოლო ბოლოადგილოსანნი ლიგაში დასარჩენად დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ყველაფერს ვილონებთ, რომ გულშემატკივრები არ გავანბილოთ, თუმცა, ვიმეორებ, ძალიან მძიმე პაექრობები გველის...

საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში არ თამაშობს ქალთა ლიდერი ანა ტატიშვილი. მამამისმა, ბატონმა დიმიტრიმ, რომელიც ანას მწვრთნელის მოვალეობას ასრულებს, გვითხრა, რომ საქართველოს ჩოგბურთის



მარცხნიდან: მაკა ჩახნაშვილი, ეკატერინე გორგოძე, სოფიო შაფათავა, სოფიო ქვაცაბაია ეილათში

ფედერაციის უწინდელმა ხელმძღვანელობამ მათთან დადებული შეთანხმება არ შეასრულა, რამაც ქართველი ჩოგბურთელის მომზადებაზე უარყოფითად იმოქმედა, რეიტინგის შენარჩუნებაც პრობლემატური გახადა. ისიც დასძინა, რომ ანა ნაკრებისთვის ყოველთვის ბოლომდე იხარჯებოდა, ადეკვატურ მოპყრობას კი ვერ გრძნობდა... როგორც შევიტყვეთ, ტატიშვილს ფეხის ტრავმა აწუხებს და მისი მოშუშება თუ ვერ მოასწრო, ალბათ, დოჰას ქალთა საერთაშორისო ტურნირზეც ვერ ითამაშებს...

ისევ ეილათის ტურნირს დავუბრუნდეთ. გაგაცნობთ A ჯგუფის გუნდების შემადგენლობას შეჯიბრების ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებული მონაცემებით:

**ავსტრია:** ივონ მოისბერგერი, პატრისია მაირ-ასლაიტნერი, ნიკოლ როტმანი, მელანი კლაფნერი, იურგენ ვებერი (კაპიტანი).

**ბელარუსი:** ილონა კრემენი, ალიაკსანდრა სასნოვიჩი, ლიდძია მაროზავა, ეკატერინა ძეჰალევიჩი, ტატიანა პუჩეკი (კაპიტანი).

**ხორვატია.** დონა ვეკიჩი, ტერეზა მრდეზა, ანა კონიუჰი, დარია ჯურაკი, ივა მაიოლი (კაპიტანი).

დღეს A ჯგუფში საქართველოს ნაკრები ბელარუსს ეთამაშება, ავსტრია - ხორვატიას.



ნიკოლოზ ბასილაშვილი

# ბერგამო დასრულდა

ქართველი ჩოგბურთელი **ნიკოლოზ ბასილაშვილი**, როგორც გაუწყეთ, იტალიური ბერგამოს ჩელენჯერში (საპრიზო ფონდი 42.500 ევრო) საკვალიფიკაციო ეტაპზე ზედიზედ სამი მოგების შემდეგ ძირითად ბადეში მოხვდა. სტარტზე სიცხიანი გავიდა სათამაშოდ მე-2 ნომრად განთესილი გერმანელის - იან-ლენარდ შტრუფის წინააღმდეგ. მსოფლიოს რეიტინგში 133-ე ადგილზე მყოფ მეტოქესთან ჩვენებურმა პირველი ხელი 1:6 დათმო. მეორე სეტს 0:2-ს აგებდა, თამაშის გაგრძელებაზე უარი რომ თქვა. შეგახსენებთ, რომ ამჟამინდელი კლასიფიკაციით ბასილაშვილი 182 ქულით 262-ეა. ბერგამოში მოპოვებული 3 ქულა მომდევნო კვირას დაერიცხება.

წყალბურთი. თაობა

# დებიუტი სერბეთის ჩემპიონობით

ორიოდე დღის წინათ დამთავრდა 17-წლამდელ წყალბურთელთა სერბეთის პირველობა. ოქროს მედალი მოიპოვა ნოვი სადის „ვოივოდინამ", რომლის ღირსებასაც ქართველი წყალბურთელი **ანდრო ბითაძეც** იცავდა. იგი 15 წლისაა (1997 წლის 16 მარტსაა დაბადებული). ოჯახურ ტრადიციას განაგრძობს - მამა **ალექსანდრე ბითაძე** ცნობილი წყალბურთელია, ბაბუა - **ილარიონ ხაზარაძე** - სახელოვანი კალათბურთელი, თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი. ოთხი წელიწადია, წყალბურთს თამაშობს. სხვადასხვა დროს ჯონდო და იზო მაჭარაშვილები, ბორის მეგედი, კობა კინწურაშვილი და ზურაბ ქოიავა ავარჯიშებდნენ. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში სერბი სპეციალისტის - იოვან პოპოვიჩის ხელმძღვანელობით იმაღლებდა ოსტატობას. გუნდთან ერთად არაერთხელ ყოფილა სერბეთში საწვრთნელ შეკრებაზე და იქაური თანატოლების წინააღმდეგაც ბევრჯერ უთამაშია. ნიჭიერ ცენტრალურ თავდამსხმელს „ვოივოდინას" მესვეურებმა დაადგეს თვალი და წლეულს 11 იანვარს კლუბში მიიწვიეს. ევროპის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციიდან დასტურის მიღების შემდეგ კლუბის მეორე გუნდ „დუნავში" ჩაირიცხა. სერბეთის ჩემპიონატის ტურებს შორის შესვენებისას ქვეყნის 17-წლამდელთა პირველობის ფინალური ეტაპი გაიმართა. „ვოივოდინამ" გადამწყვეტ მატჩებში დაამარცხა „ბეოგრადი" - 11:5, „რასინა" - 15:7, ბელგრადის „პარტიზანი" - 10:6 და ჩემპიონობა მოიპოვა. ქართველი თავდამსხმელი ოქროსმედალოსნებს ხუთი ბურთით შეეწია.

- ჭაბუკებში ჩემპიონობამ ძალიან გამახარა, თუმცა მოუთმენლად მაინც 9 თებერვალს ველი, - გვითხრა ანდრო ბითაძემ, რომელსაც გუშინ ნოვი სადში შევეხმიანეთ. - სერბეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში ქვეყნის ჩემპიონსა და 2011 წლის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ ბელგრადის „პარტიზანს" ვეთამაშებით. ეს იქნება დიდ წყალბურთში ჩემი დებიუტი. „პარტიზანი" მრისხანე მეტოქეა, მის შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონები და ოლიმპიური თამაშების პრიზიორებიც თამაშობენ. ჩვენი გუნდი კი ახალგაზრდულია, უმთავრესად 17-19 წლის ბიჭებით დაკომპლექტებული, ჩემპიონატში „უაკთან" ერთად მეექვსე-მეშვიდე ადგილებს იყოფს. ყველაზე უმცროსი მე ვარ.

**- გუნდს როგორ შეეწყვე?**

- ადაპტაცია არ გამჭირვებია, რადგან ბიჭებს კარგა ხანია, ვიცნობ, ზოგიერთთან ვმეგობრობ კიდეც. თავიდან საწვრთნელ რეჟიმთან შეგუება გამიჭირდა. დღეში ორჯერადი ვარჯიშები გვაქვს, რომელიც ექვს-ნახევარ საათს მაინც გრძელდება.

**- აბა, ევროპის ახალგაზრდული პირველობის შესარჩევი ტურნირისთვის კარგად მოემზადები...**

- ეს შეჯიბრება 9-12 მაისს თბილისში გაიმართება. მისთვის მოსამზადებლად საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები აპრილში ნოვი სადს ეწვევა და მეც გუნდს აქ შევუერთდები. თანატოლებთან ტესტმატჩებს გავმართავთ. აპრილის მიწურულს თბილისი მესამედ უმასპინძლებს ახალგაზრდებს შორის ოლიმპიური თამაშების პრიზიორ ნოდარ გვახარიას მემორიალს. იქაც ვითამაშებთ. შესარჩევ ტურნირში გერმანიას, ჰოლანდიის, სლოვაკეთს და მოლდოვას დავუპირისპირდებით. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მალტაში ფინალურ ეტაპზე ვიასპარეზოთ.



ანდრო ბითაძე (N10)

# სარევანშოდ...

**დასასრულს უახლოვდება წყალბურთში ჩემპიონთა ლიგის გათამაშება, რომელშიც ევროპის 21 გუნდი მონაწილეობს მერვედფინალის 16 საგზურისთვის.**

A ჯგუფში, სადაც საქართველოს სამგზის ჩემპიონ „ლიგამუსი-თბილისთან" ერთად საბერძნეთის „ვულიაგმენი", ვოლგოგრადის „სპარტაკი", უნგრეთის „ეგერი", ჰოლანდიის „შუურმანი" და გერმანიის „ვასპო-98" მონაწილეობს, მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლება სამმა გუნდმა კარგა ხანია, გაინაღდა. ქართველებმა ეს შანსი ორი ტურის წინ დაკარგეს, როცა გერმანელებს დაუზავდნენ თბილისში. ჩვენებს ერთადერთი ქულა აქვთ. „ვასპოს" - 4, „შუურმანს" - 6 ქულა. მეოთხე ვაკანტური ადგილისთვის სწორედ ეს ორი კლუბი იბრძვის.

დღეს ბოლოსწინა ტურში „ოლიმპიკის" აუზში „ლიგამუსი" „შუურმანს" დაუპირისპირდება. ტიტების ქვეყნის წარმომადგენლებმა შინ 6 ოქტომბერს დღევანდელი მეტოქე 13:10 დაამარცხეს. მასპინძლებს რევანში აქვთ ასაღები. ისინი „ფეირ პლეის" პრინციპს თუ დაარღვევენ და ბოლომდე შეეწინააღმდეგებიან ნიდერლანდელებს და დაამარცხებენ, მაშინ მე-4 საგზურის ბედი 27 თებერვალს გერმანიაში „ვასპო-98" - „შუურმანის" დაპირისპირებაში გადაწყდება. ჰოლანდიელებს „ოლიმპიკში" ფრე ან მოგება მერვედფინალის საგზურს ვადამდე მოაპოვებინებს.

ასე რომ, თბილისში საინტერესო ორთაბრძოლის მოწმენი გავხდებით. დღესვე 18-ქულიანი „ეგერი" 21-ქულიან „სპარტაკს" მიიღებს, ხოლო, ასევე, 21-ქულიანი „ვულიაგმენი" ჰანოვერელებს უმასპინძლებს.

**B ჯგუფი.** „ოლიმპიაკოსი" (საბერძნეთი) - „მონპელიე" (საფრანგეთი), „კრეიცლინგენი" (შვეიცარია) - „ცრვენა ზვეზდა" (ბელგრადი).

**C ჯგუფი.** „ბრეშა" (იტალია) - „მარსელი" (საფრანგეთი), „ბარსელონეტა" (ესპანეთი - „ვოივოდინა" (ნოვი სადი).

**D ჯგუფი.** „პარტიზანი" (ბელგრადი) - „შპანდაუ-04" (გერმანია), „ბეტონი" (უნგრეთი) - „ორადეა"(რუმინეთი).





ჭადრაკი

## პლოვდივშიც ყოჩაღობენ

ბულგარეთის 35-ე ღია საჭადრაკო ჩემპიონატს პლოვდივი მასპინძლობს. იქ სამი ჩვენებურიც ცდის ძალებს. გუშინ და გუშინწინ ორი ტურის პარტიები გათამაშდა. **შოთა აზალაძემ** და **ლუკა პაიჭაძემ** მონაგარი ორ-ორი ქულით გაიმდიდრეს, შესაბამისად, ლაზარ ლუკიჩი (ჩერნოგორია) და იესენ კანევი (იტალია), გიორგი ბარდაროვი (ბულგარეთი) და მარია მანილიდუ (საბერძნეთი) დაამარცხეს, სალომე ხაჟომიამ ნურგილ სალიმოვას (ბულგარეთი) კი აჯობა, მაგრამ გუშინ ანა-მარია დრაკაკის (საბერძნეთი) დანებდა.

გათამაშების ცხრილში ზედიზედ მე-4 გამარჯვება ჩაინერეს ივან ჩეპარინოვმა, ვლადიმირ პეტკოვმა, მარჯან პეტროვმა (ყველა-ბულგარეთი), ალექსანდრ ფიერიმ (ბრაზილია), ვლადისლავ ნევედნიჩიმ, ვლად-კრისტიან იანუმ (ორივე-რუმინეთი), ნიკოლა ჯუკიჩმა (ჩერნოგორია) და ბართლომეი ნებელამ (პოლონეთი). აზალაძეს 3,5, პაიჭაძეს 3, ხაჟომიას კი 2 ქულა აქვს.

მე-5 ტურში ჩვენებურები ასე დაწყვილდნენ: შოთა აზალაძე-ემილიან-მირჩეა პარლიგრასი (რუმინეთი), ბოილ ბანოვი (ბულგარეთი)-ლუკა პაიჭაძე, სალომე ხაჟომია-გეორგიოს დელუდისი (საბერძნეთი).

## უდანაკარგოდ არავინ დარჩა

საქართველოს 18-წლამდელ მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობაზე გუშინდლამდე უდანაკარგოდ ნატო იმნაძე და ნიკა ლვამბერია ლიდერობდნენ, მაგრამ მე-4 ტური მათთვის უიღბლო აღმოჩნდა: მარიამ ჭოლაძემ თეთრებით იმნაძეს სძლია, ირაკლი ბერაძემ კი ლვამბერიას აჯობა და თავად დაწინაურდნენ.

გოგონებში მეწინავეთა ჯგუფის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ნინო ხომერიკი-ნანი უნაფქოშვილი 0.5:0.5, დეა გოგიშვილი-ანა შამათავა 0:1, მარიამ ჯავახიშვილი-ანა კუჭავა 0:1, ლიკა კობეშავიძე-ნინო დახუნდარიძე 0:1. ჭოლაძემ 3,5, იმნაძემ, უნაფქოშვილმა, შამათავამ, კუჭავამ და დახუნდარიძემ 3-3 ქულას მოუყარეს თავი.

ვაჟებში ალექსანდრე ებრალიძემ შალვა ნადირაშვილს გააჩერებინა საათი, ნიკოლოზ ქუმსიაშვილისა და გიგლა ბენიძის შეხვედრა ყაიმით დასრულდა. ბერაძეს 3,5 ქულა, ნოე თუთისანს, ნიკოლოზ ქუმსიაშვილს, გიგლა ბენიძეს, ნიკა ლვამბერიას, ლუკა ლიჩელსა და თემურ ოთხოზორიას - 3-3 ქულა აქვთ.



ნინო ბაციაშვილი

## ოთხოსანთა კვარტეტი

ოთხი შესაძლებლიდან 3,5 ქულა - ასეთია ქართველი დიდოსტატის **ნინო ბაციაშვილის** მონაგარი მოსკოვის ღია ტურნირზე. შეგახსენებთ, რომ ასპარეზობის რეიტინგფავორიტია სანკტპეტერბურგელი ანასტასია ბოდნარუკი (2430). რეიტინგით მეორეა ბათუმელი ბაციაშვილი (2403). პირველ ტურში იგი მასპინძელ ანასტასია რომანოვას დაუზავდა. მერე სამ შეხვედრაში მიაღწია წარმატებას: ზედიზედ დაამარცხა ეკატერინა ლიტვინენკო, ანასტასია კოზინა და მარინა ბარაევა (სამივე - რუსეთი).

მოსკოვის ღია ტურნირში თამაშობს თბილისელი საერთაშორისო ოსტატი **ანა გავაშელი.** სტარტზე მას მეტოქე არ ჰყავდა და მოგება ჩაეთვალა, მეორე ტურში ეკატერინა ლიტვინენკოს დანებდა, მესამეში ვალენტინა სკაკუნს სძლია, გუშინ დარია ვლასოვას (სამივე - რუსეთი) დაუზავდა და 2,5 ქულა მოაგროვა.

მე-4 ტურში ლიდერთა პარტიები ასე დამთავრდა: სვეტლანა შულაკოვა (რუსეთი) - ევგენია ოვოდი (რუსეთი) 0:1, ნარმინ კაზიმოვა (აზერბაიჯანი) - მარია რომანკო (რუსეთი) 0:1, ლიდია ტოტნიკოვა (რუსეთი) - ალიონა სუსლოვა (რუსეთი) 1:0, პოლინა როდიონოვა (რუსეთი) - ლანიტა სტეცკო (ბელარუსი) 0:1, ანასტასია ბოდნარუკი (რუსეთი) - ანა სტიაჟკინა (რუსეთი) 1:0, ალინა კაშლინსკაია (რუსეთი) - ანასტასია ერიშკანოვა (რუსეთი) 0,5:0,5, ანა გვანცელაძე (რუსეთი) - ლილით გალოიანი (სომხეთი) 0.5:0.5.

ოთხი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ ოვოდი, სტეცკო, რომანკო და ტოტნიკოვა ლიდერობენ. რვა მოჭადრაკეს, მათ შორის ბაციაშვილს, 3.5-3.5 ქულა აქვთ. დღეს მე-5 ტურის პარტიები გაიმართება. ბაციაშვილი ალექსანდრა მაკარენკოს, გავაშელი კი ანა აკოპოვას (ორივე - რუსეთი) დაუპირისპირდება.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა დანელიამ**

ინტერვიუ ნიკა ცქიტიშვილთან

# კარიერაში რაც დავკარგე, ახლა ვინაზღაურებ



ᲒᲐᲡᲣᲚᲘ წლის ნოემბერში ნიკა ცქიტიშვილი ირანიდან ლიბანში გადავიდა. იგი მანამდე სპარსული „მაჰანის“ ღირსებას იცავდა, თუმცა ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულება გაუქმდა და სკიტა თავისუფალი აგენტი გახდა. მისთვის უმალ გამოიძებნა ახალი კლუბი - ლიბანის „ჩამპვილი“. ბეირუთელთა შემადგენლობაში ცქიტიშვილმა კარიერა როგორ ააწყო, აქამდეც დაგვიწერია, მაგრამ ლიბანში გადასვლის შემდეგ იგი ჩვენი გაზეთის მკითხველს არ შეხვედრია. აზიურ თავგადასავლებზე **ნიკოლოზ ცქიტიშვილი** ინტერვიუში მოგვითხრობს.

**- რამდენად კმაყოფილი ხარ ლიბანური კარიერით?**

- უკმაყოფილების საბაბი ნამდვილად არ მაქვს. შეიძლება ითქვას, რაც კარიერაში დავკარგე, აზიაში გადმოსვლით ვინაზღაურებ. თითქოს ყველაფერი თავიდან დაიწყო. რაც მთავარია, ბოლოს და ბოლოს ვთამაშობ იმდენს, რომ თამაშისგან სიამოვნებას ვიღებ და გუნდსაც წარმატების მიღწევაში ვეხმარები. „ჩამპვილში“ კალათბურთელებიც ძალიან მეგობრულები არიან და მწვრთნელიც ბოლომდე მენდობა.

**- „ჩამპვილი“ სატურნირო მდგომარეობას ნელ-ნელა იუმჯობესებს. სეზონის დასაწყისში რა იყო წარუმატებლობის მიზეზი?**

- საერთოდ კარგი გუნდია, თუმცა თავიდან სერიოზული ჩავარდნა ჰქონდა. საქმე ისაა, რომ ჩემამდე ამერიკელი ლეგიონერი დუეინ ჯონსი ჰყავდათ, რომელსაც ამერიკის ნაციონალურ ასოციაციაში 9 წელი აქვს გატარებული. იგი ჩინეთშიც ეფექტურად თამაშობდა, საშუალოდ 18 მოხსნა ჰქონდა, თუმცა „ჩამპვილში“ ვერ ათამაშდა. არადა, გუნდში მნიშვნელოვანი ფუნქცია ჰქონდა.

**- გამოდის, რომ ლიბანის ჩემპიონატში დიდ როლს ლეგიონერები თამაშობენ.**

- ნამდვილად ასეა. ადგილობრივი კალათბურთელებიდან უმაღლესი დონისა ბევრი არ არის. ერთ-ერთი მათგანი ჩემს გუნდში თამაშობს - ჰატიბი, რომელიც 34 წლისაა, ლიბანელთათვის ცოცხალი ლეგენდაა, ისეთივე ენერგიულობითა და სიზუსტით გამოირჩევა, როგორც კარიერის პიკში მყოფნი. ამას წინათ გაიმართა ვრანკოვიჩის სახელობის თასი, რომელშიც ირანი ლიბანს დაუპირისპირდა. ზოგადად რომ შევაფასოთ, ირანელები ბევრად აღემატებიან ლიბანელებს, მაგრამ იმ დღეს ჰატიბი ვერ შეაჩერეს და მოხდა სასწაული, სპარსელები დამარცხდნენ.

**- იანვარში თამაშები მეჩხრად გქონდათ, რა იყო მიზეზი?**

- საქმე ისაა, რომ ნაკრებები აზიის თასისთვის ემზადებიან და ჩემპიონატებშიც ამიტომაა შესვენებები. სხვათა შორის, ნატურალიზებისთვის კალათბურთელებს რომ არჩევდნენ, პირველ რიგში მე შემომთავაზეს. თუმცა ვუთხარი, რომ ფიბას წესებით ამის უფლება არ მაქვს. რაც შეეხება ლიბანის ჩემპიონატს, უახლოესი მატჩი 13 თებერვალსაა და მას კიდევ სამი მოჰყვება. ზედიზედ ვეთამაშებით „ბიბლოსს“, „ალ რიადს“, „საჯესს“, „მუტაჰედს“. მათგან ყველას აქვს მედლებისთვის ბრძოლის პრეტენზია და ზემოთ ნახსენები ოთხი მატჩი ბევრს გადაწყვეტს.

**- ლიბანში ცხოვრებასაც შეეგუე?**

- თუ მკითხველი გადამეტებულ შედარებად არ მიიღებს, ვიტყვი, რომ ბეირუთი ქალაქ ბარსელონას ჰგავს, ძველი და ახალი არქიტექტურა ერთმანეთთან კარგადაა შერწყმული, ზღვის პირასაა. მოკლედ, ცხოვრების პირობების მხრივ ყველაფერი წესრიგშია. ამ მხრივაც კმაყოფილი ვარ.

**- ალბათ, ჩვენი ნაკრების კალათბურთელთა ევროპაში გამოსვლასაც ადევნებ თვალს.**

- გამიხარდა მანუჩარ მარკოიშვილის „კანტუდან“ „გალათასარაიში“ გადასვლა. შესაძლოა, მას იტალიაში მეტი ნდობა ჰქონდა (რაც მეტ დროს ატარებ ერთ გუნდში, მით მეტად იზრდება ნდობა) და ლიდერიც იყო, მაგრამ დღევანდელი საზომებით თურქეთის ჩემპიონატი იტალიისას სჯობს. ვიქტორ სანიკიძე „ვირტუსიდან“ ევროლიგის „მონტეპასკიში“ რომ გადავიდა, თავიდან ჩვეული შედეგიანობით ვერ თამაშობდა, რადგან იქ ყველა უმაღლესი დონის კალათბურთელი დახვდა, თუმცა იგი მალევე ათამაშდა ჩვეულ სტილში. დარწმუნებული ვარ, მარკოიშვილიც იტყვის თავის სიტყვას „გალათასარაიში“.

**- კარიერის განმავლობაში შენც ხშირად გიწევდა კლუბების გამოცვლა...**

- ეს იოლი საქმე არ არის. დიდი გამოცდილება დამიგროვდა. ყოველთვის კარგად უნდა გაიცნობიერო, სად და რისთვის მიდიხარ, რადგან ერთმა ნაბიჯმა შესაძლოა უკან მნიშვნელოვნად დაგწიოს. ეგებ, ერთმა გუნდმა 100 ან 200 ათასით მეტი შემოგთავაზოს, მაგრამ წასვლა არ ღირდეს.

**- რატომ?**

- ყოფილა შემთხვევები, როცა კალათბურთელი უკეთეს გუნდში, უკეთესი კონტრაქტით გადასულა, მაგრამ ფეხი ვერ მოუკიდებია და ყველაფრის ახლიდან დაწყება დასჭირვებია. ერთწლიანი ჩავარდნის შემდეგ მისი სატრანსფერო ღირებულებაც საგრძნობლად დაწეულა.

**- საქართველოს ნაკრებზეც გკითხავ. იგორ კოკოშკოვთან ხომ არ გილაპარაკია?**

- ნაკრების მწვრთნელთან არ მისაუბრია. ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა დამირეკა და სანაკრებო საკითხებზეც ვიმსჯელეთ. მითხრა, რომ გუნდში ჩემი დაბრუნება სურს. ყველას კარგად მოეხსენება, რომ შემადგენლობასთან დაკავშირებულ საკითხებს მთავარი მწვრთნელი იგორ კოკოშკოვი წყვეტს. გასულ ზაფხულს სწორედ მან ჩათვალა საჭიროდ ჩემი არგამოძახება და თუ დავჭირდები, ისევ და ისევ მან უნდა დამირეკოს. ვთვლი, რთულ ჯგუფში მოვხვდით, თუმცა როგორც არასდროს, ახლა ძლიერი გუნდი გვყავს და საერთო ძალისხმევით ნამდვილად შეიძლება ევრობასკეტზე წარმატებაზე ფიქრი.





## დოსიე

### ნიკოლოზ ცქიტიშვილი

დაიბადა: 14.04.1983
სიმაღლე: 215 სმ
პოზიცია: ფორვარდი
გუნდი: ჩამპვილი (ლიბანი)

**საკლუბო კარიერა**

| | |
|---|---|
| 1997-98 | სოხუმის „კოლხა“ |
| 1998 | თსუ |
| 1999 | „სტუ-ჯეოსელი“ |
| 1999-01 | სლოვენიის „სლოვანი“ |
| 2001-02 | იტალიის „ბენეტონი“ |
| 2002-04 | „დენვერ ნაგეთსი“ (NBA) |
| 2004 | „გოლდენ სტეიტ უორიორზი“ (NBA) |
| 2005 | „მინესოტა ტიმბერვულვზი“ (NBA) |
| 2006 | „ფინიქს სანსი“ (NBA) |
| 2006 | „ნიუ იორკ ნიქსი“ (NBA) |
| 2007 | ესპანეთის „კახასოლი“ |
| 2007-08 | იტალიის „ტერამო“ |
| 2008-09 | ესპანეთის „ფუენლაბრადა“ |
| 2009 | საბერძნეთის „პანიონიოსი“ |
| 2009-10 | ესპანეთის „ფუენლაბრადა“ |
| 2010-11 | ესპანეთის „ლაგუნ არო“ |
| 2011-12 | ირანის „მაჰრამი“ |

**მიღწევები**

| | |
|---|---|
| 2001 | სლოვენიის მესამე პრიზიორი |
| 2002 | იტალიის ჩემპიონი |
| 2002 | NBA-ს დრაფტზე „დენვერმა“ მე-5 ნომრად აირჩია |
| 2012 | ირანის ჩემპიონი |
| 2012 | დასავლეთ აზიის თასის მფლობელი |

2011 წლის ევროპის ჩემპიონატის მონაწილე

კალათბურთი
2012-13
6 თებერვალი
თსუ დინამო 14:00
თსსუ ქუთაისი 16:00
სოხუმი ოლიმპი 18:00
www.facebook.com/GeoBasketball
www.gbf.ge
www.superleague.ge

სპორტული ფილოსოფია

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# როგორ ავაშენოთ გუნდი

## სვეტისლავ პეშიჩი

ᲪᲜᲝᲑᲘᲚ მწვრთნელებს არაერთხელ უთქვამთ: საქართველოში ყველა დიდი სპეციალისტია, რომ ჰკითხო, ნებისმიერ მწვრთნელზე მეტი თუ არა, ნაკლები არ იცის. ეს ცუდია თუ კარგი, თავად განსაჯეთ, ჩვენ კი ერთ დასკვნას გამოვიტანთ: რადგან თავი მწვრთნელად წარმოუდგენია, გამოდის, რომ სპორტი ბევრს აინტერესებს და თანაც სიღრმისეულად. ჰოდა, მათთან ერთად ჩვენც მოვისმინოთ „სპორტული ფილოსოფოსების“ ლექციები.

სერბი სპეციალისტის **სვეტისლავ პეშიჩის** ნააზრევი ქვეთავებად დავყავით და გადავწყვიტეთ ყოველდღიურად თითო ნაწილი შემოგთავაზოთ. მართალია, მისი სემინარი კალათბურთის თემაზეა, მაგრამ სპორტის სხვა სახეობების მოყვარულებსაც დააინტერესებთ.

პეშიჩი ჩოგბურთით იწყებს:

„ჩოგბურთელმა მარტინა ნავრატილოვამ მარტივი რამ თქვა: „ყველას უნდა მოგება“. იტყვით: ეს ხომ ყველამ იცის?!

„...მაგრამ ყველა როდი არის მზად გამარჯვებისთვის,“ - დასძინა მარტინამ.

მწვრთნელის ფუნქცია სწორედ ისაა, რომ სპორტსმენები წარმატების მისაღწევად მოამზადოს. გუნდის შენებას უამრავი დეტალის გათვალისწინება სჭირდება, მაგრამ ყველაფერი მაინც სელექციიდან იწყება. აქაც მარტივადაა საქმე - უნდა შევარჩიოთ ისეთი მოთამაშეები, რომლებიც მზად არიან შრომისთვის.

მოიძებნება უამრავი ნიჭიერი სპორტსმენი, რომელიც გამორჩეულია ინდივიდუალიზმით, ტექნიკით, სროლის სიზუსტით, პასის გაცემის ნიჭი აქვს, შეუძლია მწვრთნელებთან და მეგობრებთან კომუნიკაციაში იოლად შესვლა, მაგრამ როცა ტალანტზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში ისეთი მოთამაშე უნდა შევარჩიოთ რომელსაც ყველაზე მთავარი, შრომის ნიჭი აქვს.

გვახსოვდეს: ერთია კალათბურთის თამაში და მეორე, უფრო მნიშვნელოვანი - კალათბურთში ვარჯიში. ყველას უნდა თამაში, მაგრამ ყველას არ უნდა ვარჯიში.

არ მეგულება ადამიანი, რომელსაც არ სურს წარმატებული იყოს. წარმატება მხოლოდ მოგება არ არის - ესაა ვარჯიშით სიამოვნების მიღება, ერთი ახალი მოძრაობის სწავლა, კალათბურთში ხომ ათასობით ელემენტი, ათასობით სიურპრიზია...

მაგრამ წარმატება არ მოაქვს იმის კეთებას, რაც გიყვარს, არამედ იმის სიყვარულს, რასაც აკეთებ. როცა გსურს სიამოვნება მიიღო თამაშით, მოიპოვო ჩემპიონობა, იყო წარმატებული, ამ საქმეში აუცილებლად შრომა უნდა დააბანდო“.

ხვალინდელ ნომერში წაიკითხავთ რას ფიქრობს სვეტისლავ პეშიჩი დაცვის შესახებ.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა თასი

# საქართველოს ნაკრების კაპიტანი ირაკლი მაჩხანელია

**საქართველოს ნაკრები ერთა თასის გათამაშების მორიგი ტურის მატჩისთვის „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" ემზადება. „ბორჯღალოსნების" მეტოქე ამჯერად პორტუგალიის ეროვნული გუნდია, რომელმაც პირველ ტურში შინ წააგო რუმინეთის ნაკრებთან 13:19.**



მილტონ ჰეიგი მორაგბეებს უხმობს

ჩვენი გუნდის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილების შესახებ გაზეთის წინა ნომერში ვწერდით. ამასთან ერთად, გაირკვა, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტანი გარემარბი **ირაკლი მაჩხანელი** იქნება. ეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ საფრანგეთის საკურორტო ქალაქ კანში საწვრთნელი შეკრებისას მიიღეს და რადგან მაჩხანელმა ტრავმის გამო ბელგიის ნაკრების წინააღმდეგ ვერ ითამაშა, გუნდს ბრიუსელში მესამეხაზელმა **გიორგი ჩხაიძემ** უკაპიტნა.

ცოტა რამ „ბორჯღალოსნების" ახალი კაპიტნის შესახებ. ის 1981 წლის 18 ივლისს დაიბადა და სარაგბო კლუბ „აკადემიის" აღზრდილია. მაჩხანელს ზურგს საკმაოდ დიდი გამოცდილება უმაგრებს. მან მსოფლიოს თასის სამ გათამაშებაში იასპარეზა, 2003, 2007 და 2011 წლებში. მსოფლიოს უდიდეს სარაგბო ფორუმებზე მის ანგარიშზე ერთი ლელოა, რომელიც 2007 წელს ნამიბიის ნაკრებთან მატჩში გაიტანა. ის შეხვედრა „ბორჯღალოსნებმა" მშრალი ანგარიშით 30:0 მოიგეს.

2011 წელს ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე მაჩხანელმა პირველ ორ მატჩში იასპარეზა შოტლანდიისა და ინგლისის ნაკრებებთან, თუმცა მერე ტრავმის გამო დარჩენილ ორ შეხვედრაში თამაში ველარ შეძლო.

საქართველოს ნაკრების ახალი კაპიტანი ამჟამად თბილისის „არმაზის" ღირსებას იცავს, აქამდე კი მას საფრანგეთის სხვადასხვა დივიზიონში მოასპარეზე გუნდებში უთამაშია. ესენია: „ბეზიე", „მონ დე მარსანი", „აჟენი", „სენ ეტიენი", „მონლუსონი" და „მაკონი". შაბათს პორტუგალიასთან მატჩში ირაკლი მაჩხანელი 60-ე კეპს მოიხვეჭს. მან ეროვნული გუნდის კვართით კარიერაში 21 ლელო გაიტანა.

„ბორჯღალოსნებმა" გუშინ „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" ღია ვარჯიში გამართეს, რომელშიც გაფართოებული შემადგენლობიდან უკლებლივ ყველამ მიიღო მონაწილეობა. ტრავმა მოიშუშა და აქტიურად იყო ჩართული საწვრთნელ პროცესში მეორეხაზელი **ვახტანგ მაისურაძე** (ალბი), ასევე **დავით ზირაქაშვილი** (კლერმონი) და **ირაკლი მირცხულავა** (ტარბი), რომლებიც გუნდს ბელგიაში არ ახლდნენ.

ტრადიციული, მოკლევადიანი მოთელვის შემდეგ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა** გუნდი ორად გაყო და ორივე აუტიდან წინააღმდეგობის გარეშე შეტევის ორგანიზებაში ავარჯიშა. მერე ერთ-ერთს, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობას, ყვითელი მოსაცმელები გადააცვა და ორმხრივად ათამაშა. სავარაუდო ძირითადი შემადგენლობა, რომელიც გამორიცხული არ არის, რომ შაბათამდე შეიცვალოს, ასე გამოიყურებოდა:

**15 ბექა ნიკლაური, 14. ირაკლი მაჩხანელი 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. თამაზ მჭედლიძე, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. გიორგი ბეგაძე. 1. მიხეილ ნარიაშვილი, 2. შალვა მამუკაშვილი, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. კონსტანტინე მიქაუტაძე, 5. გიორგი ჩხაიძე, 6. ვიქტორ კოლელიშვილი, 7. მამუკა გორგოძე, 8. დიმიტრი ბასილაია.**

ორმხრივი დაპირისპირებისას ჯერ „წითლები", ანუ სავარაუდო სათადარიგოები უტევდნენ და „ყვითლები" დაცვის ორგანიზებას ცდილობდნენ. მერე, გუნდებმა როლები გაცვალეს. ამას სტატიკური მდგომარეობებიდან, შერკინებიდან და დერეფნიდან შეტევის მცდელობა მოჰყვა. მორაგბეები ხელდახელ ბურთაობით, შეტევის მიმართულების ცვლით, ფაზების აკინძვას ცდილობდნენ.



ბურთით გიორგი ჩხაიძე, მარჯვნივ დავით ზირაქაშვილი, მარცხნივ მამუკა გორგოძე

ვარჯიშის მიწურულს „ბორჯღალოსნებმა" საკმაოდ დიდი დრო დაუთმეს წარმოქმნილ რაკში ბურთის სწრაფად გაწმენდას და იქიდან შეტევის წამოწყებას. თამაშის ეს კომპონენტი „ლობუშების" ძლიერ მხარედ ითვლება და მასზე ყურადღების გამახვილება სწორედაც რომ მართებულია. ამის მერე, უკანახაზელებმა მოთელვა გააკეთეს, მორკინალებმა კი მოლის აგორებაში ივარჯიშეს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და პორტუგალიის ნაკრებების მატჩი შაბათს, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 15 საათზე დაიწყება.

## საქართველო

**პირველი ხაზი:** დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), ირაკლი მირცხულავა (ტარბი), ზურაბ ჟვანია (სტად ფრანსე), დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), რეზო ბელქანია (ლელო), შალვა მამუკაშვილი (არმია).

**მეორე ხაზი:** გიორგი ჩხაიძე (ტარბი), ვახტანგ მაისურაძე (ალბი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), ლაშა ლომიძე (მონპელიე).

**მესამე ხაზი:** მამუკა გორგოძე (მონპელიე), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი), შალვა სუთიაშვილი (მასი), ბექა ბიწაძე (არმია).

**№9:** გიორგი ბეგაძე (ბათუმი), ვაჟა ხუციშვილი (ხარები).

**№10:** მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), ლაშა ხმალაძე (ლელო).

**№12-13:** მერაბ შარიქაძე (ჰართპური), დავით კაჭარავა (როდეზი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო).

**№11-14:** ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), ალექსანდრე თოდუა (ალბი), თამაზ მჭედლიძე (მონ დე მარსანი), გიორგი ფრუიძე (აია).

**№15:** ბექა ნიკლაური (ლოკომოტივი), ირაკლი ყიასაშვილი (ლელო).

## პორტუგალია

შერკინება: ფრანსისშკუ ფერნანდესი, ჟოაო კორეია, ჟუან მურე, დავიდ რიესი, გონსალო უვა, ჟაკ ლე რუ, ჟუან სოუსა, ჟუან სევერინო, ლიონელ კამპერო, ჟორჟე სეგურადო, ტონი მარტინსი, ტიაგუ ჟირაო, ვასკუ უვა

უკანა ხაზი: ნუნო კოსტა, ადერიტო სეტევეში, ფედერიკო ოლივეირა, კარლ მურეი, გონსალო ფორო, პედრო ლეალი, ფრანსიშკუ მაგალიაეში, ლორან ბელანჟე, ფრანსისკო აპელტონი, ჯოზე ლიმა.

## სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუმინეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +6 | 4 |
| 2. საქართველო | 1 | 1 | 0 | 0 | +4 | 4 |
| 3. რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +4 | 4 |
| 4. ბელგია | 1 | 0 | 0 | 1 | -4 | 1 |
| 5. ესპანეთი | 1 | 0 | 0 | 1 | -4 | 1 |
| 6. პორტუგალია | 1 | 0 | 0 | 1 | -6 | 1 |

## II ტური

**9 მარტი**

**საქართველო-პორტუგალია**
**ბელგია-ესპანეთი**
**რუმინეთი-რუსეთი**

**ბესიკ ჯანგავაძე**

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები*



მამუკა გორგოძე დერეფანში ვარჯიშისას



ბორჯღალოსნების საფირმო მოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# კვირის მოთამაშეები

„ჩიკაგო ბულზის“ მცველი **ნეიტ რობინსონი** და „გოლდენ სტეიტ უორიორზის“ ფორვარდი **დევიდ ლი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი რობინსონი თავის გუნდს ოთხიდან სამი მატჩის მოგებაში დაეხმარა. ნეიტი საშუალოდ მატჩში 17.8 ქულას, 6.8 შედეგიან პასსა და 2.5 ჩაჭრას აგროვებდა. „ხარების“ მცველი ზედიზედ 10 მატჩია მინიმუმ ათ ქულას აგროვებს შეხვედრაში.

ლის კარგი თამაშის წყალობით, “გოლდენ სტეიტმა” გასულ კვირას ოთხიდან ოთხი მატჩი მოიგო. ფორვარდმა ოთხივე შეხვედრაში ორმაგი დუბლი შეასრულა და წელს NBA-ის ლიდერია ამ მაჩვენებლით - მის ანგარიშზე 31 ორმაგი დუბლი მოდის. გასულ კვირას დევიდის საშუალო სტატისტიკა 18.0 ქულას, 14.3 მოხსნასა და 7.8 შედეგიან პასს უდრიდა.

ლი 2005 წლის შემდეგ „გოლდენ სტეიტის“ პირველი მოთამაშე გახდა, ვინც ერთ სეზონში მეორედ დასახელდა კვირის საუკეთესო მოთამაშედ. ბოლოს ეს **ბაირონ დევისმა** შეძლო.

### რობინსონის კვირა

**28 იანვარი. ჩიკაგო-შარლოტი 93:85.** 15 ქულა, 7 მოხსნა, 4 პასი, 3 დაფარება, 3 ჩაჭრა.

**30 იანვარი. მილუოკი-ჩიკაგო 88:104.** 24 ქულა, 4 პასი, 3 ჩაჭრა.

**2 თებერვალი. ატლანტა-ჩიკაგო 76:93.** 20 ქულა, 8 პასი, 3 ჩაჭრა.

### ლის კვირა

**28 იანვარი. ტორონტო-გოლდენ სტეიტი 102:114.** 21 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი.

**29 იანვარი. კლივლენდი-გოლდენ სტეიტი 95:108.** 20 ქულა, 12 მოხსნა, 8 პასი.

**31 იანვარი. გოლდენ სტეიტი-დალასი 100:97.** 15 ქულა, 20 მოხსნა, 9 პასი.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **ბრუკ ლოპესი** („ბრუკლინი“), **დანილო გალინარი** („დენვერი“), **ომერ აშიქი** („ჰიუსტონი“), **ლებრონ ჯეიმსი** („მაიამი“) და **ტაისონ ჩენდლერი** („ნიუ იორკი“).

### ფილადელფია-ორლანდო 78:61

**28:16, 14:19, 18:11, 18:15**

ფ: ჰოიესი (21+14 მოხსნა), ნ. იანგი (15+6 მოხსნა+4 ჩაჭრა), ჰოლიდეი (13+14 პასი), ალენი (10+6 მოხსნა+3 დაფარება).

ო: მური (18), ნიკოლსონი (11+6 მოხსნა), ჰარკლესი (10+5 მოხსნა), ვუჩევიჩი (9+14 მოხსნა).

### ვაშინგტონი-კლიპერსი 98:90

**24:16, 27:30, 21:20, 26:24**

ვ: უებსტერი (21+5 მოხსნა), ნენე (15+7 მოხსნა), ტემპლი (15+3 ჩაჭრა+3 დაფარება), უოლი (13+8 პასი), არიზა (10+6 მოხსნა), ოკაფორი (9+14 მოხსნა).

კ: კროუფორდი (28), ბლედსოუ (17+9 პასი), ბატლერი (15+6 მოხსნა), ჯორდანი (7+22 მოხსნა).

### ნიუ იორკი-დეტროიტი 99:85

**28:13, 29:23, 19:22, 23:27**

ნ-ო: ენტონი (27+7 მოხსნა), სტაუდმაიერი (20), სმიტი (16), ჩენდლერი (8+20 მოხსნა).

დ: კალდერონი (15), სტაკი (14+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), მონრო (13+10 მოხსნა+3 დაფარება), ბაინუმი (13).

### მაიამი-შარლოტი 99:94

**22:21, 25:22, 19:20, 33:31**

მ: ჯეიმსი (31+8 მოხსნა+8 პასი), ბოში (23), უეიდი (20+12 მოხსნა).

შ: სეშენსი (18), გორდონი (16), მალენსი (12+9 მოხსნა), ჰენდერსონი (12+7 მოხსნა), უოკერი (11), ტეილორი (10).

### ოკლაჰომა-დალასი 112:91

**29:22, 39:22, 24:23, 20:24**

ო: უესტბრუკი (24+7 პასი+3 ჩაჭრა), დურანტი (19+10 მოხსნა), მარტინი (17), იბაკა (12+5 მოხსნა).

დ: მერიონი (23+3 ჩაჭრა), ჯონსი (15), ნოვიცკი (10), კრაუდერი (10).

### მინესოტა-პორტლენდი 98:100

**18:25, 20:24, 20:28, 40:23**

მ: კანინგემი (23+3 ჩაჭრა), ბარეა (17), რუბიო (15+14 პასი), პეკოვიჩი (13+11 მოხსნა), რიდნური (10).

პ: ოლდრიჯი (25+13 მოხსნა+5 პასი), მეტიუზი (22+5 პასი), ლიდარდი (21+6 პასი+3 ჩაჭრა).

### იუტა-საკრამენტო 98:91 (ო)

**20:22, 24:21, 18:23, 22:18, 14:7**

ი: ფოიე (20+6 პასი), ჯეფერსონი (15+12 მოხსნა+5 პასი), მილსეპი (14+3 ჩაჭრა+3 დაფარება), ბერკსი (14), ფეივორსი (13+9 მოხსნა), კეროლი (10).

ს: ტომპსონი (23+10 მოხსნა), ტ. ევანსი (20), ტომასი (17), კაზინსი (10+6 მოხსნა).

### ინდიანა-ჩიკაგო 111:101

**28:29, 32:25, 27:22, 24:25**

ი: უესტი (29+9 მოხსნა+3 დაფარება), ჰილი (22+6 პასი), ჯორჯი (21+11 მოხსნა+5 პასი), სტივენსონი (15+5 პასი).




ნეიტ რობინსონი

ჩ: ბელინელი (24), რობინსონი (19+5 მოხსნა+9 პასი+3 ჩაჭრა), დენგი (13+6 მოხსნა), გიბსონი (10+11 მოხსნა+5 დაფარება), ბუზერი (10+5 მოხსნა), ბატლერი (10+3 ჩაჭრა), ჰემილტონი (10).

### აღმოსავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. მაიამი* | 45 | 31 | 14 | 68.9 |
| 2. ნიუ იორკი* | 46 | 31 | 15 | 67.4 |
| 3. ინდიანა* | 48 | 29 | 19 | 60.4 |
| 5. ჩიკაგო | 48 | 29 | 19 | 60.4 |
| 4. ბრუკლინი | 47 | 28 | 19 | 59.6 |
| 6. ატლანტა | 46 | 26 | 20 | 56.5 |
| 8. მილუოკი | 46 | 25 | 21 | 54.3 |
| 7. ბოსტონი | 47 | 24 | 23 | 51.1 |
| 9. ფილადელფია | 47 | 21 | 26 | 44.7 |
| 11. დეტროიტი | 49 | 18 | 31 | 36.7 |
| 10. ტორონტო | 48 | 17 | 31 | 35.4 |
| 12. ორლანდო | 48 | 14 | 34 | 29.2 |
| 14. კლივლენდი | 48 | 14 | 34 | 29.2 |
| 15. ვაშინგტონი | 47 | 12 | 35 | 25.5 |
| 13. შარლოტი | 47 | 11 | 36 | 23.4 |

### დასავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. სან ანტონიო* | 49 | 38 | 11 | 77.6 |
| 2. ოკლაჰომა* | 48 | 36 | 12 | 75.0 |
| 3. კლიპერსი* | 50 | 34 | 16 | 68.0 |
| 4. მემფისი | 46 | 30 | 16 | 65.2 |
| 5. გ. სტეიტი | 47 | 30 | 17 | 63.8 |
| 6. დენვერი | 48 | 30 | 18 | 62.5 |
| 7. იუტა | 49 | 27 | 22 | 55.1 |
| 8. ჰიუსტონი | 49 | 26 | 23 | 53.1 |
| 9. პორტლენდი | 48 | 25 | 23 | 52.1 |
| 10. ლეიკერსი | 48 | 22 | 26 | 45.8 |
| 11. დალასი | 48 | 20 | 28 | 41.7 |
| 12. მინესოტა | 45 | 18 | 27 | 40.0 |
| 13. საკრამენტო | 50 | 17 | 33 | 34.0 |
| 14. ფინიქსი | 48 | 16 | 32 | 33.3 |
| 15. ნიუ ორლეანი | 48 | 15 | 33 | 31.2 |

*- დივიზიონის ლიდერი

### ქულა

| | |
|---|---|
| კევინ დურანტი (ოკლ) | 29.4 |
| კარმელო ენტონი (ნ-იორ) | 28.4 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 27.7 |
| ლებრონ ჯეიმსი (მაი) | 26.7 |
| ჯეიმს ჰარდენი (ჰიუ) | 25.8 |
| კაირი ირვინგი (კლივ) | 24.0 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 22.6 |
| სტივენ კარი (გ-სტ) | 21.1 |
| ლამარკუს ოლდრიჯი (პორ) | 20.6 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 20.6 |

### მოხსნა

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ლეი) | 11.9 |
| ზაკ რენდოლფი (მემ) | 11.7 |
| ომერ აშიქი (ჰიუ) | 11.4 |
| ნიკოლა ვუჩევიჩი (ორლ) | 11.3 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 11.3 |
| ტაისონ ჩენდლერი (ნ-იორ) | 11.2 |
| დევიდ ლი (გ-სტ) | 11.1 |
| ჯეი ჯეი ჰიქსონი (პორ) | 10.7 |
| დემარკუს კაზინსი (საკ) | 10.0 |
| ელ ჰორფორდი (ატლ) | 9.8 |

### პასი

| | |
|---|---|
| რაჟონ რონდო (ბოს) | 11.1 |
| კრის პოლი (კლიპ) | 9.7 |
| გრეივის ვასკესი (ნ-ორლ) | 9.3 |
| ჯრიუ ჰოლიდეი (ფილ) | 9.0 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 8.2 |
| დერონ უილიამსი (ბრუკ) | 7.7 |
| ტონი პარკერი (ს-ანტ) | 7.6 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 7.3 |
| ჯამირ ნელსონი (ორლ) | 7.2 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 7.0 |

### ჩაჭრა

| | |
|---|---|
| კრის პოლი (კლიპ) | 2.6 |
| მაიკ კონლი (მემ) | 2.3 |
| ჯერემი ლინი (ჰიუ) | 2.0 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 1.9 |
| მონტა ელისი (მილ) | 1.9 |
| კემბა უოკერი (შარ) | 1.9 |
| ჯეიმს ჰარდენი (ჰიუ) | 1.8 |
| პოლ ჯორჯი (ინდ) | 1.8 |
| ბრენდონ ჯენინგსი (მილ) | 1.8 |

### დაფარება

| | |
|---|---|
| ლარი სანდერსი (მილ) | 3.1 |
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 2.8 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 2.7 |
| როი ჰიბერტი (ინდ) | 2.6 |
| დუაიტ ჰოვარდი (ლეი) | 2.4 |
| ბრუკ ლოპესი (ბრუკ) | 2.2 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 2.2 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 2.1 |
| ჯავალ მაკგი (დენ) | 1.9 |

## სამთო თხილამურები. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ვონი კლინიკაში, მაზე მწვერვალზე

გუშინ, ავსტრიის ქალაქ შლადმინგში დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატი სამთო თხილამურებში. პირველი დისციპლინა, რომელშიც მედლები გათამაშდა, ქალებს შორის სუპერგიგანტი იყო. ეს არის სახეობა, სადაც მსოფლიოს თასის მოქმედი მფლობელი, ამერიკელი **ლინდსი ვონი** ყოველთვის ფავორიტად მიიჩნევა. მაგრამ გუშინ, ამერიკელს ცუდი ამბავი დაემართა.

მსოფლიოს თასის ოთხგზის მფლობელი ცუდად დაეცა ტრასაზე და არსებობს ვარაუდი, რომ ის არათუ მსოფლიოს ჩემპიონატზე, არამედ ამ სეზონში ველარ შეძლებს გამოსვლას. თვითმხილველთა თქმით, ლინდსი ნახტომის შესრულების შემდეგ ტრასის იმ ნაწილზე დაეცა, სადაც თოვლი ძალიან რბილი იყო, ამიტომაც თოვლში ფეხი ჩარჩა, წონასწორობა დაკარგა და დაეცვა. ვონმა წამოდგომა ვერ მოახერხა. საბოლოოდ, მას სამედიცინო ვერტმფრენმა მიაკითხა და ამერიკელი ზალცბურგის ერთ-ერთ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ტრავმის სერიოზულობა თავად ლინდსიმ დაადასტურა, რომელმაც თავის „ტვიტერზე“ დაწერა, რომ ექიმებს მუხლის მყესების გაწყვეტაზე აქვთ ეჭვი. თუ დიაგნოზი დადასტურდა, მაშინ ვონს მოუწევს ამ სეზონის დარჩენილი რბოლების გამოტოვება.

■ ■ ■

გუშინ მოთხილამურეებს რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მოუწიათ გამოსვლამ - თოვლი და ნისლი ხილვადობის პრობლემას ქმნიდა, რის გამოც, დისტანცია ვერ დაასრულა კიდევ ორმა ფავორიტმა - გერმანელმა **მარია რიშმა** და ავსტრიელმა **ანა ფენინგერმა**. საერთო ჯამში კი უამინდობის გამო, ორგანიზატორებს 13-ჯერ მოუწიათ სტარტის გადადებამ.

რთულ პირობებს ყველაზე კარგად აუღო ალღო მსოფლიოს თასის ამჟამინდელმა ლიდერმა, სლოვენიელმა **ტინა მაზემ**. აქამდე მას მსოფლიოს ჩემპიონატის ერთი ოქრო ჰქონდა მოგებული - წინა ჩემპიონატზე გიგანტური სლალომი მოიგო, ახლა კი პირველ დიდ გამარჯვებას მიაღწია სუპერგიგანტში. სლოვენიელმა საკმაოდ დამაჯერებელი გამოსვლა აჩვენა და 38 მეასედი წამი მოუგო მეორე ადგილზე გასულ შვეიცარიელ **ლარა გუტს**. ამ მოთხილამურის წარმატება განსაკუთრებით დასაფასებელია იმის გათვალისწინებით, რომ ის უმძიმესი ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა დიდ სპორტს.

მესამე დრო აჩვენა ამერიკელმა **ჯულია მანკუზომ**, რომლისთვისაც ეს იყო მერვე მედალი ოლიმპიადებსა და თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე. თუმცა მანკუზო, შესაძლოა, პოდიუმის მიღმა დარჩენილიყო, ოდნავ რომ გამართლებოდა 20 წლის იტალიელ **სოფია გოჯას**. ამ მოთხილამურეს, რომელსაც მსოფლიოს თასის ეტაპებზე არც ერთი ქულა არ აქვს მოპოვებული, 5 მეასედი წამი დააკლდა ბრინჯაოს მედლის მოსაპოვებლად.

დღეს, სუპერგიგანტში მამაკაცები გაითამაშებენ პირველობას.

### სუპერგიგანტი

#### ქალები

| | |
|---|---|
| 1. ტინა მაზე (სლოვენ) | 1:35.39 |
| 2. ლარა გუტი (შვეიც) | 1:35.77 |
| 3. ჯულია მანკუზო (აშშ) | 1:35.91 |
| 4. სოფია გოჯა (იტა) | 1:35.96 |
| 5. ფაბიან სუტერი (შვეიც) | 1:36.25 |
| 6. ილკა შტუეცი (სლოვენ) | 1:36.28 |



ვონი საავადმყოფოში გადაჰყავთ

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# კვირის სამი ვარსკვლავი

კვირის პირველი ვარსკვლავი გახდა „ბაფალოს“ ფორვარდი **ტომაშ ვანეკი**, რომელმაც ოთხ მატჩში 10 ქულა (5+5) დააგროვა. ავსტრიაში დაბადებულმა 29 წლის ჰოკეისტმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი „ბოსტონთან“ შეხვედრაში (7:4), როცა ხუთი ქულა ჩაიწერა აქტივში. ეს ვანეკის მეორე ხუთქულიანი მატჩი იყო სეზონში. ამჟამად, ბაფალოელი ლიგის ლიდერია ქულებისა (19) და შედეგიანი გადაცემების (11) რაოდენობით.

მეორე ვარსკვლავიც ფორვარდია - „პიტსბურგის“ წევრი **კრის კუნიტცი**, რომელმაც ოთხ მატჩში რვა ქულა (5+3) მიითვალა. ამ თავდამსხმელის საუკეთესო მატჩი იყო „ვაშინგტონის“ წინააღმდეგ, როცა მან სამი გოლი გაიტანა და ამას ერთი საგოლე პასი დაუმატა. კუნიტცი ექვსი გოლით „პიტსბურგის“ საუკეთესო სნაიპერია.

მესამე ვარსკვლავის სტატუსი ერგო „ვანკუვერის“ მეკარე **რობერტო ლუონგოს**. მან გასულ კვირას სამიდან ორი მატჩი მოიგო, საშუალოდ 0.95 შაიბა გაუშვა და მეტოქეთა დარტყმების 96.3 პროცენტი მოიგერია. ლუონგომ „კოლორადოსთან“ მატჩში 24 დარტყმა მოიგერია და კარიერაში 61-ე შათაუტი შეასრულა.

■ ■ ■

ამასობაში, ლიგამ იანვრის ლაურეატების გამოვლენა დაიწყო. გასული თვის საუკეთესო ახალბედად „სენტ ლუისის“ რუსი ფორვარდი **ვლადიმერ ტარასენკო** აღიარეს. 21 წლის თავდამსხმელმა იანვარში შვიდი მატჩი ჩაატარა, გაიტანა ხუთი გოლი და ოთხი შედეგიანი პასი შეასრულა.



ვლადიმერ ტარასენკო

საუკეთესო დებიუტანტის პრიზზე ასევე პრეტენზიას აცხადებდნენ: **ნაილ იაკუპოვი** („ედმონტონი“) - 5 ქულა (4+1), **კორი კონაჩერი** („ტამპა ბეი“) - 9 ქულა (3+6), **ჯასტინ შულცი** („ედმონტონი“) - 5 ქულა (2+3) და **ალექს გალჩენიუკი** („მონრეალი“) - 5 ქულა (1+4). ამასთგან ყველა ფორვარდია შულცის გარდა.

### ტორონტო-კაროლინა 1:4

**1:0, 0:2, 0:2**

**გოლები:** 1:0 ფრატინი-5 (კადრი-5, კომაროვი-2), 1:1 ჯ. სტაალი-1 (დუიაერი-1, სკინერი-2), 1:2 ე. სტაალი-7 (ტლუსტი-2, ბრენტი-1), 1:3 ფოლკი-2 (სკინერი-3, სიომინი-5), 1:4 დუიაერი-3 (ჯ. სტაალი-7, სკინერი-4).

### ფინიქსი-მინესოტა 2:1

**1:0, 1:1, 0:0**

**გოლები:** 1:0 კორპიკოსკი-4 (გორდონი-4, იენდლი-5), 2:0 ჰანზალი-4 (ვრბატა-7, ზ. მიხალეკი-1), 2:1 პარიზე-6.

### კოლორადო-დალასი 2:3

**0:2, 2:1, 0:0**

**გოლები:** 0:1 ბენი-1, 0:2 მოროუ-1 (იაგრი-4, ბენი-2), 1:2 ჰეიდუკი-1 (მიტჩელი-3, პ. შჩასტნი-2), 2:2 პარენტო-7 (პ. შჩასტნი-3, მაკგინი-5), 2:3 ბენი-2 (როი-3, როუმი-1).

### ედმონტონი-ვანკუვერი 2:3 (ო)

**1:0, 1:1, 0:1, 0:1**

**გოლები:** 1:0 ჰემსკი-3 (იაკუპოვი-2, სემ განიე-7), 0:2 რ. სმიტი-1 (ლანდერი-1), 1:2 ჰანსენი-1 (შრიოდერი-2, ჰიგინსი-3), 2:2 ბიეკსა-1 (რეიმონდი-1, ჰანსენი-4), 2:3 ტანევი-1 (ჰ. სედინი-6, დ. სედინი-5).

### ანაჰაიმი-სან ხოსე 2:1

**0:1, 0:0, 2:0**

**გოლები:** 0:1 კუტური-6 (ე. დეჟარდენი-1, უინგელსი-2), 1:1 ს. კოივუ-2, 2:1 სურეი-3 (ბოშემენი-1, ვეტცლაფი-5).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## ამბები

### კრივი

## კლიჩკომ სოლისი იუარა

სუპერმძიმე წონაში სამი ძირითადი ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა, უკრაინელმა **ვლადიმერ კლიჩკომ** უარი თქვა კუბელ **ოდლანიერ სოლისთან** ჩხუბზე და ახლა, მისი მორიგი მეტოქე შეიძლება გახდეს ამერიკელი **ფრეს ოკენდო**, - იტყობინება Boxingnews24.com. ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ ბრძოლაში ჩაატარებს უკრაინელი ტიტულის ნებაყოფლობით დაცვას.

39 წლის ოკენდოს ორჯერ მიუღია მონაწილეობა საჩემპიონო შეხვედრაში და ორივეჯერ დამარცხდა: 2003 წელს **კრის ბერდთან** და 2004 წელს - **ჯონ რუისთან**.

### კალათბურთი

## NBA-ში პროფკავშირის შეფს ეძებენ

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მოთამაშეთა აგენტების ჯგუფს პროფკავშირების ახალ თავმჯდომარედ **დონალდ ფერის** ხილვა სურთ. საინტერესოა, რომ ფერის ზუსტად ეს პოსტი უჭირავს ჰოკეის ეროვნულ ლიგაში.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, NBA-ის მოთამაშეთა პროფკავშირის ამჟამინდელი შეფი **ბილი ჰანტერი** უვადო შვებულებაში გაამგზავრეს, პრესა კი იუწყება, რომ მალე ჰანტერს საერთოდ გაათავისუფლებენ თანამდებობიდან.

● ჩოგბურთი. ტურნირების წინ

# ნადალი იწყებს

**ამ კვირას ქალები ფედერაციის თასზე ითამაშებენ და ამის გამო WTA-ში ტურნირები არ ტარდება, ATP-ის ტურში კი სამი ტურნირი დაიწყო, რომელთაგანაც ერთი განსაკუთრებულია...**


რაფაელ ნადალი

### VTR Open

ვინია დელ მარი (ჩილე). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 398 000 დოლარი

***მონაწილეები:*** *რაფაელ ნადალი, ხუან მონაკო, ჟერემი შარდი, პაბლო ანდუხარი, ალბერტ რამოსი, ტომი რობრედო...*

ჩილეს ტურნირისადმი ინტერესი მხოლოდ იმით არ არის განპირობებული, რომ ეს არის პირველი სტარტი სეზონში გრუნტის კორტზე. რა თქმა უნდა, ვინა დელ მარის კორტები, პირველ რიგში, იმის გამო გვიზიდავენ, რომ იქ ივნისის შემდეგ პირველ ოფიციალურ შეხვედრას ჩაატარებს ესპანელი **რაფაელ ნადალი.**

ყველას აინტერესებს, დღეისთვის რა ფორმაშია მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი. თავად ესპანელის გეგმები მოკრძალებულია - ის რამდენიმე თვეს ითხოვს ოპტიმალურ ფორმაში ჩასადგომად. ასეა თუ ისე, ვინა დელ მარში ნადალი ჯერ წყვილთა მატჩში ითამაშებს **ხუან მონაკოსთან** ერთად, შემდეგ კი ერთეულების ტურნირში ჩაებმება, სადაც პირველი წრიდან თავისუფალია, მეორე რაუნდში კი ორ არგენტინელს - **დელ ბონისა და პეიას** შორის გამარჯვებულს შეხვდება.

ჩილეში ტიტულს იცავს არგენტინელი მონაკო, რომელმაც შარშან, ფინალში თანამემამულე **კარლოს ბერლოკი** დაამარცხა. წელს, მონაკოს მხოლოდ ერთი მატჩი აქვს ჩატარებული ATP-ის ტურში - ავსტრალიის ღიას პირველივე წრეში წააგო რუს **კუზნეცოვთან.**

ვინა დელ მარში 2011 წელს გაუმარჯვია **ტომი რობრედოს.** გამოცდილმა ესპანელმა წელს უკვე სამ ტურნირში მოასწრო გამოსვლა, თუმცა წარუმატებლად: ერთი მოგება და სამი მარცხი. ტურნირის მონაწილეთაგან, ამ სეზონში ყველაზე წარმატებულია ფრანგი **ჟერემი შარდი**, რომელმაც ავსტრალიის ღია პირველობაზე მეოთხედფინალს უწია. სწორედ ის მოჩანს ნადალის ყველაზე სახიფათო მეტოქედ ვინა დელ მარში.

### Open Sud de France

მონპელიე (საფრანგეთი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 450 000 ევრო

***მონაწილეები:*** *იანკო ტიპსარევიჩი, რიშარ გასკე, ჟილ სიმონი, ნიკოლაი დავიდენკო, ვიქტორ ტროიცკი...*

მონპელიეს ტურნირზე უნდა ეთამაშა შარშანდელ ჩემპიონს, ჩეხ **ტომაშ ბერდიხს**, მაგრამ მან დევისის თასზე ისეთი ბატალიები გადაიტანა (სამი დღის განმავლობაში, კორტზე 13 საათი გაატარა), რომ არავის გაკვირვებია მისი ტურნირიდან მოხსნა.

ამიტომაც, ბადეში ტოპ-ათეულის ერთადერთ წარმომადგენელს - სერბ **იანკო ტიპსარევიჩს** ვხედავთ, რომელიც წელს უკვე მეორე ტიტულისთვის იბრძოლებს. პირველი გამარჯვება იანკომ ჩენაის ტურნირზე მოიპოვა. თანაც, სერბმა კარგად ითამაშა ავსტრალიის ღიაზე, როცა სამი მატჩი მოიგო და ტრავმის გამო ვერ შეძლო მერვედფინალში **ნიკოლას ალმაგროს** წინააღმდეგ კორტზე გასვლა.

ფრანგების ტრიოს სათავეში უდგას **რიშარ გასკე** და სწორედ მისი ეიმედება ყველაზე მეტად ადგილობრივ პუბლიკას. აქვე არის შარშანდელი ფინალისტი **გაელ მონფილსი** და სამგზის ნახევარფინალისტი **ჟილ სიმონი.**

### PBZ Zagreb Indoors

ზაგრები (ხორვატია). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 450 000 ევრო

***მონაწილეები:*** *მარინ ჩილიჩი, ანდრეას სეპი, მიხაილ იუჟნი, მარტინ კლიჟანი, მარკოს ბაღდატისი, გრიგორ დიმიტროვი...*

მშობლიური კედლები აშკარად ეხმარება **მარინ ჩილიჩს**, რომელსაც ზაგრების ტურნირზე ორი გამარჯვება აქვს მოპოვებული, შარშან კი ასევე ხორვატიაში უმაგის ტურნირი მოიგო.

მოქმედი ჩემპიონის რანგში ზაგრებში **მიხაილ იუჟნი** ჩავიდა, რომელმაც შარშან, გადამწყვეტ მატჩში **ლუკაშ ლაჩკო** დაამარცხა. წელს კი რუსი ჩოგბურთელი ბევრით ვერაფრით დაიკვეხნის.

გაცილებით შედეგიანი სეზონი აქვს **ანდრეას სეპის.** 2012 წელი იტალიელისთვის საუკეთესო იყო კარიერაში და ის არ აპირებს მიღწეულით დაკმაყოფილებას. მან უკვე ჩაიწერა აქტივში სიდნეის ტურნირი და ავსტრალიის ღიას მერვედფინალი, გარდა ამისა, დევისის თასზე სწორედ ხორვატიის დამარცხებაში დაეხმარა თავის გუნდს.

კარგად დაიწყო სეზონი ბულგარელმა **გრიგორ დიმიტროვმა**, რომელმაც ბრისბენის ტურნირის ფინალში ითამაშა, სადაც **ენდი მარეისთან** წააგო. თუმცა ამას მოჰყვა წარუმატებლობები - წაგება სიდნეისა და მელბურნის ტურნირების პირველ წრეში.

# მარიამ კიფერი აიყვანა


ნიკოლას კიფერი

რუსი **მარია შარაპოვას** დროებითი მწვრთნელი გახდა მსოფლიოს ყოფილი მეოთხე ჩოგანი, 35 წლის გერმანელი **ნიკოლას კიფერი.** ეს უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში იმუშავებს WTA-ის მესამე ნომერთან. კიფერი სპარინგ-პარტნიორის როლს შეასრულებს.

საქმე ის არის, რომ ავსტრალიის ღია პირველობის დროს, ტრავმა მიიღო მარიას მუდმივმა სპარინგ-პარტნიორმა **ვლადიმერ ვოლჩკოვმა**, რის შემდეგაც რუსმა თავისი მწვრთნელის **ტომას ჰოგსტედტის** რჩევით კიფერს მიმართა.

*„სასიამოვნოა, რომ ნიკოლასი დათანხმდა ჩვენს დახმარებას. უახლოესი სამი კვირის განმავლობაში ის მარიას ვარჯიშებში მიიღებს მონაწილეობას. ინდიან უელსისა და მაიამის ტურნირების წინ, ჩვენ კიდევ ერთი ჩოგბურთელი შემოგვიერთდება, რომელიც შარაპოვას სპარინგ-პარტნიორი იქნება ვოლჩკოვის მწყობრში ჩადგომამდე“,* - ამბობს შარაპოვას აგენტი **მაქს ეიზენბადი.**

■ ■ ■

მსოფლიოს მეხუთე ჩოგანმა, ესპანელმა რაფაელ ნადალმა კონტრაქტი გააუქმა სპორტული მარკეტინგის სააგენტო IMG-სთან, რომელიც მსოფლიოს მეხუთე ჩოგანის სასპონსორო საქმეებსა და სარეკლამო კონტრაქტებს მართავდა.

როგორც Tennis World USA იუწყება, ამიერიდან, 26 წლის რაფას საქმეებს გაუძღვება ჩოგბურთელის მამა - **სებასტიანი**, აგრეთვე მისი აგენტი **კარლოს კოსტა.**

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე IMG-ის სამსახურზე უარი განაცხადა შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა**, სამაგიეროდ, ამ კომპანიასთან თანამშრომლობა დაიწყო მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა.**

● ველოსპორტი

# ლენსი 12 მილიონს არ აბრუნებს


ლენს არმსტრონგი

ამერიკელი ველომრბოლი ლენს არმსტრონგი, რომელსაც ყველა ტიტული ჩამოართვეს დოპინგის გამოყენების გამო, უარს ამბობს იმ 12 მილიონი დოლარის დაბრუნებაზე, რომელიც მან ტურ დე ფრანსზე შვიდჯერ ტრიუმფის სანაცვლოდ მიიღო. ამის შესახებ წერს USA Today არმსტრონგის ადვოკატ **ტიმ ჰერმანზე** დაყრდნობით.

ლენსმა პრესტიჟული ველომარათონი ზედიზედ შვიდჯერ მოიგო - 1999-2005 წლებში. მაგრამ 2013 წელს, ამერიკელმა აღიარა, რომ მთელი ეს წლები აკრძალულ პრეპარატს იყენებდა.

ამერიკელს ტურ დე ფრანსზე მოპოვებული ტიტულები 2012 წლის ოქტომბერში ჩამოართვეს. სწორედ მაშინ განაცხადა ფრანგული რბოლის ხელმძღვანელმა **კრისტიან პრიუდომმა**, რომ არმსტრონგმა უნდა დააბრუნოს მთელი თანხა, რაც მან საპრიზოების სახით მიიღო.

ლენსის ადვოკატმა განაცხადა, რომ დისკვალიფიცირებული სპორტსმენები არასოდეს აბრუნებენ საპრიზო თანხებს. ჰერმანმა მაგალითად მოიყვანა ამერიკული ფეხბურთის ეროვნული ლიგის (NFL) კლუბის „ნიუ ორლეან საინტსის“ მთავარი მწვრთნელი **შონ პეიტონი**, რომელმაც 2012 წლის მარტში მიიღო ერთწლიანი დისკვალიფიკაცია იმის გამო, რომ თავის მოთამაშეებს მეტოქისთვის ტრავმების მიყენებისკენ მოუწოდებდა. ჰერმანმა აღნიშნა, რომ პეიტონს არანაირი თანხა არ დაუბრუნებია.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ამხანაგური შეხვედრები**

| ნაკრებები | |
|---|---|
| სენეგალი-გვინეა | 1:1 |
| სომხეთი-ლუქსემბურგი | 1:1 |

| კლუბები | |
|---|---|
| მიდტიულანდი-ვეილე | 2:1 |
| ლიტექსი-პარტიზანი | 1:1 |
| მორნარი-სპარტაკი (ზ) | 0:0 |
| ისტრა-კეჩმეკეტი | 4:3 |
| რუბინი-კლუჟი | 0:1 |
| ასკერი-ვოლერენგა | 1:8 |
| ჩერნო მორე-ყუბანი | 0:3 |
| პოგონი-ჰაუგესუნდი | 1:2 |
| ბიასენი-რანჰაიმი | 2:6 |
| სტიაუა-ბოლესლავი | 0:1 |
| ჰაკენი-ელფსბორგი | 2:0 |

**ინგლისი**

| I ლიგა | |
|---|---|
| კოლჩესტერი-სუინდონი | 0:1 |
| ოლდჰემი-იეოვილი | გადაიდო |
| სკანთორფი-პორტსმუთი | 2:1 |
| შეფილდი-ქროული | გადაიდო |
| სტევენეიჯი-ნოტსი | 2:0 |

| II ლიგა | |
|---|---|
| ჩელტენემი-როვერსი | 1:1 |
| პორტ ვეილი-უიმბლდონი | 3:0 |

| League Trophy | |
|---|---|
| ქოვენთრი-ქროული | 0:3 |
| ლეიტონი-საუთენდი | 0:1 |

**გერმანია**

| III ბუნდესლიგა | |
|---|---|
| შტუტგარტი II-ოფენბახი | 1:0 |

**საფრანგეთი**

| II დივიზიონი | |
|---|---|
| გინგამი-ანჟერსი | 2:1 |

| ნაციონალი | |
|---|---|
| ბურჟი-ეპინალი | 2:1 |
| ამიენი-რედ სტარი | 1:0 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| [illegible] | 1:0 |

**შოტლანდია**

| III დივიზიონი | |
|---|---|
| სტირლინგი-ისტ სტირლიგი | გადაიდო |

**ფინეთი**

| ლიგის თასი | |
|---|---|
| იუვიასკიულა-ლაჰტი | 1:1 |

**უელსის თასი**

| | |
|---|---|
| ნიუთაუნი-ეირბასი | 1:1 პენ. 1:2 |
| ტნს-რილი | 5:1 |

**ჩრ. ირლანდია**

| | |
|---|---|
| გლენტორანი-დუნგანონი | გადაიდო |
| ბალიმენა-დონეგალი | გადაიდო |
| კლიფტონვილი-კოლრეინი | 5:0 |
| ლისბურნი-კრუზეიდერსი | გადაიდო |

### ჩოგბურთი

| ATP. მონპელიე | |
|---|---|
| მანარინო-**დარცისი** | 4:6, 6:7 |
| **ჰაიეკი**-სელა | 2:6, 7:5, 6:1 |
| **ნიემინენი**-სერა | 6:3, 6:2 |
| **პერი**-მენენდესი | 6:0, 6:2 |
| **მონფილსი**-ბემელმანსი | 7:5, 6:4 |
| სტახოვსკი-დავიდენკო | გადაიდო |

| ATP. ვინა დე მარი | |
|---|---|
| **რუფენი**-რამირეს იდალგო | 6:3, 6:4 |
| რიბა-**რობრედო** | 2:6, 2:6 |
| **ბერლოკი**-კუზნეცოვი | 6:2, 6:1 |
| **დელ ბონისი**-პეია | 2:6, 7:6, 7:6 |

| ATP. ზაგრები | |
|---|---|
| **კლიჟანი**-ვიოლა | 4:6, 7:6, 6:1 |
| **დევარმანი**-ბერერი | 0:6, 7:6, 4:1 უარი |
| მეკტიჩი-**სისლინგი** | 4:6, 2:6 |
| **კავჩიჩი**-ბედენე | 6:7, 6:3, 6:3 |
| **კარლოვიჩი**-დიმიტროვი | 7:6, 7:6 |
| **როსოლი**-კუბოტი | 6:2, 6:4 |

● TV პროგრამა

**6 თებერვალი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXV ტური. ფულემი-მანჩესტერ იუნ.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. XX ტური. ჰამბურგი-აინტრახტი.
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXV ტური. ნიუკასლი-ჩელსი.
16:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXI ტური. ეინდჰოვენი-დენ ჰააგი.
18:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXV ტურის მიმოხილვა.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXV ტური. მანჩესტერ სიტი-ლივერპული.
21:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას შტატი. ტურის მიმოხილვა.
21:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
22:00 არგენტინის ჩემპიონატი. სეზონის შემაჯამებელი - რივერ პლეიტი.
23:30 ამხანაგური მატჩი. ჰოლანდია-იტალია (LIVE).
01:30 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. პალმეირასი-სან ბერნარდო.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-მილუოკი.
15:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. მაინცი-ბაიერნი.
17:00 კალათბურთი. NBA. ლეგენდარული მატჩები. ბოსტონი-ჰიუსტონი. 1986 წელი.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ვენლო-აიაქსი.
22:00 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ჰიუსტონ როკეტსი 1993-94 წ. I ნაწილი.
23:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-მილუოკი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია.
13:15 სპორტ-NEWS.
14:15 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. ფინალი. ჩეხეთი-სერბეთი.
15:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მონპელიე. საფრანგეთი.
17:30 სპორტ-NEWS.
18:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. მირასოლი-კორინთიანსი.
20:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ინდიანა-მაიამი.
22:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მონპელიე. საფრანგეთი.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 0 | 11 | (ნისლი) |
| ქუთაისი | 5 | 20 | (მზე) |
| ბათუმი | 8 | 22 | (მზე) |
| ფოთი | 6 | 21 | (მზე) |
| ზუგდიდი | 3 | 21 | (მზე) |
| გორი | -5 | 13 | (მზე) |
| თელავი | -1 | 12 | (მზე) |
| სიღნაღი | 0 | 10 | (მზე) |
| გუდაური | -10 | 2 | (მზე) |
| ბაკურიანი | -12 | 6 | (მზე) |
| ბორჯომი | -5 | 11 | (მზე) |
| მესტია | -10 | 12 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2437 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6565 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6136 |
| 100 რუსული რუბლი | 5.4991 |

● მძლეოსნობა

# ნარკოტიკებზე ჩავარდა

ლონდონის ოლიმპიადის მონაწილეს, ჰოლანდიელ სპრინტერს **ბრაიან მარიანოს** ექვსთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს ნარკოტიკების კონტრაბანდის გამო.

მარიანო კურასაოს აეროპორტში პირველ დეკემბერს დააკავეს. სპორტსმენის ჩემოდანში 720 გრამი კოკაინი აღმოაჩინეს. ხუთ პაკეტად დაფასოებული ნარკოტიკები ჩემოდნის ორმაგ ფსკერში იყო დამალული.

სპრინტერმა სასამართლოზე განაცხადა, რომ არ იცის, საიდან გაჩნდა მის ბარგში ნარკოტიკები. მისი ადვოკატის ვარაუდით, აეროპორტში ვილაც ბოროტმოქმედმა ჩაუგდო ჩემოდანში კოკაინი. მაგრამ მოსამართლემ მარიანოს არ დაუჯერა და მას ექვსთვიანი სასჯელი გამოუტანა, რის შემდეგაც სპორტსმენს სამწლიანი გამოსაცდელი ვადა ექნება.

ლონდონის თამაშებზე, მარიანომ ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობაში მეექვსე ადგილი დაიკავა 4x100 მეტრზე ესტაფეტაში. 2012 წელს, ევროპის ჩემპიონატზე ის ამავე დისციპლინაში ოქროს მედლის მფლობელი გახდა.


ბრაიან მარიანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# ააღებული მერსედესი

## ტესტების პირველი დღე ჯენსონ ბატონმა მოიგო

გუშინ, ესპანეთის ქალაქ ხერესში სტარტი აიღო ფორმულა 1-ში 2013 წლის სეზონმა. თერთმეტივე გუნდმა, რომლებმაც ჩემპიონატში მონაწილეობაზე შეიტანეს განაცხადი, ოფიციალური ტესტების პირველივე დღეს გამოიყვანეს ბოლიდები ტრასაზე, აქედან ათმა ეს ახალი მანქანით გააკეთა.

ახალი ბოლიდი მხოლოდ „უილიამსს“ არ წარმოუდგენია - ბრიტანელებმა პრეზენტაცია ტესტების შემდეგი სერიისთვის გადადეს, ამჯერად კი „პირელის“ ახალ საბურავებთან მუშაობაზე გააკეთეს აქცენტი.

დანარჩენი გუნდები კი ახალი მანქანებით მუშაობდნენ. პირველ დღეს საჭირო იყო სისტემების საბაზო შემოწმება და დასახული პროგრამით მოქმედება. მოქმედი რეგლამენტის მიხედვით ნებადართულია ტესტების მხოლოდ 12 დღე, ამიტომაც თითოეული მათგანი ძალიან მნიშვნელოვანია.

ტრიბუნებზე მაყურებელი ცოტა იყო, რადგან ესპანური პუბლიკის კერპმა **ფერნანდო ალონსომ** ხერესის ტესტების გამოტოვება გადაწყვიტა და ამან დასწრებაზე იმოქმედა.

პირველი სესია რამდენჯერმე წითელი დროშებით შეწყდა. სტარტიდან ნახევარი საათის შემდეგ, **ჯენსონ ბატონი** მეოთხე მოსახვევში გაჩერდა საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო. ამას მოჰყვა „მერსედესის“ სირთულეები - მწყობრიდან გამოვიდა ელექტრონიკა და გერმანული საჯინიბოს მანქანა მცირე ხნით აალდა კიდეც, მაგრამ ცეცხლი მალე ჩაქრა. საბოლოოდ, ბატონმა ბევრი დრო დაკარგა, **ნიკო როსბერგი** კი ტრასაზე აღარ დაბრუნებულა - „მერსედესმა“ პროგრამის ნაადრევად დასრულების შესახებ გამოაცხადა. გერმანელებმა გაარკვიეს პრობლემის მიზეზი, მაგრამ მისი მოგვარება ვერ შეძლეს, რადგან ბაზაზე საჭირო ნაწილები არ ჰქონდათ. დღეს, W04-ის საჭეს **ლუის ჰემილტონი** მიუჯდება.

სალამოს სესიაზე მესამედ გამოფინეს წითელი დროშები - მოსახვევში ტრასიდან გადავარდა „მარუსიას“ დებიუტანტი **მაქს ჩილტონი**. MR2-ს დაკიდება დაუზიანდა და ამ გუნდმაც ნაადრევად დაასრულა მუშაობა.

საერთო ჯამში, ახალი მანქანები საიმედოობით გამოირჩეოდნენ. პირველ დღეს პილოტებმა საკმაოდ დიდი მანძილი გაიარეს - ხერესში რბოლის დისტანცია 69 წრეს შეადგენს და ბევრი მიუახლოვდა ამ მაჩვენებელს. საუკეთესო დრო აჩვენა ჯენსონ ბატონმა - მან ეს სესიის დასრულებამდე ათი წუთით ადრე გააკეთა.

შარშანდელ შედეგებთან შედარებას აზრი არ აქვს, რადგან ამ ერთი წლის განმავლობაში გუნდებმა სერიოზულ პროგრესს მიაღწიეს და საბურავების შემადგენლობაც სხვანაირი იყო, მაგრამ მაინც შეგახსენებთ - შარშან, თებერვალში საუკეთესო დრო ფერნანდო ალონსომ დააფიქსირა - 1:18.877.

| I დღე | |
|---|---|
| 1. ბატონი (მაკლარენი) | 1.18,861 (37 წრე) |
| 2. უებერი (რედ ბული) | +0,848 (73) |
| 3. გროსჟანი (ლოტუსი) | +0,935 (54) |
| 4. დი რესტა (ფორს ინდიან) | +1,482 (89) |
| 5. რიკარდო (ტორო როსო) | +1,540 (70) |
| 6. მასა (ფერარი) | +1,675 (64) |
| 7. ჰიულკენბერგი (ზაუბერი) | +1,838 (79) |
| 8. როსბერგი (მერსედესი) | +1,985 (11) |
| 9. მალდონადო (უილიამსი) | +2,003 (84) |
| 10. ვან დერ გარდე (კატერჰემი) | +3,054 (64) |
| 11. ჩილტონი (მარუსია) | +5,315 (29) |

# ნაჩქარევი პრეზენტაციები

თუ „უილიამსს“ არ ჩავთვლით, ფორმულა 1-ის ყველა გუნდმა გვიჩვენა 2013 წლისთვის განკუთვნილი ბოლიდი. ყველაზე ბოლოს ეს გააკეთეს „ტორო როსომ“, „კატერჰემმა“ და „მარუსიამ“. სამივემ პრეზენტაციისთვის ხერესის ავტოდრომი აირჩია.



ტორო როსო



კატერჰემი

„ტორო როსოში“ პილოტების შემადგენლობა უცვლელი დარჩა – პრეზენტაციაში მონაწილეობას იღებდნენ **დანიელ რიკარდო** და **ჟან-ერიკ ვერნი**, სამაგიეროდ, ცვლილებაა ტექნიკურ შტაბში – იქ გამოჩნდა **ჯეიმს კი**, რომელიც "ზაუბერიდან" გადავიდა „ტორო როსოში“.

ბრიტანელი ინჟინრის მისვლისთვის ბოლიდზე მუშაობა დასრულებული იყო, ასე რომ, ჯეიმს კის ამოცანა ახალი მანქანის ოპტიმიზაცია გახლავთ. შეგახსენებთ, რომ „ტორო როსომ“ შარშანდელი სეზონი მეცხრე ადგილზე დაასრულა და საჯინიბოს ხელმძღვანელობას ამ შედეგის გაუმჯობესება სურს.

რაც შეეხებათ აუტსაიდერებს - „კატერჰემსა“ და „მარუსიას“, მათ თავიანთი მანქანები ტესტების დაწყებამდე 15 წუთით ადრე გვიჩვენეს.



მარუსია

ამბები

### ემირეიტსი – დიდი ცირკის სპონსორი

ავიაკომპანია „ემირეიტსმა“ ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომლის მიხედვითაც ის ფორმულა 1-ის სპონსორი გახდება, - იტყობინება ტურნირის ოფიციალური ვებგვერდი. ხელშეკრულება გუშინ, აბუ დაბიში გაფორმდა.

კომპანიის ლოგო ჩემპიონატის 15 რბოლის დროს ტრასის ტერიტორიასა და პადოკებში იქნება გამოფენილი.

### წელს 19 რბოლა იქნება

ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** განაცხადა, რომ 2013 წელს თურქეთის გრანპრი არ გაიმართება. წლევანდელ სეზონში 19 ეტაპი ჩატარდება.

*„კალენდარში ახალი ეტაპის შეტანის საკითხი რამდენიმე დღეში ვერ გადაწყდება,* - ამბობს ექლსტოუნი. - *ახლა დარწმუნებული არ ვარ იმაში, რომ თურქეთი მზად არის გრანპრის ჩასატარებლად. ამიტომაც, დარწმუნებით შემიძლია იმის თქმა, რომ 2013 წელს 19 რბოლას ვიხილავთ“.*

კრივი



მოჰამედ ალი

# ალი სიკვდილის პირას

## ლეგენდის ძმა ამბობს, რომ მოჰამედმა ნებისმიერ მომენტში შეიძლება დაგვტოვოს

უკვე დიდი ხანია ლეგენდარული ამერიკელი მოკრივე **მუჰამედ ალი** მძიმე სენით (პარკინსონის დაავადება) არის ავად. ბოლო დღეებში, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, ალი ვეღარ ცნობს ნათესავებს და საერთოდ ვერ ლაპარაკობს. მოჰამედის ძმის - **რაჰმანის** თქმით, ამჟამად კრივის ლეგენდა კრიტიკულ სიტუაციაშია. გარდა ამისა, რაჰმანმა დაადანაშაულა ალის მეუღლე **ლონი** იმაში, რომ ის არავის უშვებს მეუღლის ოთახში.

ამასთან, მოჰამედ ალის პრესმდივნის **ბობ გარნელის** თქმით, ლეგენდა თავს კარგად გრძნობს და ის დაესწრო სალამოს, რომელიც სუპერბოულს მიეძღვნა.

*„მოჰამედ ალი შესანიშნავად გამოიყურება, ყოველ შემთხვევაში, ასე იყო სუპერბოულის სალამოზე, სადაც მე ის ბოლოს ვნახე“*, - ამბობს ბობ გარნელი USA Today-თან კომენტარში.

აღვნიშნავთ, რომ მუჰამედ ალის უკვე 30 წელია აწუხებს პარკინსონის დაავადება. მიუხედავად ამისა, მთელი ამ დროის განმავლობაში, მოკრივე აქტიური მედიაპერსონა იყო და არც ერთ დიდ სპორტულ ფორუმს არ აკლდებოდა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გოტფრიდ ლენცი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608